

## **პირველი გამოცემის წინასიტყვაობა**

დღეს ყველასთვის ცნობილია კანონმდებლების მიერ ახალ კანონების შექმნის სურვილი და ადმინისტრაციების არანაკლები ტენდენცია, ამ კანონების შემდგომ კოდექსებად დაჯგუფებისა („მუდმივი სამართალი“), ამიტომაც მრავლად გვაქვს კანონები ბევრისმთმელი დასახელებით: კინონდუსტრიის კოდექსიდან მოყოლებული მაიოტის საბაჟო კოდექსით დასრულებული, ან თუნდაც ძალზედ ნიშანდობლივი საჯარო პირების საკუთრების გენერალური კოდექსი.

სანოტარო კოდექსი არ არის ამ კოდექსების დიდი ოჯახის ნაბოლარა; ის წარმოიშვა LexisNexis JurisClasseur სარედაქციო ჯგუფისგან, რათა დაეჯგუფებინათ ნოტარიატის შესახებ ხშირად გაბნეული და ზოგჯერ მნელად ხელმისაწვდომი კანონები, რომ გაადვილებულიყო მიება მკითხველებისათვის და მომხმარებლებისათვის.

ამ პროფესიის წარმომადგენლები და კერძოდ პალატები, რეგიონალური საბჭოები, ნოტარიატის უმაღლესი საბჭო და სხვა გარე პროფესიული ინსტანციები, ძალზედ დიდი ხანია იყენებენ „ნოტარიატისათვის საინტერესო კანონების კრებულს“: ამიერიდან თქვენ ხელთ გაქვთ ახალი გამოცემა მრავალი შენაძენით (თითქმის ამომწურავი, მარტივი წასაკითხი, სწრაფად განახლებადი, კანონების მარტივი კლასიფიცირებით, მარტივად მოსახმარი სარჩევით), რომელიც იძლევა ყოველდღიური და ზუსტი მიების ველის ძალიან ფართო გავრცელებას ნოტარიუსებისათვის სხვა საინტერესო სფეროებზეც.

არსებობს ორი ძირითადი მიზეზი, რომელიც ამართლებს ამგვარი სანოტარო კოდექსის შექმნას.

ერთი დაკავშირებულია ნოტარიატის მნიშვნელობასთან ჩვენს დაწერილ სამართალში.

ავტენტური აქტი, რომელიც ეფუძნება მატერიალური თუ ელექტრონული სახით შესრულებულ ტექსტს, დომინირებს მტკიცებულებით უფლებაზე.

ნოტარიუსი ჩვენი ქვეყნის იურიდიული ცხოვრების ძირითადი მოქმედი პირია: ის ანიჭებს მის მიერ შედგენილ აქტებს უდავო ხასიათს, რაც ასე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ტრანზაქციების (ურთიერთობების) უსაფრთხოებისათვის და საკუთარი რჩევით, საშუალებას აძლევს კლიენტებს გააკეთონ „სწორი არჩევანი“ მის წინაშე წარმოდგენილ საოჯახო და სამკვიდრო ოპერაციებში.

არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, რომ ჩვენს ქვეყანაში ნატარიატი ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მეორე ადგილზეა სამართლის დიად პროფესიებს შორის: 60 000 ადამიანი უშუალოდ არის დამოკიდებული მასზე, 15 მილიონი კლიენტი ყოველწლიურად სტუმრობს ჩვენს ოფისებს, სადაც დგება და ხელი ეწერება 4 100 000 აქტს.

მეორე მიზეზია წყაროების უთანასწორობა : თანამედროვე ნოტარიატის სათავეებში, ყველაფერი თავმოყრილი იყო XI წლის 25 ვანტოზის კანონში (16 მარტი 1803), რომელიც გახლდათ მრჩეველი რეალის ცნობილი ანგარიშის სახელმწიფო საბჭოში. იქიდან მოყოლებული, ეს კანონი შეივსო სხვადასხვა კანონით, ბრძანებულებით, რამოდენიმე დადგენილებით, მის მიერ მოცემული ნოტარიუსის დეფინიცია გადახედილია 1945 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულებაში.

სამაგროდ, ვანტოზის კანონში შევიდა სხვა დებულებები, კერძოდ კლერკების უფლებამოსილების შესახებ; მოგვიანებით კი, 2006 წლის 23 ივნისის კანონმა შემოიტანა ახალი მე-3 პუნქტი მე-10 მუხლში (რომელშიც ჩამოთვლილია ახლად გადანომრილი სამოქალაქო კოდექსის მუხლები) და აღადგინა მე-11 მუხლი (სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის გამოსაყენებლად), რომელიც საჭიროების შემთხვევაში ადასტურებს ჩვენი ძირითადი კანონის აქტუელურ ხასიათს.

გაფანტული კანონები არ აადვილებს წყაროების მიებას, რომლის წაკითხვა ყოველთვის აუცილებლობად რჩება: სად მოვიძიოთ სწრაფად და მარტივად კანონები პროფესიის ორგანიზების

შესახებ, ნოტარიუსების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, დისციპლინის, განათლების შესახებ, სააქციო ლიბერალური კომპანიების თუ სახელფასო რეჟიმის შესახებ, და კიდევ მრავალი სხვა საკითხის შესახებ ?

აქ ხაზგასმულია ჩვენი პროფესიის ძირითადი მახასიათებლები:

- კოლექტიური ზუსტი და ეფექტური ორგანიზაცია ;

- სოლიდარობა მისი ძალაა ;

- მრავალი ინდივიდუალური და შემზღუდველი ვალდებულება, რომელიც ნოტარიუსებს საშუალებას აძლევს შეასრულონ მათი საქმიანობა, ჩვენს თანამემამულეთა შორის ყოველდღიური იურიდიული ურთიერთობების რეგულირების და დადასტურების (ავთენტურობის) მეშვეობით.

ვუსურვებ, ამ კოლექციაში ახლად შემოსულ წევრებს, წარმატებული ყოფილიყონ ნოტარიუსებში, პროფესიულ ორგანიზაციებსა და ჩვენს მრავალრიცხოვან პარტნიორებში.

**ბერნარ რეინისი**

ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე

2010

## ნოტარიატის უმაღლესი საბჭო

### სანოტარო კოდექსი

#### კარი 1 - სანოტარო აქტი

#### თავი 1. - აქტების ავთენტირება

---

### სამოქალაქო კოდექსი

#### წერილობითი მტკიცებულება

#### # 1. - ძირითადი დებულებანი

(L. n 2000-230. 13 mars 2000)

მუხლი 1316 (L. n 2000-230. 13 mars 2000). - წერილობითი მტკიცებულება წარმოადგენს ასოების, პოლისების, რიცხვების თუ სხვა ნებისმიერი ნიშნების და სიმბოლოების რიგს, რომელსაც გააჩნია გასაგები მნიშვნელობა, როგორც სახითაც (ელექტრონული ან მატერიალური) არ უნდა იყოს ის შესრულებული და გადმოცემული.

მუხლი 1316-1 (L. n 2000-230. 13 mars 2000). - ელექტრონული სახით შედგენილი ტექსტი ისეთივე მტკიცებულებად მიიჩნევა, როგორც ქაღალდზე შესრულებული, იმ პირობით, რომ იდენტიფიცირებულია მისი ავტორი და რომ ის შედგენილი და დაცულია მისი მთლიანობის გარანტიის პირობებში.

მუხლი 1316-2 (L. n 2000 230. 13 mars 2000). - როდესაც კანონი არ აფიქსირებს სხვა პრინციპებს და არ არსებობს მხარეებს შორის გარიგება, მოსამართლე აწესრიგებს წერილობითი მტკიცებულების დავებს ნებისმიერი საშუალებით ყვალზე დამაჯერებელი ტექსტის (დოკუმენტის) გამოკვეთით, როგორც სახითაც (ელექტრონული ან მატერიალური) არ უნდა იყოს შესრულებული ის.

მუხლი 1316-3 (L. n 2000-230. 13 mars 2000). - ელექტრონულად შესრულებულ ტექსტს ისეთივე ძალა გააჩნია, როგორც ქაღალდზე დაწერილს.

მუხლი 1316-4 (L. n 2000-230. 13 mars 2000). - იურიდიული აქტის სრულყოფისათვის აუცილებელი ხელმოწერა ახდენს ხელმოწერის იდენტიფიცირებას. ხელმოწერა გამოხატავს მხარეთა შეთანხმებას ამ აქტიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. როდესაც ხელს აწერს საჯარო ოფიცერი, ეს ანიჭებს აქტს ავთენტურობას.

ელექტრონული ხელმოწერა იყენებს სანდო საინდეტიფიკაციო პროცედურას და იძლევა მოცემულ აქტთან მის კავშირის გარანტიას. ელექტრონული ხელმოწერის პროცედურის სანდოობა იგულისხმება (presumée) (გარდა საპირისპირო მტკიცებულების არსებობის შემთხვევისა) თუკი ელექტრონული ხელმოწერა შედგენილია, ხელმოწერის ვინაობა დამტკიცებული და აქტის მთლიანობა გარანტირებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით გაწერილი პირობების თანახმად.

#### #2 ავთენტური (საჯარო-უდავო მტკიცებულებითი ძალმოსილების მქონე) დოკუმენტის(აქტების) შესახებ

(Ancien # 1erdénuméroté L. n 2000-230. 13 mars 2000).

მუხლი 1317 (Mod. L. n 2000-230. 13 mars 2000). ავთენტური (საჯარო-უდავო მტკიცებულებითი ძალმოსილების მქონე) აქტი არის აქტი, რომელსაც ამოწმებენ საჯარო ოფიცრები, რომელთაც გააჩნიათ სანოტარო მოქმედების შესრულების უფლებამოსილება აქტის შესრულების ადგილას, ყველა საჭირო ფორმალობის (solemnités) დაცვით.

ის შესაძლებელია შესრულებული იყოს ელექტრონული ფორმით, თუკი შედგენილი და დაცულია სახელმწიფო საბჭოს დადგენილების წესების მიხედვით.

მუხლი 1318. - აქტი, რომელიც არ არის ავთენტური (საჯარო-უდავო მტკიცებულებითი ძალმოსილების მქონე) ოფიცრის არაკომპეტენტურობის ან უუნარობის გამო, ან ფორმის დაუცველობის გამო, უტოლდება კერძო სახის აქტს (écriture), თუ კი ხელმოწერილია მხარეების მიერ.

მუხლი 1319. - ავთენტური (საჯარო-უდავო მტკიცებულებითი ძალმოსილების მქონე) აქტი სრულად ადასტურებს (fait plein foi) მასში მოცემულ კონტრაქტორ მხარეთა და მათ მემკვიდრეთა თუ უფლებამოსილ პირთა შორის გარიგებას.

თუმცა, (faux-principal) უტყუარობასთან დაკავშირებული ძირითადი საჩივრის შემთხვევაში, ყალბად დასახელებული აქტის აღსრულება შეჩერდება სასამართლოში წარდგენისას; უტყუარობასთან დაკავშირებული საჩივრის გასაჩივრების შემთხვევაში კი, სასამართლოებს შეეძლებათ გარემოებებიდან გამომდინარე, დროებით შეაჩერონ აქტის აღსრულება.

მუხლი 1320. - აქტი კერძოა თუ საჯარო, სრულიად კანონიერია (fait foi) მხარეებისათვის, თუნდაც განცხადების სახის (ანალიტიკური) ფორმულირებების შემთხვევაში, მთავარია ეს ფორმულირებები (ტექსტი) უშუალო კავშიში იყოს გარიგებასთან. გარიგებასთან შეუსაბამო ფორმულირებები მხოლოდ მტკიცებულების საწყისად შეიძლება გამოდგეს.

მუხლი 1321. დაფარული (ფარული) გარიგებები ეფექტურია მხოლოდ გარიგების მხარეებს შორის და არაეფექტურია მესამე პირებთან მიმართებაში.

მუხლი 1321-1. – (Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005) – ბათილია და არაეფექტური ყველა ფარული გარიგება, რომლის მიზანია გაზარდოს, დამალოს ნასყიდობის რეალური ფასი გარიგებაში უძრავი ქონების ან სამეწარმეო საქმიანობის წილების გაყიდვისას, ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას, უძრავი ქონების ან მისი ნაწილის გაცვლისას - მთლიანად ან ნაწილობრივ.

## **სამოქალაქო საპროცესო კოდექსი**

### **მესამე პირის ხელში მყოფი საბუთების მიძიება**

მუხლი 138. - როდესაც სასამართლო პროცესის დროს, მხარეს სურს მტკიცებულებად წარმოადგინოს ავთენტური (საჯარო) ან კერძო აქტი, რომელშიც მხარედ არ იყო წარმოდგენილი, ან მესამე პირის ხელთ არსებული საბუთი, მას შეუძლია მოსთხოვოს (საქმის) მოსამართლეს, მიიღოს გადაწყვეტილება აქტის, საბუთის ან მათი ასლების (გზავნილების) წარსადგენად.

მუხლი 141. - შეფერხების შემთხვევაში, ან კანონიერი ხელისშემშლელი ფაქტორის შემთხვევაში, მოსამართლეს, რომელმაც დოკუმენტის წარდგენის ან გზავნილის ბრძანებულება გასცა, შეუძლია არასწორი ფორმით მოთხოვნის შემთხვევაში, გამოიწვიოს ან შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება. მესამე პირს შეუძლია სააპელაციო წესით გაასაჩივროს ახალი გადაწყვეტილება მისი გამოცხადებიდან 15 დღის ვადაში.

### **გასაჩივრება წერილობით მტკიცებულებასთან დაკავშირებით**

მუხლი 286. - როდესაც არანამდვილობის საჩივრი საჩივრდება სააპელაციო ან ზედა ინსტანციის სასამართლოში, ავთენტური აქტის ნამდვილობის (არანამდვილობის) შემოწმება არის იმ მოსამართლის კომპეტენცია, რომელიც განიხილავს არანამდვილობის ძირითად (principal) საჩივარს.

სხვა შემთხვევებში, ავთენტური აქტის ნამდვილობის (არანამდვილობის) შემოწმება არის მაღალი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენცია.

---

### **ავთენტური აქტების არანამდვილობის გასაჩივრება**

მუხლი 303. - ავთენტური აქტის ნამდვილობის დადგენა მოითხოვს პროკურატურის შეტყობინებას.

მუხლი 304. - მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს სადავო აქტის შემქმნელი პირის გამოკითხვა.

მუხლი 305. - აქტის არანამდვილობის შემოწმების მოთხოვნის გამოწვევისას, ნამდვილობის დადგენის მომთხოვნს ეკისრება სამოქალაქო ჯარიმა არა უმეტეს 3000 ევროს ოდენობისა და ზარალის ანაზღაურება.

### **არანამდვილობის საჩივრის გასაჩივრება**

მაღალი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს წინაშე წარდგენილი ინცინდენტი

მუხლი 306. - აქტი, რომლის ნამდვილობის შემოწმება უნდა მოხდეს, გადაეცემა მხარის ან მისი სპეციალური ძალაუფლებით აღჭურვილი წარმომადგენლის მეშვეობით სასამართლოს სამდივნოს.

ორ ეგზემპლიარად წარმოდგენილი აქტი მისაღებად რომ ჩაითვალოს, მასში მხარის მიერ ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული საშუალებები არანამდვილობის დასადგენად.

ერთი ეგზემპლიარი დაუყოვნებლივ ინახება საქმის ფაილში, მეორე, სასამართლო მდივნის მიერ დათარიღებული და ვიზირებული, უბრუნდება მხარეს, მოსარჩლის მიერ მოპასუხისთვის პრეტენზიის შესატყობინებლად.

პრეტენზია უნდა გაცხადდეს ადვოკატებს შორის შეტყობინების მეშვეობით ან დაპირისპირებულ მხარისათვის შეტყობინებით საჩივრის შეტანის თვის განმავლობაში.

მუხლი 307. - მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას (განიხილავს) აქტის არანამდვილობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას შეუძლია შეფასების გაკეთება ამ დოკუმენტის გარეშე.

თუ არანამდვილად ბრალდებული აქტი დაკავშირებულია ბრალდების მხოლოდ ერთ-ერთ საკითხთან, შესაძლებელია განხილულ იქნას სხვა საკითხებიც.

მუხლი 308. - მოსამართლის პრეროგატივაა მიიღოს ან უკუაგდოს სადავო აქტი, მის ხელთ არსებული ელემენტებიდან გამომდინარე.

არანამდვილობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში მოსამართლე გასცემს არანამდვილობაზე ყველა საძიებო საშუალებების გამოყენების განკარგულებას და გამოიყენება წერილობითი დოკუმენტის შემოწმების პროცედურები.

მუხლი 309. - მოსამართლის გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეების მიერ წარმოდგენილ საშუალებებს და მის მიერ აღმოჩენილ ელემენტებს.

მუხლი 310. - გაყალბების შესახებ განაჩენი მითითებულია არანამდვილად გამოცხადებული აქტის მინდორზე. (ალბათ ამ აქტზევე აკეთებენ აღნიშვნას)

იგი აზუსტებს, დაბრუნდება ავთენტური აქტების დედნები იმ საცავებში სადაც ინახებოდა, თუ შეინახება სასამართლო სამდივნოში.

ამ გადაწყვეტილებების აღსრულება არ ხორციელდება, ვიდრე განაჩენი არ შეიძენს კანონიერ ძალას ან ბრალდებული მხარე არ გამოხატავს თანხმობას.

მუხლი 311. - არანამდვილობაზე ურის თქმის ან შეთანხმების შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია მოითხოვოს სისხლის სამართლის დევნის შესაწყვეტა.

მუხლი 312. - თუკი გაყალბების ავტორების ან მათი თანამზრახველების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის დევნის პროცედურა, სამოქალაქო წარმოების პროცედურა შეჩერებულია სისხლის სამართლის გადაწყვეტილებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითადი სარჩელი შესაძლოა განიხილულ იქნას არანამდვილად ბრალდებული დოკუმენტის გარეშე, ან თუ არანამდვილობაზე მოხდა ურის თქმა ან შეთანხმება მოდავე მხარეებს შორის.

### **სხვა იურისდიქციების (სასამართლოების) წინაშე წარდგენილი ინციდენტი**

მუხლი 313. - თუკი საქმე (ინციდენტი) წარდგენილი იქნა არა ზედა ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს წინაშე, არამედ სხვა ინსტანციაში, მისი საქმისწარმოება შეჩერებულია ვიდრე არ დადგება დოკუმენტის სიყალბის შესახებ განაჩენი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ძირითადი საქმის განხილვა შეიძლება საექვო დოკუმენტის გარეშე.

არანამდვილობის შემოწმება ხორციელდება 314 –ე– 316–ე მუხლებში გაწერილი პროცედურის თანახმად. არანამდვილობის შემოწმების აქტი გადაეცემა მაღალი (ზედა) ინსტანციის სასამართლოს სამდივნოს, საქმის წარმოების შეჩერების გადაწყვეტილებიდან ერთ თვეში, სხვა შემთხვევაში, მიუხედავად კონფლიქტისა, სადავო აქტი მიჩნეული იქნება მხარეების მიერ აღიარებულად.

### **არანამდვილობის ძირითადი საგნის გასაჩივრება**

მუხლი 314. - არანამდვილობის ძირითად სარჩელს წინ უძღვის არანამდვილობის გაფორმება, რომელიც გაწერილია 306–ე მუხლში.

სარჩელის გაფორმების ასლი ერთვის სასამართლოში მხარის გამოცხადების ფურცელს, რომელიც მოითხოვს მოპასუხისაგან, რომ მან განაცხადოს, აპირებს თუ არა გამოიყენოს სავარაუდოდ ყალბი თუ ფალსიფიცირებული აქტი.

სასამართლოში გამოძახება უნდა მოხდეს არანამდვილობის საჩივრის გაფორმების თვეში, სხვა შემთხვევაში ის უქმდება.

მუხლი 315. - თუკი მოპასუხე გადაწყვეტს არ გამოიყენოს საექვოდ დასახელებული საბუთი, მოსამართლე ოფიციალურად (წერილობით) ატყობინებს ამ ფაქტს მომჩივანს.

მუხლი 316. - თუ მოპასუხე არ ცხადდება ან აცხადებს რომ გამოიყენებს სადავო დოკუმენტს, მოქმედებს პროცედურა, რომელიც გაწერილია 287–ე – 294ე და 309–ე–312–ე მუხლებში.

---

### **განადგურებული აქტების აღდგენა**

მუხლი 1430 (D. n 81 500, 12 mai 1981). – ავთენტური ან კერძო აქტის ორიგინალის აღდგენის მოთხოვნა, რომელიც ყველგან განადგურებულია ომის ან სტიქიური უბედურების შედეგად, უნდა წარდგენილი იქნას მაღალი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 1431 (D. n 81 500, 12 mai 1981). – კომპეტენტურია ის სასამართლო, სადაც ტერიტორიულად ის აქტი იქნა შედგენილი, ან თუ აქტი უცხოეთშია შედგენილი, მაშინ - მომთხოვნის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლო ; თუ ეს უკანასკნელი უცხოეთში ცხოვრობს – პარიზის მაღალი ინსტანციის სასამართლო.

მუხლი 1432 (D. n 81 500, 12 mai 1981). – სასამართლო გადაწყვეტილების აღდგენა ხორციელდება იმ ინსტანციის (იურისდიქციის) მიერ, რომელმაც ის გასცა.

მუხლი 1433 (D. n 81 500, 12 mai 1981). – მოთხოვნის ფორმულიება, გამოიძიება და წარმოება უფასოა.

მუხლი 1434 (D. n 81 500, 12 mai 1981). – სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს აქტის ნაწილობრივი აღდგენა, იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილია მხოლოდ ზოგიერთი თვითკმარი მუხლის მტკიცებულება.

## **XI წლის 25 ვანტოზის (ventôse) კანონი**

ნოტარიატის მოწყობის შესახებ

**კარი I. – ნოტარიუსების და სანოტარო აქტების შესახებ**

**სექცია I. – ნოტარიუსების ფუნქციების, სფეროების და დავალებების შესახებ.**

იხ : Loi du 25 ventôse an XI, art. 1<sup>er</sup> à 7. p.221

**სექცია II. – აქტების, მათი ფორმის, დედნების, სააღსრულებო ასლების, გზავნილების, სარეგისტრაციო ჟურნალების შესახებ**

მუხლი 8 (Abr. D. n.71–941, 26 nov 1971)

მუხლი 9 ( L. n. 66–1012, 28 déc. 1966 ; mod. D. n.71–941, 26 nov 1971). – სანოტარო აქტები მოწმდება მხოლოდ ერთი ნოტარიუსის მიერ,

გარდა შემდეგი გამონაკლისებისა :

1. ანდერძები დარჩება სამოქალაქო კოდექსის სპეციალური წესების დაქვემდებარებაში ;
2. აქტები, რომელიც მოიცავს ანდერძის გაუქმებას და ანდერძის გასაუქმებლად გაცემულ მინდობილობებს, მიღებული იქნება ორი ნოტარიუსის მიერ ან ერთი ნოტარიუსის და ორი მოწმის მიერ, სხვა შემთხვევაში ის ბათილია.

მეორე ნოტარიუსის და ორი მოწმის დასწრება სავალდებულოა მხოლოდ ნოტარიუსის მიერ აქტის წაკითხვისას და მხარეების ხელმოწერის დროს, ან მათი განცხადების შემთხვევაში, რომ არ იციან ან არ შეუძლიათ ხელის მოწერა, და აქტში კეთდება ამის შესახებ ჩანაწერი, სხვა შემთხვევაში ის ბათილია.

3. აქტები, რომელზეც მხარეებმა ან ერთ-ერთმა მხარემ ხელისმოწერა არ იცის, ან ვერ აწერს ხელს, ხელმოწერილი იქნება მეორე ნოტარიუსის ან ორი მოწმის მიერ.

მუხლი 10. (Mod. L. n. 2006-728, 23 juin 2006). – ნოტარიუსს შეუძლია თავის ერთ ან რამოდენიმე (ნაფიც) თანაშემწეს მიანიჭოს აქტების და კანონების წაკითხვის უფლებამოსილება, და მხარეების ხელმოწერები.

რაც შეეხება თანაშემწის მიერ შესრულებულ ფორმალობებს (წაკითხვა და ხელმოწერა), ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი, ამგვარად შედგენილი აქტები ავთენტურ ხასიათს იძენს 1317-ე მუხლის და სამოქალაქო კოდექსის თანახმად.

ეს უფლებამოსილება ვერ გავრცელდება იმ აქტებზე, რომელიც საჭიროებს ორი ნოტარიუსის ან ორი მოწმის დახმარებას, ისევე როგორც აქტებზე, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლებით 73, 335, 348–3, 929, 931, 1035, 1394 და 1397, ის ხორციელდება ნოტარიუსის მეთვალყურეობის ქვეშ და მისი პასუხისმგებლობით.

თუკი ერთ-ერთი მხარე ითხოვს, რომ ნოტარიუსმა პირადად შეასრულოს ყველაფერი, მაშინ ნოტარიუსმა პირადად უნდა განახორციელოს ყველა მოქმედება.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილება აყალიბებს ზემოხსენებული დებულებების გამოყენების პროცედურებს.

მუხლი 11. (Abr. D. n. 71-94), 26 nov. 1971 ; rétabli dans la version suivante. L. n. 2006-728, 23 juin 2006). - მეორე ნოტარიუსი, რომელსაც მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი, ინიშნება ნოტარიუსთა პალატის თავჯდომარის მიერ.

მუხლი 12-18 (Abr. D. n. 71-941, 26 nov. 1971).

მუხლი 19. - ყველა სანოტარო აქტი უფლებამოსილი იქნება, როგორც სასამართლოებში წარსადგენად და ისე მოქმედებისთვის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ამის მიუხედავად, დოკუმენტის სიყალბეზე ძირითადი საჩივრის შემთხვევაში, არანამდვილობაში ბრალდებული აქტის ამოქმედება შეჩერებული იქნება ბრალდების მოსამართლეების (jury) გადაწყვეტილების საფუძველზე. არანამდვილობის საჩივრის გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლოებს, გარემოებების სიმძიმიდან გამომდინარე, შეეძლებათ დროებით შეაჩერონ აქტის აღსრულება.

მუხლი 20-22. (Abr. D. n. 71-941, 26 nov. 1971)

მუხლი 23 (L. n. 73-546, 25 juin 1973). - ნოტარიუსებს არ შეეძლებათ ასევე მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარის ბრძანებულების გარეშე გააკეთონ გზავნილი ან გააცნონ აქტები სხვა პირებს, გარდა უშუალოდ დაინტრესებული პირებისა ( მემკვიდრეები და მათი წარმომადგენლები). წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა აუნაზღაურონ ზარალი, დაეკისრებათ 15 ევროს ოდენობის ჯარიმა, რეციდივის შემთხვევაში კი 3 თვით შეუჩერდებათ სანოტარო საქმიანობის უფლება, გარდა იმ კანონების და რეგულაციების აღსრულებისა, რომელიც ეხება რეგისტრაციის და გამოსაქვეყნებელ აქტების მოსაკრებელს.

მუხლი 24-30. (Abr. D. n. 71-941, 26 nov. 1971)

**კარი II. - ნოტარიატის რეჟიმი,**

**სექცია III. - კომპეტენციები და ნოტარიუსის დანიშვნის პირობები ზემო და ქვემო რეინის და მოზელის დეპარტამენტებში**

(D. n. 55-604, 20 mai 1955)

ობ : Loi du 25 ventôsean XI art.52, p.247

---

**კარი III. - ზოგადი დებულებანი**

ობ : Loi du 25 ventôse an XI art. 68, p.247

---

**XIV წლის 10 ბრუმერის (საფრანგეთის რესპუბლიკური რევოლუციური კალენდრის მე-6 თვე) დადგენილება**

ადგენს საინვენტარო ნუსხების დალუქვის ოქმების ფორმალობებს და ა.შ.

(1 ნოემბერი 1805)

მუხლი 1. - ყველა ოფიცერი [მინისტერიალ], რომელიც უფლებამოსილია ლუქის დადებაზე, მათ ამოცნობაზე და მოხსნაზე, საინვენტარო ნუსხის შედგენაზე, აუქციონების ჩატარებაზე და სხვა



აქტებზე, რომლის განხორციელება შეიძლება რამოდენიმე ეტაპს მოითხოვდეს, ვალდებულია ყოველთვის მიუთითოს ამ პროცედურის დაწყების და დასრულების საათი.

მუხლი 2. - ყოველთვის, როდესაც ოპერაცია შეწყვეტილია, სხვა დღისათვის ან იმავე დღის სხვა საათისათვის გადავადებული, ეს უნდა ჩაიწეროს აქტში და მხარეები და მინისტერიალი ოფიცრები მაშინვე ხელს აწერენ მას, რათა დააფიქსირონ ეს ცვლილება.

მუხლი 3. - ოქმი უნდა დარეგისტრირდეს კანონით გათვალისწინებულ ვადაში.

მუხლი 4. - რეგისტრაციის მოსაკრებელი (ფიქსირებული მოსაკრებელი) გადახდას ექვემდებარება და არ უნდა გადაცდეს 4 საათს.

### **სახელმწიფო საბჭოს განცხადება, 7 აპრილი 1821**

როდესაც მეანდერძეს სურს გააუქმოს თავისი უკანასკნელი ნება-სურვილის შედგენილი აქტი(ანდერძი) და ეს ანდერძი საჯარო ატის წესით არის შედგენილი, ნოტარიუსს, რომელმაც ის მიიღო და ინახავს დოკუმენტებში, არ შეუძლია მეანდერძის მოთხოვნით გადასცეს მას ანდერძის დედანი.

სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო კომიტეტი საფრანგეთის პერის მიერ მიწოდებული, იუსტიციის დეპარტემენტის სახელმწიფო მდივნის სამოქალაქო საქმეების განყოფილების უფროსის ანგარიში მოიცავს კითხვას: როდესაც მეანდერძეს სურს გააუქმოს უკანასკნელი ნება-სურვილის შედეგად შედგენილი ანდერძი და ეს ანდერძი საჯარო სახით არის შედგენილი, შეუძლია თუ არა ნოტარიუსს, რომელმაც ის მიიღო და ინახავს დოკუმენტებში, მოანდერძის მოთხოვნით გადასცეს მას ანდერძის ორიგინალი. იხ. 1693 წლის მარტის ედიქტიდან გამომდინარე, 1723 წლის დეკლარაცია, XI წლის 25 ვენტოზის მუხლები 20 და 22.

იმის გათვალისწინებით, რომ: 1. XI წლის 25 ვენტოზის მე-20 და 22-ე მუხლების მიხედვით, ნოტარიუსები ვალდებული არიან შეინახონ მათ მიერ შესრულებული ყველა აქტის დედანი, ანდერძსაც ვერ გასცემს. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ მარტივი აქტები, რომელიც ორიგინალშია გასაცემი: მარტივი აქტებია, როგორც დასახელებიდან ჩანს, 1723 წლის დეკლარაციის განმარტებით, და როგორც 25 ვენტოზის კანონის მომხსენებელმა განუმარტა საკანონმდებლო კორპუსს: „ არის აქტები, რომლის შინაარსი, ბუნება და შედეგები წარმოადგენს მხოლოდ ერთ მარტივ საგანს ან ინტერესს, და თვითონ არის ხანმოკლე.“ ამიერიდან მარტივ აქტებში არ უნდა იგულისხმოს ანდერძი, რომელიც თავისი შინაარსით, ბუნებით და შედეგებით უდავოდ არის ძალზედ სერიოზული და საპატიო აქტი ; აქდან გამომდინარე, საჯარო სახით შესრულებული ანდერძი არ შეიძლება გაცემულ იქნას ორიგინალში, და აუცილებლად დედნის ფორმით უნდა გატარდეს ;

იმის გათვალისწინებით, რომ : 2. ზემოხსენებული 25 ვენტოზის XI წლის კანონის მე-20 და 22-ე მუხლების მიხედვით, ნოტარიუსები ვერ გასცემენ ვერც ერთ დედანს, თუ კი ამაზე სასამართლო გადაწყვეტილება არ არის, და იმ პირობით, რომ გატანილი საბუთი კვლავ დაბრუნდება ბიუროში ; ეს დებულება ზოგადია და შეეხება ანდერძების და სხვა აქტების დედნებს ; ამის შედეგად, ნოტარიუსებს არ შეუძლიათ დათმონ საკუთარი კერძო ძალაუფლება და გასცენ მიღებული ანდერძის ორიგინალი;

მიჩნეული იქნა : 3. თუკი 1693 ედიქტი უშვებდა, რომ ნოტარიუსებს ყოველი ფორმალური პროცედურების გარეშე გადაეცათ მეანდერძისათვის მისი ანდერძის დედანი, ეს დებულება წინააღმდეგობაში მოდის ვენტოზის კანონის 22-ე მუხლთან, და ამგვარად, ოფიციალურად გაუქმებულია, და გამონაკლისი არ აქვს ;

იმის გათვალისწინებით, რომ : 4. ვენტოზის კანონის დებულებანი არანაირად არ ზღუდავს მეანდერძეთა უფლებებს, რადგანაც თუ მათ სურთ ნაწილობრივ ან სრულად გამოიწვიონ საკუთარი ანდერძი, არ არის საჭირო გაანადგურონ დედანი : სამოქალაქო კოდექსის 1035-ე მუხლი მიუთითებს მათ არანაკლებ მარტივ და უკეთეს საშუალებაზე და იცავს მათ ნებისმიერი ვარაუდებისაგან და სიურპრიზებისაგან.

ჩაითვალა, რომ ნოტარიუსებს არ შეუძლიათ გადასცენ მეანდერძეს მათ მიერ მიღებული ანდერძის ორიგინალი ; რომ ეს აქტი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გამოწვეულ იქნას მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1035-ე მუხლში გათვალისწინებული გარემოებების მიხედვით.

## **1861 წლის 2 მაისის კანონი**

მშვიდობის მოსამართლეებს მიერ, ნოტარიუსების და სამოქალაქო ოფიცრების ხელმოწერილი დოკუმენტების ლეგალიზაციის შესახებ

მუხლი 1. მოსამართლეები (რომლების ტერიტორიულად არ იმყოფებიან პირველი ინსტანციის სასამართლოს ოლქის ძირითად ქალაქში) უფლებამოსილნი არიან სასამართლოს თავჯდომარესთან ერთად მოახდინონ ნოტარიუსების ხელმოწერების და იმ სამოქალაქო ოფიცრების ხელმოწერების ლეგალიზაცია, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ მათ დაქვემდებარებაში მყოფ კომუნებში იმყოფებიან.

მუხლი 2. - ნოტარიუსები და სამოქალაქო ოფიცრები მოაწერენ ხელს და დასვამენ გრიფს (parafe) (მშვიდობის) სასამართლოს სამდივანოში, სადაც ხორციელდება ლეგალიზაცია.

## **1870 წლის 25 სექტემბრის დადგენილება**

სახელმწიფო ბეჭდის და სასამართლოების, მშვიდობის სასამართლოების და ნოტარიუსების ბეჭდების, მარკებს და შტამპების შესახებ

მუხლი 1. - სამომავლოდ სახელმწიფო ბეჭედზე გამოისახება - ერთ მხარეს თავისუფლების ფიგურა წარწერით: ფრანგი ხალხის სახელით ( Au nom du peuple français ) ; მეორე მხარეს ხორბლის წნულით შეკრული მუხისა და ზეთისხილის გვირგვინი; გვირგვინის ცენტრში: საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთიანი და განუყოფელი (République française démocratique, unie et indivisible), წარწერით - თავისუფლება, ერთიანობა, ძმობა (Liberté Égalité Fraternité).

მუხლი 2. - სასამართლოების, მშვიდობის სასამართლოების და ნოტარიუსების ბეჭედებზე, მარკებზე და შტამპებზე გამოსახული იქნება თავისუფლების ფიგურა, როგორც ეს არის სახელმწიფო ბეჭედზე, წარწერით საფრანგეთის რესპუბლიკა (République française), და მიეთითება საჯარო მოხელეთა თუ ოფიცერთა ტიტულები.

## **1923 წლის 15 დეკემბრის კანონი**

დეპარტამენტებში ომის მოვლენების შედეგად განადგურებული აქტებისა და არქივების აღდგენის შესახებ

მუხლი 7. - (Mod. L. n 49-1066, 2 août 1949). - როდესაც დოკუმენტის ორიგინალი ომის მოვლენების შედეგად დაკარგული ან განადგურებულია, ასლები ძალას იძენს შემდეგ შემთხვევებში :

1. სააღსრულებო ასლები და გზავნილები ისეთივე ძალას იძენს, როგორც ორიგინალი, როდესაც ის გაცემულია კომპეტენტური საჯარო ან მინისტრიალი ოფიცრის მიერ.

როდესაც ერთ-ერთი სააღსრულებო ასლი ან გზავნილი იმყოფება საჯარო ან მინისტრიალ ოფიცერთან, საჯარო მოხელესთან ან კერძო პირთან, ეს უკანასკნელი ვალდებულია მიაწოდოს ის დედნად ბიუროში იმ სამჯარო ან მინისტრიალ ოფიცერს, რომელთანაც ინახებოდა განადგურებული ორიგინალი, ან ამ საჯარო ან მინისტრიალოფიცერს შეადგენინოს სააღსრულებო ასლის ან გზავნილის სერტიფიცირებული ასლი და დედნად დატოვის ის ამ საჯარო ან მინისტრიალ ოფიცრის ბიუროში. ორივე შემთხვევაში საჯარო ან მინისტრიალი ოფიცერი ადგენს ოქმს (ამ) დეპონირებაზე ;

2. როდესაც საჯარო ან მინისტრიალ ოფიცერთან ან საჯარო მოხელესთან დეპონირებული სააღსრულებო ასლი ან გზავნილი განადგურებული იქნა, ამ სააღსრულებო ასლის ან გზავნილის

დეპოზიტორის მიერ მოწოდებული ასლი იგივე ძალას იძენს, რაც ორიგინალი და უნდა გადაეცეს იმ საჯარო ან მინისტერიალ ოფიცრის ბიუროს, რომელთანაც ინახებოდა განადგურებული ორიგინალი, ზემოთ მოყვანილ პუნქტში მოცემული გარემოებების თანახმად;

3. ზუსტი ამონაწერები ძალმოსილია ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებების მიხედვით, ისევე როგორც მთლიანი ასლი მის შინაარსის ფარგლებში, მაგრამ გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია განსაჯოს, რამდენად არის გადმოწერილი დაბულებები შედეგობრივად დასაშვები, მაშინ როდესაც არ არის გამართლებული აქტის შინაარსის დანამატი ;

4. როდესაც საჯარო ან მინისტერიალმა ოფიცერმა, რომელსაც გააჩნია საბუთის ორიგინალი და უფლებამოსილება განახორციელოს გზავნილი, ახორციელებს ტექსტის სიტყვასიტყვით თუ ანალიზით სრულ ან ნაწილობრივ რეპროდუქცირებას, სხვა მის მიერ შესრულებულ აქტში, ამ რეპროდუქცირებას და მისგან რეგულარულად გაცემულ ასლებს იგივე კანონიერი ძალა აქვთ, როგორც ჰქონდა აღარარსებული ორიგინალის ამონაწერებს და გზავნილებს.

5. იპოთეკების საცავებიდან გაცემულ ავთენტური აქტების ტრანსკრიფციის ასლებს კანონიერი ძალა აქვთ, თუ სხვა მტკიცებულება არ არის, დედნის არარსებობის შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სააღსრულებო ასლები, გზავნილები და ზუსტი ამონაწერები.

მათ ისეთივე ძალა აქვთ, რაც ორიგინალებს, როდესაც ისინი საჯარო ან მინისტერიალური ოფიცრის დედნების რანგში არიან დეპონირებული, ვისთანაც ისინი ინახებოდა, ეს ყვალაფერი არსებული მუხლის მე-2 ნომრის გარემოებების დაცვით ხორციელდება.

ანალიტიკური ამონაწერები და პროცესის ჩანაწერები, შესრულებული კომპეტენტური საჯარო ან მინისტერიალური ოფიცრების და მოსამართლეების მიერ, ჟურნალების და სარეგისტრაციო ჩანაწერები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც წერილობითი მტკიცებულების საწყისი.

სხვა დანარჩენი ასლის ასლები მიღებული იქნება, როგორც უბრალო ინფორმაცია.

მიხლი 8. - ნებისმიერ პირს ან საჯარო მოხელეს, საჯარო ან მინისტერიალ ოფიცერს, რომელმაც შეგნებულად არ გასცა სამოქალაქო რეესტრის ავთენტური ამონაწერი ან ოჯახის წიგნაკი, მე-3 მუხლის საპირისპიროდ, ან სააღსრულებო ასლი, გზავნილი თუ აქტის ასლი, მე-7 მუხლის საპირისპიროდ, ან დოკუმენტი, მე-6 მუხლის საპირისპიროდ, ან არ გააკეთა მე-4 მუხლით გათვალისწინებული განცხადება, დაეკისრება ჯარიმა 16-დან 300 ფრანკამდე (ძველი ფრანკი) 1872 წლის 12 თებერვლის კანონის მე-2ე და 22-ე მუხლის დებულებების დარღვევის გარეშე.

მუხლი 9. – (Abr. D. N. 81-500, 12 mai 1981).

### **1945 წლის 2 ნოემბრის n 45-2590 ბრძანებულება**

ნოტარიატის სტატუსის შესახებ

(Abr. en ses dispositions contraires à la loi n 50-205 du 11 fevr. 1950)

მუხლი 1. - ნოტარიუსები არიან საჯარო ოფიცრები, მოწოდებულნი ნებისმიერი აქტების და კონტრაქტის (მორიგების) დასამოწმებლად, როცა მხარეებს სურთ ან სავალდებულოდ სჭირდებათ მისცენ სახელმწიფო აქტების მსგავსად ავთენტური ხასიათი დოკუმენტს, დადადასტურონ მათი თარიღი, შეინახონ დეპოზიტში, გასცენ სააღსრულებო ასლები და გზავნილები.

იხ.: Ord. n 45-2590 du 2 nov. 1945, art. 1er bis, p. 383 ; art. 1<sup>er</sup>, ter, p.469 ; art 2 à 13, p. 477 .

### **1947 წლის 12 ივნისი n 47-1047 დადგენილება**

სააღსრულებო ფორმულირების შესახებ

მუხლი 1. - გადაწყვეტილებების, განაჩენების, სასამართლო მანდატების გზავნილები, ისევე როგორც სააღსრულებო ასლები და კონტრაქტების და ყველა აქტის გზავნილები, რომელიც შეიცავს სავალდებულო აღსრულებას, დგება შემდეგი სათაურით:

“REPUBLIQUE FRANÇAISE

Au nom du peuple français”

“საფრანგეთის რესპუბლიკა

ფრანგი ხალხის სახელით”,

და (და)სრულდება შემდეგი ფორმულარით :

„ამის შედეგად, საფრანგეთის რესპუბლიკა ბრძანებს და ავალებს ყველა სასამართლო აღმასრულებელს, მოიყვანოს არსებული გადაწყვეტილება (ან არსებული განაჩენი) აღსრულებაში, გენერალურ პროკურორებს და მაღალი ინსტანციის სასამართლოებთან არსებული რესპუბლიკის პროკურორებს - გაუწიონ ამას დახმარება, ძალოვანი სტრუქტურების ყველა კაპიტანს და ოფიცერს - გაუწიონ ძალისმიერი დახმარება კანონიერი მოთხოვნის შემთხვევაში.

ამის დასტურად, არსებული გადაწყვეტილება (ან განაჩენი და ა.შ.) ხელმოწერილი იქნა ... მიერ.

”

მუხლი 2. იმ აქტების სააღსრულებო ასლების და გზავნილების მფლობელებს, რომლებშიც ფიგურირებს ადრინდელი, წინდებარე დადგენილების გამოქვეყნებამდე, სავალდებულო ფორმულირებები, შეეძლებათ აქტების აღსრულება ზემოხსენებული ფორმულირების დამატების გარეშე.

**შენიშვნა :** სანოტარო აქტების გზავნილებს ეწოდებათ ავთენტური ასლი (D. n 71-941, 26 nov. 1971, art. 32 ; redaction D. n2005-973, 10 août 2005).

### **1967 წლის 9 მაისის კითხვა**

1966 წლის 28 დეკემბრის n 66-1012 კანონის მე-2 მუხლის ინტერპრეტაციის შესახებ

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ ჟაკ ვენდრუს.*

947. - ბ-ნი ჟაკ ვენდრუ აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ 1966 წლის 28 დეკემბრის n 66-1012 კანონის მე-2 მუხლმა შეცვალა XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-9 მუხლი, ისე რომ ჩუქების აქტებში სავალდებულო აღარ არის მოწმეების (instrumentaires) მონაწილეობა. ამგვარად, მოწმეების (instrumentaires) დასწრება აღარ არის აუცილებელი ჩუქების გაუქმების აქტებში. სამაგიეროდ, მოწმეების თანდასწრება, მოყვანილი კანონის მიხედვით, კვლავ სავალდებულო რჩება ანდერძებისათვის და ანდერძების გაუქმების შემთხვევაში. ხშირი პრაქტიკაა, მეუღლეთა შორის ჩუქების აქტებში გაცხადებული იყოს, რომ „ეს დებულებები აუქმებს ყველა წინა დებულებებს“ (ანუ, მათ შორის, ანდერძის დებულებებსაც). ის კითხულობს, შეიძლება თუ არა ამგვარი განცხადება და ამგვარი გაუქმება, მიღებული ჩუქების აქტში, მოწმეების დაუსწრებლად, ნამდვილი იყოს და გამოიწვიოს ანდერძის გაუქმება.

**პასუხი.** - თუ ზოგადად, ჩუქებები და ჩუქებების გაუქმებები შესაძლოა მიღებულ (გაფორმებულ) იქნას ერთი ნოტარიუსის მიერ, სამაგიეროდ, ანდერძების გაუქმებები ყოველთვის ორმა ნოტარიუსმა უნდა მიიღოს (გააფორმოს), ან ერთმა ნოტარიუსმა და ორმა მოწმემ, ამ თვალსაზრისით 1966 წლის 28 დეკემბრის n 66-1012 კანონის მე-2 მუხლმა არ შეცვალა XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-9 მუხლი. აქედან გამომდინარე, ანდერძის გაუქმება, რომელიც ფიგურირებს ჩუქების აქტში, ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღებულ (გაფორმებულ) იქნა ზემოხსენებული ფორმით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერთის მხრივ,

ჩუქების აქტი ბევრ შემთხვევაში იქნება წინა ანდერძების იმპლიციტური (tacite) გაუქმებას ტოლფასი, და რომ მეორეს მხრივ, კვლავ შესაძლებელია მეორე ნოტარიუსის და მოწმეების მოწვევის ვალდებულების თავიდან ასაცილებლად, განხორციელდეს წინა ანდერძების სპეციალური გაუქმება ხელნაწერი ანდერძის ფორმით.

### **1967 წლის 22 ივნისის დადგენილება n 67-491**

ადგენს ნოტარიუსებისათვის 1966 წლის 28 დეკემბრის n 66-1010 კანონის მე-11 მუხლის დებულებების გამოყენების გარემოებებს, რომელიც ეხება გაზრდილ პროცენტთან თუ სხვა ფულად სესხებს და კლიენტურის მოზიდვის და რეკლამის ზოგიერთ ოპერაციას.

მუხლი 1. - 1966 წლის 28 დეკემბრის [n 66-1010] ზემოხსენებული კანონის მე-11 მუხლის ბოლო პუნქტის დებულებების გამოყენებისას ნოტარიუსებს შეუძლიათ მოიძიონ ფონდები, საპროცენტო დაბანდებისათვის, შესრულებული ავთენტური ფორმით, იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება 1945 წლის 19 დეკემბრის n 45-0117 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლებში გაცხადებული აკრძალვები, რომელიც მოიცავს საჯარო ადმინისტრირების რეგულაციას ნოტარიატის შეცვლილი სტატუსის გამოყენებისას.

### **1969 წლის 24 მაისის კითხვა**

მოწმეების მიერ სანოტარო აქტების ხელმოწერის შესახებ

*იუსტიციის მინისტრის პასუხი მოსამართლე ბ-ნ კოლეტს.*

5984 ბ-ნი კოლეტი ახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ XI წლის 25 ვენტოზის კანონის მე-3 მუხლის მიხედვით „აქტები, რომელის მონაწილე მხარეებმა ან ერთ-ერთმა მხარემ არ იცის ან არ შეუძლია ხელმოწერა, ხელმოწერილი იყოს მეორე ნოტარიუსის ან ორი მოწმის მიერ.“ ის თხოვს, თუ შეუძლია მას, დაუდასტუროს, რომ აქტებზე, რომელიც არ ატარებს განსაკუთრებულ ხასიათს, მეორე ნოტარიუსის ან მოწმეების ხელმოწერა შესაძლოა გაკეთდეს აქტზე მხარეების დაუსწრებლად, და მეორე ნოტარიუსს და მოწმეებს პირადად არ დაუდგენიათ არც იმ მხარის თანხმობა, რომელმაც არ იცის ან არ შეუძლია ხელის მოწერა და არც მისი ხელმოწერის გაკეთების შეუძლებლობა.

**პასუხი.** - XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-9 ( n 3) მუხლის მიხედვით „აქტები, რომელზეც მხარეებს ან ერთერთ მხარეს არ ეცოდინება ან არ შეეძლება ხელის მოწერა, ხელმოწერილი იქნება მეორე ნოტარიუსის ან ორი მოწმის მიერ.“ ტექსტის სიტყვასიტყვით ინტერპრეტაციისას შესაძლოა მიჩნეულ იქნას, რომ საკმარისია მეორე ნოტარიუსმა ან ორმა მოწმემ მოაწერონ ხელი აქტს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებების არსი იმაშია, რომ საშუალება მიეცეს მეორე ნოტარიუსს ან ორ მოწმეს, პირადად დაადგინონ რომ მხარემ, რომელმაც არ იცის ან არ შეუძლია ხელის მოწერა, ნამდვილად ეთანხმება აქტს. ამ მოსაზრებას მიყვებართ იმისკენ, რომ საჭიროა მეორე ნოტარიუსი ან მოწმეები ესწრებოდნენ აქტის წაკითხვას იმ პირისათვის, რომლისთვისაც შეუძლებელია ხელისმოწერის შესრულება.

### **1971 წლის 26 ნოემბრის დადგენილება n 71-941**

ნოტარიუსების მიერ შედგენილი აქტების შესახებ

მუხლი 1. - გაუქმებულია მე-8 მუხლი, მე-9 მუხლის მესამის მე-2 პუნქტი, IX წლის ვანტოზის სახეცვლილი კანონის მუხლები 10-18, 20-22, 24-30 და 68.

### **კარი I. - სანოტარო მოქმედების შესრულების შეუძლებლობა**

ob. Décret n 71-941 du 26 nov. 1971, art. 2 et 3, p. 624.

### **კარი II. - აქტში მონაწილე პირები**

მუხლი 4. - სანოტარო აქტში მონაწილე ყველა მოწმე უნდა იყოს ზრდასრული პირი ან არასრულწლოვანი პირი სრული იურიდიული უფლებით, და ფლობდეს საკუთარ სამოქალაქო უფლებებს.

ერთსა და იმავე აქტში მეუღლეები არ შეიძლება იყვნენ მოწმეები.

მუხლი 5. - თუ ნოტარიუსისათვის არ არის ცნობილი მხარეების ვინაობა, მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი, ეს დგინდება ყველა დამამტკიცებელი საბუთის წარდგენით.

გამონაკლისის სახით, ამის დამტკიცება შეუძლია ორ მოწმეს, რომელიც აკმაყოფილებს მე-4 მუხლით გათვალვალისწინებულ გარემოებებს.

### **კარი III. - სანოტარო აქტის შედგენა**

#### **თავი I. - ზოგადი პრინციპები**

მუხლი 6 (Rempt. D. N. 2005-937, 10 août 2005). – ყველა აქტი უნდა ასახავდეს მიმღები ნოტარიუსის დაწესებულების დასახელებას და ადგილს, მოწმეების გვარსა და საცხოვრებელი ადგილს, აქტის შედგენის ადგილს, ყოველი ხელმოწერის თარიღს. მასში ასახულია მხარეების და ყველა ხელმოწერის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

ის შეიცავს მხარეების და აქტის ყველა ხელმოწერის სახელს, გვარს და საცხოვრებელ ადგილს.

მასში ჩაწერილია, რომ მხარეებს ის წაკითხული აქვთ ან წაეკითხათ.

მუხლი 7 (Rempl. D. n 2005-937, 10 août 2005). – ყოველი ნოტარიუსი ვალდებულია გააჩნდეს საკუთარი ბეჭედი, სადაც მითითებულია მისი გვარი, ხარისხი და დაწესებულება და საფრანგეთის რესპუბლიკის ერთიანი მოდელის გამოსახულება.

მუხლი 8 (Rempl. D. n 2005-937, 10 août 2005). - თანხები მითითებულია წერილობით, თუკი არ წარმოადგენენ გარკვეული ოპერაციის დასასრულს და შედეგს, ან თუ არ მეორდება.

ნოტარიუსის მიერ აქტის ხელმოწერის თარიღი მითითებული უნდა იყოს წერილობით.

აბრევიატურები დაშვებულია, როდესაც მათი განმარტება მინიმუმ ერთხელ არის მოცემულია აქტში.

მუხლი 9 (Rempl. D. n 2005-937, 10 août 2005). - ნოტარიუსის მიერ შედგენილი აქტი უნდა იყოს ადვილი წასაკითხი.

ის იწერება ერთიან კონტექსტში, გამოტოვებული ადგილების გარეშე, გარდა პარაგრაფებსა და პუნქტებს შორის ნორმალური ინტერვალებისა და სარეპროდუქციო პროცედურებისათვის საჭირო ინტერვალებისა.

მუხლი 10 (Rempl. D. n 2005-937, 10 août 2005). - აქტებს ხელს აწერენ მხარეები, მოწმეები და ნოტარიუსი.

როდესაც XI წლის 25 ვანტოზის ზემოხსენებული კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარემოების მიხედვით, მხარეების ხელმოწერა მოწმდება უფლებამოსილი კლერკის (თანაშემწის) მიერ, აქტს უნდა მოაწეროს ხელი ამავე კლერკმა (თანაშემწემ), და გაკეთდეს ჩანაწერი, სადაც მითითებული იქნება მისი ვინაობა, ნაფიცის ხარისხი და მიღებული უფლებამოსილება.

აქტის ბოლოს კეთდება ჩანაწერი ხელმოწერების შესახებ : მხარეები, მოწმეები, ნოტარიუსი და არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილი კლერკი (თანაშემწე).

როდესაც მხარეებმა არ იციან ან არ შეუძლიათ ხელისმოწერა, მათი განცხადება ამის თაობაზე უნდა ფიგურირებდეს აქტის ბოლოს.

## **თავი II. - ქალაქებზე (მატერიალური ფორმით) შესრულებული აქტი**

მუხლი 11 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - ქალაქებზე შესრულებული აქტის ტექსტი, უნდა იყოს წაუშლელი (მდგრადი) და ქალაქის ხარისხი უზრუნველყოფდეს შენახვის სრულ გარანტიას.

მასზე დატანილი ხელმოწერები და გრიფები (parafes) უნდა იყოს წაუშლელი (მდგრადი).

მუხლი 12 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - (ტექსტის) ყოველი გვერდი დანომრილია, აქტის ბოლოს მითითებულია გვერდების რაოდენობა.

მუხლი 12 bis (Impliciteabr. D. n 2005-973, 10 août 2006).

მუხლი 13 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - აქტში არ უნდა იყოს შესწორებები, სტრიქონებს შორის ჩანაწერები, ჩამატებები; შესწორებული, სტრიქონებს შორის ჩაწერილი და ჩამატებული სიტყვები და რიცხვები ბათილია. სარეპროდუქციო პროცედურებისათვის დატოვებული ცარიელი ადგილები გადახაზული უნდა იქნეს. გადახაზული ცარიელი ადგილების და გადახაზული სიტყვებისა და რიცხვების რაოდენობა მითითებული უნდა იყოს აქტის ბოლოს.

ამ ჩანაწერს თან სდევს ნოტარიუსის ხელმოწერა (გრიფი) (paraphe) და აქტის სხვა ხელმოწერთა ხელმოწერებიც.

მუხლი 14 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - შენიშვნები (გადამისამართებები) გამოტანილი უნდა იქნეს ან მინდორზე, ან გვერდის ქვემოთ, ან აქტის ბოლოს.

მინდორზე და გვერდის ქვემოთ გამოტანილი შენიშვნების (გადამისამართებების) შემდეგ დასმულია ნოტარიუსის და აქტის სხვა მონაწილეთა ხელმოწერები, თუ არა ბათილია.

აქტის ბოლოს გამოტანილი შენიშვნები (გადამისამართებები) დანომრილია. თუ ისინი ხელმოწერის წინ დგას, დამატებითი ხელმოწერები არ არის საჭირო.

ყოველი ფურცელი ხელმოწერილია ნოტარიუსის და აქტის სხვა ხელმოწერების მიერ, ხელმოწერელი ფურცლები ბათილად ჩაითვლება.

თუმცა, თუ აქტის ფურცლები, და არსებობის შემთხვევაში დანართების ფურცლები, მხარეების ხელმოწერის დროს, თავმოყრილია ისეთი პროცედურის მეშვეობით, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ ჩანაცვლებას და დამატებას, ხელმოწერები არ არის საჭირო; ასევე არ არის საჭირო დანართებზე გაკეთდეს 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი.

მუხლი 15 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - ბეჭედი უნდა დაისვას ორიგინალად გასაცემ აქტებზე და ასევე სააღსრულებო ასლებზე და ავთენტურ ასლებზე.

## **თავი III. - ელექტრონული სახით შედგენილი აქტები**

მუხლი 16 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - ნოტარიუსი, რომელიც ელექტრონულად ადგენს აქტს, იყენებს ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს მიერ აკრედიტებული ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს აქტის შინაარსის მთლიანობას და კონფიდენციალობას.

ნოტარიუსების მიერ გამოყენებული ინფორმაციის საკომუნიკაციო სისტემები თავსებადი უნდა იყოს სხვა ნოტარიუსების და ორგანიზაციების სისტემებთან, რომელთაც გადასცემს ამ მონაცემებს.

მუხლი 17 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - ნოტარიუსმა აქტს ხელი უნდა მოაწეროს უსაფრთხო ელექტრონული პროცედურის მეშვეობით, 2001 წლის 30 მარტის 2001-272 დადგენილების მოთხოვნების თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 1316-4-ე მუხლის ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესახებ.

ამ ხელმოწერას ნოტარიუსი ახორციელებს აქტის შესრულებისთანავე, და თუ საჭიროა, აქტის დანართების თავმოყრის შემდეგ.

ხელმოსაწერად მხარეებმა და მოწმეებმა უნდა გამოიყენონ პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა ეკრანზე გამოსახულ სანოტარო აქტზე დაასვან საკუთარი ხელმოწერის გამოსახულება.

როდესაც აქტი უნდა შეიცავდეს ერთერთი მონაწილე პირის ხელნაწერ ჩანაწერს, ნოტარიუსი მიუთითებს, რომ ჩანაწერი გაკეთებულია სამოქალაქო კოდექსის 1108-ე-1 მუხლის მეორე პუნქტის გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 18 (Rempl. D. n. 99-1088, 15 déc. 1999 ; D. n. 2005-973, 10 août 2005). - ბეჭდის გამოსახულება ფიგურირებს ორიგინალად გასაცემ აქტებზე და ასევე საადსრულებო ასლებზე და ავთენტურ ასლებზე.

მუხლი 19 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - აქტში (აქტის ინტერვალებში) არსებული ყველა შესწორება, სტრიქონებს შორის ჩანაწერი, ან ჩამატება ბათილია.

შენისშვნები ჩატანილია აქტის ბოლოს და წინ უძღვის ხელმოწერას.

მუხლი 20 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - როდესაც მხარე ან აქტში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირი არც პირადად და არც წარმომადგენლობით არ არის წარმოდგენილი შემსრულებელი ნოტარიუსის წინაშე, მის თანხმობას ან განცხადებას იბარებს სხვა ნოტარიუსი, რომლის წინაშეც პირი წარსდგება და რომელიც აქტის შედგენაში მონაწილეობს. ამ აქტში კეთდება ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რა იყო ამგვარად დადგენილი.

აქტის შესადგენად საჭირო ინფორმაციის გაცვლა ხდება მე-16 მუხლით გათვალისწინებული საინფორმაციო გადაცემის სისტემის მეშვეობით.

ყოველი ნოტარიუსი ლეზულობს მხარის ან აქტში მონაწილე პირის თანხმობას და ხელმოწერას და შემდეგ თავად აწერს ხელს.

აქტი სრულყოფილად (parfait) ჩაითვლება, როდესაც შემსრულებელი ნოტარიუსი დასვამს აქტზე საკუთარ უსაფრთხო ელექტრონულ ხელმოწერას.

#### **კარი IV. - დანართები**

მუხლი 21 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - სანოტარო აქტში ფიგურირებს ჩანაწერი მასთან დართული დოკუმენტების თაობაზე.

მინდობილობები თან ერთვის აქტს, თუკი ისინი (მინდობილობები) აქტის შემდგენელი ნოტარიუსის დედნებში არ არის დეპონირებული. ასეთ შემთხვევაში, აქტში კეთდება ჩანაწერი, რომ მინდობილობა დეპონირებულია დედნის სტატუსით.

მუხლი 22 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - როდესაც აქტი ქაღალდზეა შესრულებული, აქტზე დართული საბუთები მითითებულია (ჩაწერილი) მასში და ნოტარიუსის მიერ არის ხელმოწერილი.

როდესაც აქტი ელექტრონულად არის შედგენილი, დართული საბუთები ერთიანად არის მიბმული არსებულ აქტზე. აქტის ბოლოს ნოტარიუსის ელექტრონული ხელმოწერა ნამდვილია ასევე ამ დანართებისთვისაც.

#### **კარი VI. - ჟურნალები**

ob. : (Décret n. 71-941 du 26 nov. 1971, art. 23 à 28, p. 35)

#### **კარი VI. - ჩანაწერები მინდორზე**



მუხლი 29 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - როდესაც სანოტარო აქტი შედგენილია ქალაქში, ამ აქტის მინდორზე შესრულებული ჩანაწერები შეტანილია დედანში და დათარიღებული და ხელმოწერილი ნოტარიუსის მიერ.

მუხლი 30 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - მინდორზე ჩანაწერები ელექტრონულად შედგენილ ორიგინალზე, ფიგურირებს ძირითად აქტზე მიბმულ ფაილში და ხელმოწერილია ნოტარიუსის მიერ მისი უსაფრთხო ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით.

მუხლი 31 (Rempl. D. n. 2005-973, 10 août 2005). - დედანზე უნდა გაკეთდეს ჩანაწერი ყველა დაინტერესებული მხარისათვის პირველი სააღსრულებო ასლის გაცემის თაობაზე. ეს ჩანაწერი ხორციელდება 29-ე ან 30-ე მუხლში გაწერილი გარემოებების თანახმად, გამომდინარე იქიდან რა სახით არის შედგენილი დედანი.

არანაირი სხვა სააღსრულებლო ასლი ვერ გაიცემა მხარეებზე მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარის ბრძანებულების გარეშე, რომელიც ერთვის დედანს.

როდესაც დედანი ელექტრონული სახით არის შედგენილი და მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარის ბრძანებულება არ არის ამგვარი სახით შესრულებული, ნოტარიუსს გადაყავს ეს ბრძანებულება ციფრულ ფორმატში მისი იდენტური რეპროდუცირების გარანტიით და მიღებული დოკუმენტი ფიგურირებს დედანზე დართულ ფაილში, რომელზეც ნოტარიუსი ასახავს საკუთარ უსაფრთხო ელექტრონულ ხელმოწერას.

## **თავი VIII. - ასლები**

### **თავი II. - საერთო (ზოგადი) დებულებანი**

მუხლი 32 (D. n. 2005-973, 10 août 2005). - სააღსრულებო ასლები და ავთენტური ასლების გაცემა იმ ნოტარიუსის კომპეტენცია, რომელთანაც ინახება დედანი ან დოკუმენტები, რომელიც შენახულია მასთან, როგორც დედანი.

სანოტარო ოფისებში (ბიუროებში), ყველა ასოცირებული წევრი გასცემს აქტების სააღსრულებო ასლებს და ავთენტურ ასლებს, მაშინაც თუკი ეს აქტები სხვა რომელიმე ასოცირებულ ნოტარიუსს აქვს მიღებული. სახელფასო ნოტარიუსებსაც შეუძლიათ გასცენ სააღსრულებო ასლები და ავთენტური ასლები იმ სანოტარო ოფისების (ბიუროების), აქტებზე, რომლის სახელფასო თანამშრომლებიც არიან.

ნოტარიუსმა შეუძლია გასცეს უფლებამოსილება თავის ერთ ან რამოდენიმე კლერკზე, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდნენ XI წლის 25 ვანტოზის ზემოხსენებული კანონის მე-10 მუხლით, გასცენ ავთენტური ასლები 34ე-37ე მუხლის გარემოებების თანახმად.

მუხლი 33 (D. n. 2005-973, 10 août 2005). - ავთენტური ასლები შედგენილია ან ქალაქში ან ელექტრონულად, იმის მიუხედავად, თუ როგორია აქტის საწყისი ფორმა.

სააღსრულებო ასლები წარმოადგენს ავთენტურ ასლებს, რომელიც სრულდება იგივე ფორმულირებით, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებები. სხვა ავთენტური ასლები, გარდა სააღსრულებოსი, ვერ გაიცემა სააღსრულებო ფორმით.

### **თავი II. - ქალაქში შესრულებული ასლები**

მუხლი 34 (D. n. 2005-973, 10 août 2005). - სააღსრულებო ასლები და ავთენტური ასლები ადვილად წასაკითხი უნდა იყოს და უცვლელი სახით უნდა შესრულდეს ისეთი ხარისხის ქალაქში, რომ ვერ მოხდეს ამოშლა, და რომელიც უზრუნველყოფს სრულ გარანტიას შეუცვლელიობის შენარჩუნებისა.

მასში დაცულია დედნის პარაგრაფები და პუნქტები. ტექსტის ყველა გვერდი დანომრილია, მათი რიცხვი მითითებულია ბოლო გვერდზე.

ყოველი ფურცელი ხელმოწერილია ნოტარიუსის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფურცლები დაჯგუფებულია ისეთი პროცედურის მეშვეობით, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ ჩანაცვლებას თუ დამატებას, ან არ იმეორებენ დედნის ხელმოწერებს.

ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი დასმულია ბოლო გვერდზე და კეთდება ჩანაწერი სააღსრულებო თუ ავთენტური ასლის ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობის შესახებ. შეცდომები და გამოტოვებული ადგილები გასწორებულია ან მინდორზე ან გვერდის ქვემოთ ჩატანილი ჩანაწერებით ან სააღსრულებო და ავთენტური ასლის ბოლოს, და უკანასკნელ შემთხვევაში - უკვე სტრიქონებს შორის ჩაწერების გარეშე.

ეს ჩანაწერები ხელმოწერილია, გარდა იმ ჩანაწერებისა, რომელიც მოცემულია სააღსრულებო ან ავთენტური ასლების ბოლოს, რომლის ხელმოწერას ნოტარიუსი ერთიანად ახდენს.

გაუქმებული სიტყვების და რიცხვების ოდენობა, ჩანაწერების რაოდენობა აღნიშნულია ბოლო გვერდზე. ეს ჩანაწერი ხელმოწერილია (ნოტარიუსის მიერ).

სააღსრულებო ასლზე და ავთენტურ ასლზე დასმული ხელმოწერები ყოველთვის ხელნაწერია.

როდესაც ავთენტური ასლი გაცემულია 32-ე მუხლით შესაბამისად უფლებამოსილი კლერკის მიერ, მან ამ ასლზე ნოტარიუსის ბეჭდის გარდა უნდა განათავსოს საკუთარი ხელმოწერა და შტამპი - მისი სახელით უფლებამოსილების თარიღთან ერთად.

მუხლი 35 (D. n 2005-973, 10 août 2005). - სააღსრულებო ასლები და ავთენტური ასლები, რომელიც არ არის შესრულებული 34-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, ვერ დაექვემდებარება ვერანაირ ანაზღაურებას. მისი საფასური არის ზოგ შემთხვევაში, გადასახადის გარდა (taxe) (მოსაკრებლის) გარდა, მარკის ხარჯები, რომელიც ეკისრება იმ პირს, რომელმაც შეადგინა არასწორი სააღსრულებლო ან ავთენტური ასლი.

მუხლი 36 (D. n 2005-973, 10 août 2005). - ნოტარიუსს შეუძლია გასცეს ელექტრონულად შედგენილი აქტის მატერიალური ასლი. გაცემა ხდება 34-ე მუხლის გარემოებების დაცვით, გარდა 5-ე-7-ე პუნქტებისა.

ნოტარიუსს, რომელმაც კოლეგა ნოტარიუსისაგან მიიღო არამატერიალური გზით მინდობილობის ავთენტური ასლი, განკუთვნილი სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის მე-2 პუნქტის უზრუნველსაყოფად, შეუძლია გასცეს მისი მატერიალური ავთენტური ასლი საკუთარი ბეჭდით და ხელმოწერით.

### **თავი III. - ელექტრონული ასლები**

მუხლი 37 (D. n 2005-973, 10 août 2005). - ნოტარიუსს შეუძლია გასცეს ქალაქში შედგენილი აქტის ელექტრონული ასლი, ციფრული სისტემის გამოყენებით, ისეთ გარემოებებში, რომელიც რეპროდუცირების სისწორის გარანტიას იძლევა.

ნოტარიუსი, რომელიც გასცემს ელექტრონულ სახით შესრულებულ ასლს, უთითებს თარიღს და სვავს საკუთარ უსაფრთხო ელექტრონულ ხელმოწერას. ავთენტური ასლი შეიცავს ასევე მისი ბეჭდის გამოსახულებას. გაცემულ ასლზე კეთდება ჩანაწერი მისი ორიგინალთან სისწორის შესახებ.

როდესაც ავთენტური ასლი გაიცემა უფლებამოსილი კლერკის მიერ, ის, გარდა ნოტარიუსის ბეჭდის გამოსახულებისა, უკეთებს საკუთარ უსაფრთხო ელექტრონულ ხელმოწერას და საკუთარი (შტამპის) ბეჭდის გამოსახულებას, სადაც აღნიშნულია მისი გვარი და უფლებამოსილების მიღების თარიღი.

სააღსრულებო ასლები და ავთენტური ასლები შეიძლება გადაიცეს ელექტრონულად, აქტის მთლიანობის, გადაცემის კონფიდენციალურობის, გამგზავნის და მიმღების ვინაობის დაცვის გარანტიის გათვალისწინებით.

### **კარი IX. - კლერკის უფლებამოსილება**

მუხლი 38 (D. n 2005-973, 10 août 2005). - უფლებამოსილება, გათვალისწინებული ზემოხსენებული XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-10 მუხლით, შეიძლება გადაეცეს მხოლოდ იმ კლერკებს, ვისაც ეს სურს და ვინც პასუხობს ერთ-ერთ მოთხოვნას :

1. წარმატებით ჩააბარა გამოცდა სანოტარო საქმიანობაში, რომელიც გათვალისწინებულია 1973 წლის 5 ივლისის 73-609-ე დადგენილებით, ან ძალაში არსებული წინა კანონმდებლობით, ან ფლობს ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებულ ნოტარიატის ინსტიტუტის უმაღლესის დიპლომს ;

2. ფლობს პირველი კლერკის დიპლომს, გათვალისწინებული 1973 წლის 5 ივლისის ზემოხსენებული [73-609] დადგენილებით, ან წარმატებით აქვს ჩააბარებული პირველი კლერკის გამოცდა, ძალაში არსებული წინა კანონმდებლობის გათვალისწინებით.

3. აქვს ექვსწლიანი პროფესიული პრაქტიკა ნოტარიუსის კლერკად მუშაობისა.

ეს ვადა შემცირებულია :

- ორ წლამდე, იურიდიული განათლების მეორე ციკლის (კურსის) ეროვნული დიპლომის მქონე პირებისათვის, ან სანოტარო საქმიანობის შესასრულებლად აღიარებული გათანაბრებული დიპლომის მქონე პირებისათვის ;

- სამ წლამდე, ნოტარიატის (სანოტარო) სკოლების განათლების პირველი ციკლის დიპლომის მქონე პირებისათვის, ან იურიდიული განათლების პირველი ციკლის ეროვნული დიპლომის მქონე პირებისათვის, ან საუნივერსიტეტო ტექნოლოგიური ინსტიტუტის იურიდიული ან სასამართლო ფაკულტეტების დიპლომის მქონე პირთათვის ;

- ოთხი წლით, ნოტარიატის (სანოტარო) სკოლის დიპლომის მქონე პირთათვის, ძალაში მყოფ 1905 წლის 1 მაისის წინა დადგენილების თანახმად, ან სამართლის სერტიფიკატის მქონე პირებისთვის.

II. - ვიდრე კლერკი უფლებამოსილებას შესრულებას შეუდგება, ის დებს შემდეგ წერილობით ფიცს, რომელიც შესრულებულია ორიგინალად, ორ ეგზემპლარად და მის მიერ არის დათარიღებული და ხელმოწერილი :

ვფიცავ შევასრულო ჩემი მისია ზედმიწევნით და პატიოსნად.

III. – უფლებამოსილება ფიქსირდება წერილობით ორიგინალად, ორ ეგზემპლარად, ნოტარიუსი მას ათარიღებს და ხელს აწერს.

ის (უფლებამოსილება) შესაძლოა მიენიჭოს ყველა აქტისათვის, გარდა აქტებისა, რომელიც მოყვანილია XI წლის 25 ვანტოზის ზემოხსენებული კანონის მე-10 მუხლის მესამე პუნქტში, ან მხოლოდ ზოგიერთი აქტისათვის.

ნოტარიუსი ინახავს უფლებამოსილების და ფიცის აქტების თითო ეგზემპლიარს საკუთარი დედნების დონეზე. მეორე ეგზემპლიარს და კლერკის ხელმოწერის ნიმუშს გადასცემს რესპუბლიკის პროკურორს მაღალი ინსტანციის სასამართლოში მისი ადგილმდებარეობის მიხედვით და ნოტარიუსთა პალატას.

ნოტარიუსის მიერ ცნობა (სერტიფიკატი) კლერკის სახელზე გაცემული ელექტრონული ხელმოწერის მინიჭების შესახებ გადაეცემა რესპუბლიკის პროკურორს, ნოტარიუსის და ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ. ეს უსაფრთხო (დაცული) ელექტრონული ხელმოწერა არის უფლებამოსილი კლერკის პერსონალური ხელმოწერა.

უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს (მოიხსნას) ნებისმიერ დროს, ისევე როგორც ფიცი წყდება იმ დღესვე, როდესაც წყდება ნოტარიუსის ან კლერკის საქმიანობა.

ნოტარიუსი ატყობინებს რესპუბლიკის პროკურორს და ნოტარიუსთა პალატას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

IV. – პროფესიულ ასოცირებულ სანოტარო ბიუროებში და ნებისმიერი სახის ლიბერალური საქმიანობის კომპანიებში უფლებამოსილების მინიჭების უფლება აქვს ან ყველა მოქმედ ასოცირებულ ნოტარიუსს, ან კომპანიის ერთ ან რამოდენიმე კანონიერ წარმომადგენლს. უფლებამოსილება არ წყდება ასოცირებული წევრის ჩანაცვლების შემთხვევაში.

უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს (მოიხსნას) ნებისმიერ დროს, იგივე პრინციპით. ის, ისევე როგორც ფიცი, წყდება მაშინვე, როდესაც წყდება კლერკის საქმიანობა ან როდესაც კომპანია იშლება.

ვრცელდება III პარაგრაფის მესამე და მეექვსე პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 39 (D. n. 2005-973, 10 août 2005). – როდესაც ნოტარიუსი ანიჭებს ავთენტური აქტების გაცემის უფლებამოსილებას ერთ ან რამოდენიმე კლერკს, რომელთაც XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-10 მუხლით უკვე აქვთ მინიჭებული აქტების და კანონების წაკითხვის და ხელმოწერების (მიღების) უფლებამოსილება, ის გადასცემს ნოტარიუსთა პალატას უფლებამოსილების აქტის ერთ ეგზემპლარს და უფლებამოსილი კლერკის ხელმოწერის ნიმუშს.

ეს ნიმუში ან მისი დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი) იგზავნება იმავე მოთხოვნების მიხედვით, როგორც გათვალისწინებულია 38-ე მუხლის მე-III ნომრის მესამე და მეოთხე პუნქტებით.

უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს (მოიხსნას) ნებისმიერ დროს. გარდა ამისა, ის მაშინვე წყდება უფლებამოსილების მიმნიჭებელი ნოტარიუსის ან უფლებამოსილი კლერკის საქმიანობის შეწყვეტისას. ნოტარიუსი ატყობინებს პალატას უფლებამოსილების დასრულების შესახებ.

პროფესიულ ასოცირებულ სანოტარო ბიუროებში და ნებისმიერი სახის ლიბერალური საქმიანობის კომპანიებში ეს უფლებამოსილება ექვემდებარება იმავე წესებს, რომელიც გათვალისწინებულია 38-ე მუხლის მე-IV ნომრით.

მუხლი 40 (D. n. 2005-973, 10 août 2005). – არსებული დადგენილების 38-ე და 39-ე მუხლზე დაყრდნობით, ნოტარიუსის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებები არ წყდება ნოტარიუსის შეცვლის, (საქმიანობის) დროებით აკრძალვის, განთავისუფლების, დროებითი შეჩერების და ჩანაცვლების დროსაც. შემცველეს, დროებით ადმინისტრატორს, თუ ჩანაცვლებულს შეუძლიათ 15 დღეს გადაცილებული ჩანაცვლების შემთხვევაში, ამ უფლებამოსილების გაუქმება ნებისმიერ დროს და ამავდროულად ახალი უფლებამოსილებების მინიჭება. როდესაც სრულდება შეცვლა, დროებითი აკრძალვა თუ ჩანაცვლება, სანოტარო ბიუროს ნოტარიუსს ასევე შეუძლია გააუქმოს შემცველის, დროებითი ადმინისტრატორის ან ჩანაცვლებულის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებები. აქ მოქმედებს 38-ე მუხლის მე-III ნომრის მესამე და მეექვსე პუნქტები.

## **კარი X. - დასკვნითი დებულებანი**

მუხლი 41 (Ancien art. 23 dénuméroté, D. n. 2005-973, 10 août 2005). – ყველა აქტი, რომელიც შესრულებულია იმ დებულებების დარღვევით, რომელიც ასახულია XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-9 მუხლის 1, 2, 3 ნომრებში (1 პუნქტში), მე-2, მე-3, მე-4, მუხლებში, მე-10 მუხლის პირველ და ბოლო პუნქტში და არსებული დადგენილების 26-ე მუხლში, ბათილად ჩაითვლება, თუკი არ შეიცავს ყველა მხარის ხელმოწერას ; და როდესაც აქტი ხელმოწერილი იქნება ყველა კონტრაქტორი მხარის მიერ, ის მიიღებს მხოლოდ ხელმოწერილი კერძო ტექსტის (აქტის) ძალას, გარდა სიტუაციისა, როდესაც ორივე შემთხვევაში, დამრღვევი ნოტარიუსის წინააღმდეგ არსებობს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

მუხლი 42 (D. n. 2005-973, 10 août 2005). – არსებული დადგენილების დებულებები მოქმედებს მაიოტში, კუნძულებზე ვალის და ფუტუნა და ავსტრალიის და ანტარქტიკის ფრანგულ ტერიტორიებზე, ამ უკანასკნელებში ელექტრონულად შექმნილი ავთენტური აქტების დებულებების გამოკლებით.

მუხლი 43 (D. n. 2005-973, 10 août 2005). - კუნძულებზე ვალის და ფუტუნა არსებული დადგენილებით ნოტარიუსთა პალატისათვის თუ მის თავჯდომარისათვის მინიჭებულ კომპეტენციებს ასრულებს პირველი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარე.

ამ დადგენილების ასამაქმედებლად სენ-პიერ-ე-მიკლონში, მაიოტში და კუნძულებზე ვალის და ფუტუნა, სიტყვები „მაღალი ინსტანციის სასამართლო“ ჩანაცვლებულია სიტყვებით „ პირველი ინსტანციის სასამართლო“.

## **1971 წლის 2 დეკემბრის წერილი**

ნოტარიუსების მიერ სამსახურებრივი ბეჭდის გამოყენების შესახებ

*იუსტიციის მინისტრის წერილი ნოტარიატის უმაღლეს საბჭოს.*

1971 წლის 29 ოქტომბრის წერილში თქვენ კვლავ უბრუნდებით კითხვას : ნოტარიუსს ბიუროში უნდა ჰქონდეს თუ არა მხოლოდ ერთი სამსახურებრივი ბეჭედი, მშრალი ან სველი და არა ორივე.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ 1952 წლის 15 დეკემბრის დეკრეტის მიხედვით, რომელსაც თქვენ ახსენებთ, მე ვთვლი, რომ თუკი ნოტარიუსებს უნდა ჰქონდეთ ერთი მშრალი ან სველი სამსახურებრივი ბეჭედი, საკმარისია, რომ მათ ჰქონდეთ ამ ორიდან ერთ-ერთი (მარკა), და არ არის საჭირო იყენებდნენ ერთსაც და მეორესაც.

პალატამ უნდა ზედამხედველობა გაუწიოს, 1968 წლის 30 ივნისის ცირკულარით გათვალისწინებული D ფორმულის შემოტანის დროს, რომ ფიცის დადებისას ახალბედა ნოტარიუსს ჰქონდეს არჩეული, რომელ სამსახურებრივ ბეჭედს გამოიყენებს.

## **1972 წლის 9 აგვისტოს n 72-753 დადგენილება**

სამოქალაქო კოდექსის 762-ე-764-ე და 1094-ე-3 მუხლების გამოყენებისათვის

მუხლი 1. - ნოტარიუსები და აკრედიტებული დაწესებულებები თუ პროფესიონალები, 1965 წლის 5 ნოემბრის დადგენილების 1 მუხლის თანახმად [n 65-961], იმისათვის რომ მიიღონ არასრულწლოვანთა საკუთრებაში არსებული კაპიტალი და მოძრავი ფასეულობები, ფასიანი ქაღალდები, უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ სამკვიდროს ლიკვიდაციის (გაყიდვის) და განაწილების დროს მემკვიდრე, რომელსაც მიენიჭა ქონების წინასწარი კუთვნილების უპირატესობა, სამოქალაქო კოდექსის 762-ე-764-ე მუხლების თანახმად.

მუხლი 2. - თუ გარდაცვლილმა დაასახელა მემკვიდრედ ფიზიკური პირი და ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე ჩანაცვლებს მას სრული უფლებით.

მუხლი 3. - სამოქალაქო კოდექსის 1094-3-ე მუხლის ასამაქმედებლად, აკრედიტებულნი არიან დაწესებულებები და უფლებამოსილი პროფესიონალები, რომ 1965 წლის 5 ნოემბრის [n 65-961] დადგენილების 1 მუხლის თანახმად მიიღონ არასრულწლოვანთა კუთვნილი კაპიტალები და მოძრავი ფასეულობები.

**შენიშვნა :** სამოქალაქო კოდექსის 762-ე-764-ე მუხლები, ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების შესახებ გაუქმებულია 2001 წლის 3 დეკემბრის n 2001-1135 კანონით.

## **1972 წლის 14 ნოემბრის წერილი**

სანოტარო აქტების შესახებ

*იუსტიციის სამინისტროს წერილი.*

რადგან დაინტერესებულმა პირებმა გამოხატეს დაჟინებული სურვილი, არ არსებობს არანაირი იურიდიული წინააღმდეგობა, რომ მიმართვა “Madame” პრიორიტეტულად იყოს გამოყენებული მიმართვა „Mademoiselle“-ის ნაცვლად, და თავისუფლად შესაძლებელია ამ სურვილმა გამოიღოს

შედეგი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის მომდინარეობს გაუთხოვარი ქალების მხრიდან, რომელთაც ბავშვები არ ჰყავთ.

დავაზუსტებ, რომ ქალის ვინაობა საკმარისად არის დახასიათებული მისი სახელისა და გვარის მითითებით, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევებში მოყვება მისი ოჯახური მდგომარეობის მითითება, როგორც ეს ფიგურირებს მის სამოქალაქო აქტებში.

### **1976 წლის 6 მაისის n 76-424 დადგენილება**

1972 წლის 16 მაისის ბაზელში ხელმოწერილი კონვენციის გამოქვეყნება, ანდერძების რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ (1)

ბაზელში 1972 წლის 16 მაისის ხელმოწერილი კონვენცია ანდერძების რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ გამოქვეყნდება საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში "Journal officiel".

### **კონვენცია ანდერძების რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ**

არსებული კონვენციის ხელმძღვრეი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭოს მიზანია შექმნას უფრო მჭიდრო კავშირი მის წევრებს შორის :

სურვილია რომ შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც შეანდერძებს ერთის მხრივ მისცემს საშუალებას დაარეგისტრიროს საკუთარი ანდერძი, რათა შეუმცირდეს იმის რისკი, რომ მისი ანდერძი გაუმხელელი დარჩება ან გვიან გაიხსნება, და მეორეს მხრივ, შეანდერძოს გარდაცვალების შემდეგ გაადვილდეს ამ ანდერძის აღმოჩენა :

იმის რწმენით, რომ ამგვარი სისტემა გაადვილებს კერძოდ უცხოეთში შედგენილი ანდერძების აღმოჩენას, დადგენილ იქნა შემდეგი :

მუხლი 1. - კონტრაქტორი სახელმწიფოები, არსებული კონვენციის დებულებების თანახმად, თანხმდებიან ანდერძების რეგისტრაციის სისტემის შექმნაზე, რათა გაადვილდეს შეანდერძოს გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძის აღმოჩენა.

მუხლი 2. - არსებული კონვენციის ძალაში შესვლისათვის, ყოველი კონტრაქტორი სახელმწიფო შექმნის ან დაასახელებს ერთ ან რამოდენიმე ორგანოს, რომლის კომპეტენცია იქნება კონვენციით გათვალისწინებული რეგისტრაცია და რომელიც უპასუხებს ინფორმაციის მოთხოვნებს, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

მუხლი 3. - საერთაშორისო კავშირების გასაადვილებლად, ყველა კონტრაქტორმა სახელმწიფომ უნდა დაასახელოს ეროვნული ორგანო, რომელიც პირდაპირი წესით :

ა) სხვა კონტრაქტორ სახელმწიფოებში განახორციელებინებს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ რეგისტრაციას ;

ბ) მიიღებს სხვა კონტრაქტორი სახელმწიფოებების ეროვნული ორგანოებიდან მოსულ საინფორმაციო მოთხოვნებს და განიხილავს (გასცემს) მათ მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად.

2. ყოველი კონტრაქტორი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს წინა პუნქტის თანახმად დანიშნული ეროვნული ორგანოს დასახელებას და მისამართს.

მუხლი 4. - კონტრაქტორ სახელმწიფოში რეგისტრაციის საგანი უნდა გახდეს :

ა) ავთენტური აქტის სახით შედგენილი ანდერძები, რომელსაც ადგენს ნოტარიუსი, საჯარო ორგანო ან ამ სახელმწიფოს კანონით უფლებამოსილი სხვა ნებისმიერი პირი, ასევე სხვა ანდერძები, რომელიც

ოფიციალური დეკონირების აქტის საგანი იყო რომელიმე ამ ორგანოში ან პირთან, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს დეკონირებაში ეს დოკუმენტები.

ბ) ხელნაწერი ანდერძები, რომლებიც თუკი სახელმწიფოს კანონმდებლობით არის დაშვებული, გადაეცა ნოტარიუსს, საჯარო ორგანოს ან ამ სახელმწიფოს კანონით უფლებამოსილ ნებისმიერ პირს, დეკონირების ოფიციალური აქტის შედგენის გარეშე. თუკი ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა ამას არ კრძალავს, მეანდერძეს შეუძლია შეეწინააღმდეგოს რეგისტრაციას.

2. რეგისტრაციის საგანი ასევე უნდა გახდეს, თუკი ფორმის მიხედვით წინა პუნქტის თანახმად რეგისტრაციას ექვემდებარება - გამოწვევა, გაუქმება და სხვა ცვლილებები ანდერძში, რომელიც გაწერილია არსებული მუხლის თანახმად.

3. ყველა კონტრაქტორ სახელმწიფოს ექნება საშუალება, არ გამოიყენოს არსებული მუხლის დებულებები სამხედრო ორგანოებში დეკონირებული ანდერძების შემთხვევაში.

მუხლი 5. - 1. რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ნოტარიუსის, საჯარო ორგანოს (თანამდებობის პირის) ან იმ პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელის გათვალისწინებულია მე-4 მუხლის 1 პუნქტით.

2. თუმცა, ყველა კონტრაქტორი სახელმწიფო შეძლებს უზრუნველყოს, რომ რეგისტრაციის მოთხოვნა, კანონმდებლობით ჩამოყალიბებულ სპეციალურ შემთხვევებში და მის მიერ დადგენილ გარემოებებში, განხორციელდეს იქნას მოანდერძის მიერ.

მუხლი 6. - მოანდერძის შემთხვევაში, რეგისტრაცია არ ითვალისწინებს ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის არანაირ გარემოებას.

2. მოანდერძის მოთხოვნით, ნოტარიუსი, საჯარო ორგანო (თანამდებობის პირი) თუ მე-4 მუხლში ნახსენები პირი, განახორციელებენ რეგისტრაციას არა მარტო იმ სახელმწიფოში, სადაც შედგენილი ან დეკონირებული იყო ანდერძი, არამედ ეროვნული ორგანოების მეშვეობითაც სხვა კონტრაქტორ სახელმწიფოებშიც.

მუხლი 7. - რეგისტრაციის მოთხოვნა მოიცავს მინიმუმ შემდეგ მითითებებს :

ა) მოანდერძის ან მჩუქებლის გვარი და სახელი (ქმრის გვარზე გადასული ქალის პირველი გვარი) ;

ბ) დაბადების თარიღი და ადგილი (თუ ადგილი არ არის ცნობილი, დაბადების ქვეყანა) ;

გ) გაცხადებული მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი ;

დ) დასარეგისტრირებელი აქტის დასახელება და თარიღი ;

ე) ნოტარიუსის, საჯარო ორგანოს წარმომადგენლის ან პირის გვარი და მისამართი, რომელმაც მიიღო (16) ან დეკონირებაში აქვს აქტი.

2. ეს მონაცემები უნდა დარეგისტრირდეს იმ ფორმით, როგორც ჩამოაყალიბა ყველა კონტრაქტორმა სახელმწიფომ.

3. რეგისტრაციის ხანგრძლივობა დადგინდება ყოველი კონტრაქტორი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 8. - 1. რეგისტრაცია საიდუმლოდ რჩება მოანდერძის გარდაცვალებამდე.

2. მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, ყველა პირს, რომელიც წარადგენს ამონაწერს გარდაცვალების აქტიდან, ან ნებისმიერ სხვა გარდაცვალების დამადასტურებელ დოკუმენტს, შეეძლება მიიღოს მე-7 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.

3. თუ ანდერძი შედგენილი იყო ორი ან მეტი პირის მიერ, არსებული მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები ძალაში შევა ერთერთი მეანდერძის გარდაცვალების შემთხვევაში, 1 პუნქტის დებულებების მიუხედავად.

მუხლი 9. - არსებული კონვენციის დებულებების თანახმად, კონტრაქტორ სახელმწიფოებს შორის გაწეული სერვისები უფასოა.

მუხლი 10. - არსებული კონვენცია არ აკნინებს წესებს, რომელიც ყოველ კონტრაქტორ სახელმწიფოში ეხება ანდერძების და არსებული კონვენციით გათვალისწინებული სხვა აქტების ნამდვილობას .

მუხლი 11. - ყოველ კონტრაქტორ სახელმწიფოს შეეძლება, მის მიერ ჩამოყალიბებული გარემოებების მიხედვით, გაავრცელოს ამ კონვენციით გათვალისწინებული სარეგისტრაციო სისტემა მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ანდერძზე, ან ნებისმიერ სხვა დებულებაზე, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს სამკვიდროს გადაცემაზე. ამ შემთხვევაში კერძოდ გამოიყენება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები.

მუხლი 12. – 1. არსებული კონვენცია ღიაა ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოების ხელმოწერისათვის. ის რატიფიცირებული ან მიღებული იქნება. რატიფიკაციის ან მიღების ინსტრუმენტები წარედგინება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციისა ან მიღების მესამე ინსტრუმენტის შემოტანიდან სამი თვის თავზე.

3. ის ძალაში შევა ყველა ხელისმომწერ სახელმწიფოში, რომელიც მოახდენს მის რატიფიცირებას ან მიღებას მომავალში, სამი თვის შემდეგ მისი რატიფიკაციის ან მიღების ინსტრუმენტის შემოტანის შემდეგ.

მუხლი 13. – 1. არსებული კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეეძლება მოიწვიოს საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო შეუერთდეს ამ კონვენციას.

2. გაწევრიანება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაწევრიანების ინსტრუმენტის შემოტანით, რომელიც ძალაში შევა შემოტანიდან სამი თვის თავზე.

მუხლი 14. – 1. ყველა კონტრაქტორ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის, მიღების ან გაწევრიანების ინსტრუმენტის შემოტანისას დაასახელოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება არსებული კონვენცია.

2. ყველა კონტრაქტორ სახელმწიფოს შეუძლია რატიფიკაციის, მიღების ან გაწევრიანების ინსტრუმენტის შემოტანისას, ან შემდგომში ნებისმიერ დროს გაავრცელოს არსებული კონვენციის გამოყენება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, ამ განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიებზე, რომლებთანაც მას საერთაშორისო ურთიერთობები აკავშირებს ან რომელზეც უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება.

3. რაც შეეხება ამ განცხადებაში მითითებულ ყველა ტერიტორიას, ნებისმიერი განცხადება წინა პუნქტის თანახმად შესაძლოა გამოწვეულ იქნას, არსებული კონვენციის მე-16 მუხლის მოთხოვნების თანახმად.

მუხლი 15. - არსებული კონვენციის დებულებებზე არანაირი შეზღუდვა არ დაიშვება.

მუხლი 16. – 1. არსებული კონვენცია ძალაში იქნება ვადის შეზღუდვის გარეშე.

2. ყოველივე კონტრაქტორ სახელმწიფოს შეეძლება საკუთარ შემთხვევაში გააუქმოს არსებული კონვენცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი რატიფიკაციის მეშვეობით.

3. გაუქმება ძალაში შევა გენერალურ მდივანთან შესული შეტყობინების დღიდან ექვსი თვის თავზე.



მუხლი 17. - ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს საბჭოს წევრ-სახელმწიფოს და არსებულ კონვენციაში გაწევრიანებულ ყველა სახელმწიფოს :

ა) ყველა ხელმოწერას ;

ბ) რატიფიკაციის, მიღების და გაწევრიანების შემოტანის ყველა ინსტრუმენტს ;

გ) არსებული კონვენციის ძალში შესვლის ყველა თარიღს, მისი მე-12 მუხლის თანახმად ;

დ) ყველა შემოსულ შეტყობინებას, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების თანახმად ;

ე) მე-16 მუხლის დაბულებების თანახმად შემოსულ ყველა შეტყობინებას და გაუქმების ძალაში შესვლის თარიღს ;

ამის დასტურად ყველა ოფიციალურმა უფლებამოსილმა პირმა მოაწერა ხელი არსებულ კონვენციას.

შესრულებულია ბაზელში, 1972 წლის 16 მაისს, ფრანგულ და ინგლისურ ენაზე, ორივე ტექსტი თანაბრად ძალმოსილია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც გადაიცემა ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს სერტიფიცირებულ ასლს ყველა ხელმომწერ და გაწევრიანებულ სახელმწიფოს.

### **1977 წლის 8 ნოემბრის პასუხი**

სანოტარო აქტის მეშვეობით ქალაქში(commune) ნასყიდობა პირზე. ვინ არის უფლებამოსილი გასცეს მიღების ქვითარი (la quittance)

*შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი ბ-ნ მოჟეს.*

40588. – 1977 წლის 10 სექტემბერი. - ბ-ნი მოჟე ეკითხება შინაგან საქმეთა მინისტრს :

1. რომელ პირს აქვს უფლება გასცეს ქვითარი, სანოტარო აქტში, ქალაქში ნასყიდობის ფასზე, იმის დაზუსტებით, რომ სავარაუდოთ, მხოლოდ მიმღები მუნიციპალური ფინანსური მენეჯერი არის უფლებამოსილი გასცეს ქვითარი ქალაქის სახელით, გარდა ამ ქალაქის მერისა, რომელიც განმკარგველია.
2. შეუძლია თუ არა ნოტარიუსს მოსთხოვოს მუნიციპალურ მიმღებს, რომ ის ჩაერთოს ქალაქისმიერ ნასყიდობის აქტში, რათა ამგვარად ავთენტური სახით დაადასტუროს ფასის გადასახადის ნამდვილობა.

პასუხი. – 1. ქალაქის მუნიციპალური მიმღები ფინანსური მენეჯერი უფლებამოსილია გასცეს ქვითარი სანოტარო აქტში ქალაქის მიერ ნასყიდობის საფასურზე და ეს საფასური მას უნდა გადაეცეს. კომუნების კოდექსის L.1233-19-ე მუხლის დებულებების თანახმად, მერი ან მისი დელეგირებული პირი, უფლებამოსილი მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტულებით, წარმოადგენს ქალაქს და ამ ფუნქციით შემოდის აქტში, როგორც გამყიდველი.

2. თუ ნასყიდობის საფასური გადახდილია აქტის ხელმოწერისთანავე, მუნიციპალური მიმღები სავალდებულოდ ერთვება ამ აქტში და გასცემს საფასურის ქვითარს - და იგი მხოლოდ ფაკულტატიურად ადასტურებს საფასურის რეალური გადახდის ნამდვილობას.

იხ : CGPPP, article L. 2122- 21.

### **1980 წლის 31 მაისის წერილი**

აქვს თუ არა ნოტარიუსს, რომელიც კოლეგა ნოტარიუსს დროებით ცვლის, გამოიყენოს ამ უკანასკნელის მიერ უფლებამოსილი კლერკის სერვისები.

*იუსტიციის სამინისტროს წერილი.*

პასუხად თქვენს წერილზე, რომელიც თარიღდება 1979 წლის 27 დეკემბრით, სადაც მთხოვდით განმეორება რაზე ვრცელდება ბ-ნი ივარტის 1974 წლის 30 მარტის პასუხი წერილობით კითხვაზე რამდენად შესაძლებელია კოლეგა ნოტარიუსის დროებითმა შემცვლელმა ნოტარიუსმა გამოიყენოს კოლეგა ნოტარიუსის მიერ უფლებამოსილი კლერკის სერვისები მხარეების ხელმოწერების მისაღებად, 1973 წლის 25 ივნისის 73-546-ე კანონით შეცვლილი XI წლის 25 ვენტოზის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირობების თანახმად. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ნამდვილად შემცვლელი ნოტარიუსის პასუხისგებლობა თავის ხელმოწერით ავთენტურობის მინიჭება ამგვარად შედგენილ აქტებისათვის.

შესაბამისად, შემცვლელ ნოტარიუსს შეეძლება არა მარტო დაიხმაროს მისი კოლეგის უფლებამოსილი ნაფიცი კლერკები პირადად შედგენილი აქტებისათვის, რათა მან ეს აქტები წააკითხოს და ხელი მოაწერინოს მხარეებს, არამედ ის ასევე ავთენტურობას მიანიჭებს მის კოლეგა ნოტარიუსის მიერ შედგენილ აქტებს, რომელიც წაეკითხება და ხელმოსაწერად წარედგინება მხარეებს მის კოლეგა ნოტარიუსის ნაფიცი კლერკის მიერ.

### **1982 წლის 22 თებერვლის პასუხი**

ადმინისტრაციული აქტები

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ ჟან-ლუი მასონს.*

5913. – 30 ნოემბერი, 1981 წელი. – ბ-ნი ჟან-ლუი მასონი შეახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ საჯარო სამართლის პირებს შეუძლიათ ან მიმართონ ნოტარიუსს დახმარებისათვის, ან უშუალოდ შეადგინონ ადმინისტრაციული აქტები. გამომდინარე ამ შესაძლებლობის ინტერესიდან, მას სურს ერთის მხრივ გაიგოს როგორია იურისპრუდენციის უკანასკნელი განვითარება ადმინისტრაციული კონტრაქტების სფეროში. მეორეს მხრივ, როგორია სახელმწიფო საბჭოს და ფინანსური ბიუროს გამოსავალი, რომელიც უფრო ხელსაყრელია საჯარო თვითმმართველობებისათვის, და ამ შემთხვევაში, რა ზომებია მისაღები, რათა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის შესაძლებელი იყოს სანოტარო აქტსა და ადმინისტრაციულ აქტს შორის არჩევანის გასაკეთება.

**პასუხი.** – მართალია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ავთენტური აქტების შესადგენად, რომლებსაც ჩვეულებრივ ნოტარიუსები ადგენენ, საშუალება აქვთ ან გამოიყენონ ამ საჯარო ოფიცრების დახმარება, როგორც ამას კერძო პირები აკეთებენ, ან პირადად შეადგინონ ეს აქტები, რომლებიც ამგვარად ადმინისტრაციულ ხასიათს იძენს. ამ შესაძლებლობის საკანონმდებლო და სარეგლამენტო საფუძველი მოხსენებულია პასუხში ბ-ნ ანრი კაიავეს წერილობით კითხვაზე (quest. écrite, n 34-980 : JO Sénat, 5 nov. 1980. n 82, p.4384). სახელმწიფო საბჭომ და ფინანსურმა ბიურომ თანმიმდევრულად სცნეს უშუალოდ საჯარო თვითმმართველობების მიერ შედგენილი აქტების ავთენტურობა, და მხარი დაუჭირეს ამ პროცედურას, რომლის უპირატესობაა ნაკლები ხარჯები, იმ თვალსაზრისით, რომ, როგორც ეს ასახულია უწყებათაშორისო კომისიის 1977 წლის ანგარიშში, რომელიც ამოწმებდა ფინანსური ბიუროს საჯარო ანგარიშის მომდევნო განვითარებას, უძრავი ქონების შესყიდვების ხარჯები ხშირად გაუმართლებლად იყო დამძიმებული შუამავლების სერვისით და სანოტარო აქტის გამოყენებით. სანოტარო აქტსა და ადმინისტრაციულ აქტს შორის არჩევანი კეთდება მხოლოდ დაინტერესებული საჯარო სამართლის პირის მიერ, ან ზოგიერთ შემთხვევაში, მისი სამეურვეო უფლებამოსილი პირის მიერ. მაგრამ, თუკი ნოტარიუსის ჩართულობა ნაკლებად გამართლებულია, როდესაც კონტრაქტი ფორმდება საჯარო სამართლის ორ იურიდიულ პირს შორის, საკითხი სხვაგვარად დგას, როდესაც ერთ-ერთ მხარეს, კერძო პირს სურს გააფორმოს სანოტარო აქტი. ასევე საკუთრების წარმოშობის თაობაზე დავის შემთხვევაში, ან როდესაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ გააჩნია საკმარისი საშუალება შეამოწმოს კონტრაქტის პუნქტების შესაბამისობა ბაზრის პირობებთან, და არც დარწმუნდეს მის იურიდიულ სისწორეში, მაშინ შესაძლებელია განიხილოს ნოტარიუსის დახმარების გამოყენების საკითხი ყველა მხარის ინტერესების დასაცავად.

### **1983 წლის 14 თებერვლის პასუხი**

საჯარო და მინისტერიალური (კორპორატიული) ოფიცრების შესახებ

*(ბუნება - რეგლამენტი)*

*იუსტიციის სამინისტროს პასუხი ბ-ნ პიერ მოჟეს.*

19813. – 1982 წლის 6 სექტემბერი. - ბ-ნი პიერ მოჟე სთხოვს იუსტიციის მინისტრს დაუზუსტოს საჯარო ოფიცრის და მინისტერიალი ოფიცრის დეფინიცია და მოუთითოს რომელი პროფესიები შედის საჯარო ოფიცრების კატეგორიაში და რომელი მინისტერიალი ოფიცრების კატეგორიაში.

**პასუხი.** - მინისტერიალი (კორპორატიული) ოფიცრი შესაძლოა ეწოდოს იმ პირებს, ვისაც გააჩნია კაბინეტი, ანუ აქვთ უფლება წარადგინონ მათი შემცვლელი პირები მთავრობას დასამტკიცებლად, როლმელიც მათ ნიშნავს გარკვეული საჯარო საქმიანობის შესასრულებლად. ამ თანამდებობაში მინისტერიალი ოფიცრებს გააჩნიათ კანონიერი და სარეგლამენტო სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს დანიშვნისათვის საჭირო პირობებს, მათ ფუნქციებს და ტერიტორიულ კომპეტენციებს, მათი საქმიანობის შესრულების ფორმებს და დისციპლინარულ რეჟიმს, ასახავს კოლექტიური გარანტიის და დაზღვევის მექანიზმებს კლიენტებისათვის და განსაზღვრავს მათ ანაზღაურებას. მინისტერიალი ოფიცრები არიან: სახელმწიფო საბჭოს და საკასაციო სასამართლოს ადვოკატები, მხარეების წარმომადგენლები სააპელაციო სასამართლოებში, სასამართლო აღმსრულებლები, ნორატიუსები, აუქციონერები, კომერციული სასამართლოების მდივნები, ბროკერები, გემის კაპიტნები და დამხმარე (შუამავალი) თარჯიმნები.

ამ მინისტერიალ (კორპორატიული) ოფიცერთა შორის, ნოტარიუსებს, კომერციული სასამართლოების მდივნებს, აუქციონერებსა და სასამართლო აღმსრულებლებს, გააჩნიათ რა კანონმდებლის მიერ დაკისრებული სასამართლო და იურიდიული აქტების ავთენტურობის დადგენა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება, რომელიც მათ კანონმდებელმა შესაბამისად მიანიჭა, დელეგირებული აქვთ საჯარო ძალაუფლების პრეროგატივა, და ამგვარად გააჩნიათ ასევე საჯარო ოფიცრის კვალიფიკაცია. ამასთანავე, არა მინისტერიალი (კორპორატიული) ოფიცრები, მაგრამ ასევე საჯარო ოფიცრები ეწოდებათ, (ანიჭებენ რა ავთენტურობას მათ მიერ ან მათი დახმარებით შედგენილ აქტებს), ასევე ზოგიერთ საჯარო მოხელეს და დეპუტს, როგორცაა სასამართლო რიგის იურისდიქციების მდივნები და საჯარო ძალაუფლების წარმომადგენლები, უფლებამოსილნი ადმინისტრაციული ფორმის აქტების შედგენაზე.

### **1986 წლის 11 აგვისტოს პასუხი**

ადმინისტრაციული აქტების შესახებ

*იუსტიციის სამინისტროს პასუხი ბ-ნ ჟან-ლუი მასონს.*

301. – 21 აპრილი 1986. - ბ-ნი ჟან-ლუი მასონი შეახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ საჯარო სამართლის პირებს აქვთ საშუალება ან მიმართონ ნოტარიუსებს დახმარებისათვის, ან უშუალოდ შეასრულონ ადმინისტრაციული აქტები. გამომდინარე ამ შესაძლებლობის ინტერესიდან, მას აინტერესებს როგორია ერთის მხრივ იურისპრუდენციის უკანასკნელი განვითარება ადმინისტრაციული კონტრაქტების სფეროში. მეორე მხრივ, როგორია სახელმწიფო საბჭოს და ფინანსური ბიუროს გამოსავალი, რომელიც უფრო ხელსაყრელია საჯარო თვითმართველობებისათვის, და ამ შემთხვევაში, რა ზომებია მისაღები, რათა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის შესაძლებელი იყოს სანოტარო აქტსა და ადმინისტრაციულ აქტს შორის არჩევანის გასაკეთება.

**პასუხი.** - ერთი პასუხი უკვე გაეცა (JOAN Q. 22 fevr. 1982, p.745) წერილობით კითხვას n 5913, რომელიც იდენტური ფორმით იყო დასმული 1981 წლის 30 ნოემბერს. მაგრამ შესაძლებელია მას დაემატოს შემდეგი დაკვირვებები. უფლებამოსილი თანამდებობის პირთა სია, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ ადმინისტრაციული ფორმის აქტები, შეიცვალა 1982 წლის 2 მარტის n 82-213 კანონის 98ე - III და IV მუხლით, რომელიც ეხება ქალაქების (კომუნების), დეპარტამენტების და რეგიონების უფლებებს და თავისუფლებებს. ამიერიდან ასევე უფლებამოსილნი არიან მიიღონ და ავთენტურობა

შესძინონ ადმინისტრაციული სახის შედგენილ აქტებს, მერები, გენერალური საბჭოების თავჯდომარეები, რეგიონალური საბჭოების თავჯდომარეები, იმ საჯარო დაწესებულებების თავჯდომარეები, რომლებიც შედის ადგილობრივ თვითმმართველობაში ან აერთიანებს ამ თვითმმართველობებს, და შერეული პროფკავშირების თავჯდომარეები. ამ კანონის გამოქვეყნებისას, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა განმარტებითი ფურცელი ადგილობრივი დეპუტატებისათვის, რომელიც გავრცელებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობების გენერალური დირექციის მიერ. ეს ფურცელი აზუსტებს კერძოდ, როგორ პირობებში შეუძლიათ ტერიტორიულ თვითმმართველობებს და შესაბამის საჯარო დაწესებულებებს გამოიყენონ ადმინისტრაციული აქტი. ის გვახსენებს, რომ ამ პროცედურის განხორციელება არის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა (ზომა), და შესაბამის ორგანოებს ყოველთვის შეეძლებათ მოითხოვონ ნოტარიუსის დახმარება. ის ხაზს უსვავს იმას, რომ ისინი ვალდებული არიან შეადგინონ ადმინისტრაციული ფორმის აქტები ზედმიწევნით და დადგენილი ფორმით, რათა დაცული იყოს სისწორე და ნამდვილობა, და ყურადღებას ამახვილებს ამ რეკომენდაციების დაუცველობის შესაძლო შედეგებზე, რაც გამოიხატება არასწორად შედგენილი აქტების უკუგდებაში საიპოთეკო საცავების მიერ და ადგილობრივი თვითმმართველობების და საჯარო დაწესებულებების შესაძლო სამოქალაქო და ფინანსური პასუხისმგებლობის დაყენებაში. ამასთანავე, კანცელარია ყოველთვის აქცევდა ყურადღებას კერძო კონტრაქტორი პირის ინტერესების დაცვის აუცილებლობას ; ამ უკანასკნელს, ლოგიკურად შეუძლია გამოიყენოს არსებული ინტერესების გარე რჩევა ადმინისტრაციული აქტის შედგენისას, და ეს შესაძლებლობა მართლაც ყოველთვის ეძლევათ მხარეებს, როდესაც აქტს ნოტარიუსი ადგენს. და ბოლოს, რაც შეეხება აქტის საზღაურს, არაფერი გვამდევს საფუძველს, ვიფიქროთ რომ ადმინისტრაციული ფორმა იქნება უფრო ხელსაყრელი, ვინაიდან უცნობია ადმინისტრაციული სერვისის ჩართულობის საზღაური, მაშინ როდესაც ნოტარიუსის ანაზღაურება დადგენილია 1978 წლის 8 მარტის 78-262-ე დადგენილების დებულებების მიხედვით და ადგენს ნოტარიუსების ტარიფს, რომელიც ცოტა ხნის წინ არის შეცვლილი 1986 წლის 11 მარტის 86-358-ე დადგენილებით.

## **1987 წლის 2 ივლისის პასუხი**

ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ადმინისტრაციული ფორმით შედგენილი აქტების მიღების და დამოწმების უფლებამოსილებს შესახებ

*შინაგან საქმეთა მინისტრთან დელეგირებული მინისტრის პასუხი ბ-ნ ოგიუსტ კაზალეს.*

4365. – 5 თებერვალი 1987. - ბ-ნი ოგიუსტ კაზალე წარუდგენს შინაგან საქმეთა მინისტრთან დელეგირებული ადგილობრივი თვითმმართველობების მინისტრს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების გენერალური დირექციის მიერ გამოცემულ საინფორმაციო ფურცელში სათაურით „ადმინისტრაციული ფორმის აქტები“ მითითებულია (გვ.6) რომ, „ადმინისტრაციული ფორმით შესრულებული აქტების მიღება და ავთენტირება არის საკუთრივი ძალაუფლება, რომელიც არ შეიძლება იყოს დელეგირებული“. ის კითხულობს, თუკი სავარაუდოდ, კომუნა შეისყიდის მერის მეუღლის ან ნათესავის კუთვნილებაში მყოფ მიწის ნაკვეთს, ნასყიდობისას, რომელიც არ შეიცავს დანაშაულებრივ ქმედებას, და იმის გათვალისწინებით, რომ მერს არ შეუძლია გამყიდველთან მისი ნათესავური კავშირის გამო შეადგინოს ადმინისტრაციული ფორმის აქტი, შეუძლია თუ არა მერს მოახდინოს ამ უფლების დელეგირება თავის მოადგილეზე ან ერთერთ მუნიციპალურ მრჩეველზე.

**პასუხი.** - საკასაციო სასამართლოს ძველი იურისპრუდენციის თანახმად, მერებს ჰქონდათ უფლებამოსილება კომუნის უძრავი ქონების რეალური უფლებების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ფორმის აქტების შედგენისა, რომელთაც იგივე ძალა ჰქონდათ რაც სანოტარო აქტებს და მისაღები იყო საიპოთეკო საცავებში. 1982 წლის 2 მარტის 82-213-ე შეცვლილმა კანონმა, კომუნების, დეპარტამენტების და რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, შექმნა ამ პროცედურის სამართლებრივი საფუძველი თავის 98-ე მუხლში. საინფორმაციო ბროშურაში ადმინისტრაციული ფორმის აქტების თაობაზე, რომელიც გამოიცა ადგილობრივი თვითმმართველობების გენერალური დირექციის მიერ, და რომელზეც საუბრობს პატივცემული პარლამენტარი, აღნიშნულია რომ ადმინისტრაციული ფორმით შესრულებული აქტების მიღება და

ავთენტირება არის საკუთრივი ძალაუფლება, რომელიც არ შეიძლება იყოს დელეგირებული. ეს რედაქცია კიდევ ერთხელ მტკიცდება. მართლაც, ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, მინისტრიალ ოფიცერს ან დეპუტატს მინიჭებული აქტის ავთენტირების უფლებამოსილება არის საჯარო ძალაუფლების პერსონალური დელეგირება. პერსონალურად დანიშნულ პირს აქვს საჯარო ძალაუფლების მანდატი და მას არ შეუძლია ამ ძალაუფლების დელეგირება. XI წლის 25 ვანტოზის კანონის მე-10 მუხლი ნოტარიატის ორგანიზაციის შესახებ, ამყარებს ამ პრინციპს, რამეთუ აძლევს ნოტარიუსს უფლებას მისცეს ნაფიც კლერკს უფლებამოსილება მხოლოდ წაუკითხოს მხარეებს აქტები და მიიღოს მათი ხელმოწერები, და არ აძლევს უფლებას მოახდინოს ამ აქტების ავთენტირება, რომლებზეც მხილოდ მას შეუძლია მოაწეროს ხელი. ისევე როგორც ნოტარიუსები ვერ მიიღებენ აქტებს, რომელშიც მხარეებთან ფიგურირებენ მათი ნათესავები პირდაპირი ხაზით ყველა დონეზე, და გვერდითი ხაზით ბიძის და ბიძაშვილის დონეზე ინკლუზიარად, ან რომელიც მოიცავს რამოდენიმე დებულებას მათ სასარგებლოდ, მერესაც არ შეუძლიათ მიიღონ და დაამოწმონ ადმინისტრაციული ფორმის აქტები, რომელიც მათი ოჯახის წევრებს ეხება. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული ტრანზაქციით დაინტერესებულია მერის ნათესავი, კომუნის მიერ ქონების შესყიდვის დამადასტურებელი (ავთენტური) აქტი უნდა შეადგინოს ნოტარიუსმა.

## **1987 წლის 28 სექტემბრის ცირკულარი**

ადმინისტრაციული აქტების მოტივაციის შესახებ

1979 წლის 11 ივლისის 79-587-ე კანონის თანახმად ადმინისტრაციული აქტების მოტივაციის შესახებ და ადმინისტრაციასა და საზოგადოების შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ, რომელიც შეიცვალა 1986 წლის 17 იანვრის კანონით, ძალზედ გაიზარდა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების რიცხვი სავალდებულო მოტივაციის მოთხოვნით. 1979 წლის 31 აგვისტოს და 1980 წლის 10 იანვრის ორი ცირკულარი აზუსტებს ამ კანონის გავრცელების ველს. დღეს აუცილებელია ეს ცირკულარები გადაიხედოს, რათა გათვალისწინებული იქნას შემდგომი საკანონმდებლო და სარეგლამენტო ცვლილებები და სასამართლო გადაწყვეტილებების როლი. ასეთია არსებული ინსტრუქციის საგანი, რომელიც ენაცვლება ორ წინა ცირკულარს, და რომელიც მათ მსგავსად მომზადებულია სახელმწიფო საბჭოს საანგარიშო და კვლევითი განყოფილების დახმარებით.

ამ ინსტრუქციის გავრცელების ველი მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო და მისი საჯარო დაწესებულებების ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს. მას ერთვის დანართი, რომელიც სამინისტროების მიხედვით შეიცავს იმ გადაწყვეტილებების საინდიკაციო ნუსხებს, რომელიც საჭიროებს მოტივაციას.

რაც შეეხება ტერიტორიული თვითმართველობების გადაწყვეტილებებს, მათ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების მინისტრის მიერ გაეგზავნებათ საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოტივაციის ვალდებულებებს.

არსებული ინსტრუქცია გვახსენებს 1979 წლის 11 ივლისის კანონის მოწყობის ზოგად წესებს, მას შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებს და სავალდებულო მოტივაციის შინაარსსა და ფორმას.

### **I. კანონის ზოგადი მოწყობა**

#### **1. სავალდებულო მოტივაციის ველის გაფართოება**

კანონი ზოგადად სავალდებულოს არ ხდის მოტივაციას და არ არღვევს პრინციპს, რომლის მიხედვითაც არ არსებობს მოტივაცია ტექსტის გარეშე. მაგრამ ის ძალზედ ფართოდ ავრცელებს სავალდებულო მოტივაციების არეალს :

- უარყოფითი ინდივიდუალური გადაწყვეტილებების გარკვეულ რიცხვზე, რომელზეც აწესებს შეზღუდულ ნუსხას ;

- ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც არღვევს კანონით ან რეგლამენტით დადგენილ ზოგად წესებს.

იმ გადაწყვეტილებების უმეტესობა, რომელთათვის მოტივაცია უკვე სავალდებულო იყო გარკვეული კანონების თანახმად, დაცულია 1979 წლის 11 ივლისის შეცვლილი კანონით. ყოველ შემთხვევაში, კანონები, რომელიც სავალდებულოს ხდის მოტივაციას ამ კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, ან თუ დამატებითი გარანტიის შემომტანია, უნდა კვლავაც ძალაში იყოს.

## **2.კანონის ბენეფიციარები**

უარყოფითი ინდივიდუალური ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მოტივების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ყველა ფიზიკურ პირს, ეროვნების მიუხედავად, და ყველა საჯარო თუ კერძო იურიდიულ პირს.

## **3.სავალდებულო მოტივაციის დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები**

სავალდებულო მოტივაცია მოეთხოვება უარყოფით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს.

ცნება ადმინისტრაციული გადაწყვეტილება უნდა განხილულ იქნას იურისპრუდენციის ჭრილში : ასეთი ხასიათის შეიძლება იყოს, ფორმის და დასახელების მიუხედავად, არა მხოლოდ სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობების და საჯარო დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, არამედ გადაწყვეტილებები, მიღებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საჯარო ძალაუფლების პრეროგატივა. სამაგიეროდ, აქტები, რომლებსაც არ გააჩნიათ გადაწყვეტილებების ფორმა, და კერძოდ შიდა მოწესრიგების ზომები, არ ექვემდებარებიან მოტივაციის კანონიერ ვალდებულებას.

ინდივიდუალური გადაწყვეტილების ცნება იურისპრუდენციის მიერ მკაცრად იყო გაგებული. ამგვარად სავალდებულო მოტივაციის არეალიდან ამოღებულია, არა მარტო აშკარა სარეგლამენტო გადაწყვეტილებები, მაგრამ ასევე აქტები, რომლებსაც არ აქვთ სარეგლამენტო ხასიათი, მაგრამ არ გააჩნიათ ინდივიდუალური ძალა, როგორცაა, მაგალითად, დადგენილებები რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე განცხადებას.

იურისპრუდენციამ დააზუსტა, რომ გადაწყვეტილების უარყოფითი ხასიათი ფასდება იმ პირობის შეხედულებით, რომელიც მისი უშუალო ადრესატია. ასე დამჭირავებლის მიერ მოთხოვნილი და დაკმაყოფილებული გათავისუფლების ნებართვა არ არის უარყოფითი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ ის ცხადია ესეთ ხასიათს იძენს დაინტერესებული თანამშრომლისათვის.

## **4.მოტივაციისაგან განთავისუფლება გადაუდებელ შემთხვევებში.**

მოტივაციის არარსებობა, თუკი ის გამართლებულია მისაღები გადაწყვეტილების აბსოლუტური გადაუდებლობით, არ სძენს მას არაკანონიერ ხასიათს. თუმცა, მოტივაციის არარსებობა გადაუდებელ შემთხვევაში ატარებს მხოლოდ დროებით ხასიათს : მართლაც, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მოტივები უნდა გაცხადდეს ერთი თვის ვადაში, როგორც ეს წარედგინება მოსამართლეს დავების შემთხვევაში. ამგვარად მნიშვნელოვანია, რომ გადაუდებელი შემთვეს დროსაც, გადაწყვეტილების მიმღებ თანადებობის პირს შეეძლოს მისი მოტივების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

გარდა ამისა, აქტების არცერთი კატეგორია არ თავისუფლდება მოტივაციის ვალდებულებისაგან გადაუდებლობის გამო. ის უნდა შეფასდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ყოველი გადაწყვეტილების კონკრეტულ პირობებში. საჭიროა, რომ ეს შეფასება გაკეთდეს მკაცრად: ადმინისტრაციული მოსამართლე რეალურად აკონტროლებს აბსოლიტური გადაუდებლობის ფაქტის აუცილებლობას და მის არსებობას მარტივად არ აღიარებს.

### **5. იმპლიციტური (ფარული) გადაწყვეტილებები**

კანონი უშვებს, რომ იმპლიციტური გადაწყვეტილება, რომელიც ჩნდება იმ შემთხვევებში, როდესაც ექსპლიციტური (ცხადი) გადაწყვეტილება მოტივირებული უნდა ყოფილიყო, არ არის არაკანონიერი მხოლოდ მოტივაციის არარსებობის გამო. მაგრამ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს, დაეგზავნოს გასაჩივრების ვადებში, რომ მას ეცნობოს იმპლიციტური გადაწყვეტილების მოტივები, და ეს მას უნდა შეატყობინონ მისი განცხადებიდან ერთი თვის ვადაში. გასაჩივრების ვადები ამგვარად იზრდება მეორე თვის ბოლომდე, ათვლილი იმ დღიდან, როდესაც მოტივები შეტყობინებულია. თუ პასუხი არ გაეცა შეტყობინების მოთხოვნას, ვადები გახსნილად რჩება, და გასაჩივრების შემთხვევაში პირველადი გადაწყვეტილება გაუქმდება მოტივაციის არარსებობის გამო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პასუხის დროულად გაცემა მოთხოვნებზე, რომელიც ეხება იმპლიციტური გადაწყვეტილებების გამამართლებელ მოტივებს.

## **II. – 1979 წლიდან მოყოლებული ძირითადი ცვლილებები**

ეს ცვლილებები გამომდინარეობს საკანონმდებლო და სარეგლამენტო ცვლილებებიდან და იურისპრუდენციის მიერ წარმოდგენილი კანონების ინტერპრეტაციიდან.

### **1. საკანონმდებლო და სარეგლამენტო ცვლილებები.**

#### **ა) კომპეტენციების გადაცემის შედეგები**

1979 წლის 11 ივლისის კანონის თანახმად სავალდებულო მოტივაციის მქონე გადაწყვეტილებები, რომელიც ეხებოდა ტერიტორიულ თვითმმართველობებზე გადაცემულ კომპეტენციებს, 1982 წლიდან ამოღებულ იქნასახელმწიფო გადაწყვეტილების ნუსხებიდან. ეს გადაწყვეტილებები, როგორც ადრე, უნდა მოტივირებული იყოს, მაგრამ მოტივაციის ვალდებულება დღეს ტერიტორიულ თვითმმართველობებს ეკისრება.

#### **ბ) 1986 წლის 17 იანვრის № 86-87 კანონი საციალური ტიპის სხვადასხვა დებულების შესახებ**

1986 წლის 17 იანვრის კანონმა შეავსო 1979 წლის 11 ივლისის კანონი აქტების ახალი კატეგორიით, რომელიც სავალდებულოდ საჭიროებს მოტივირებას: ნებართვის უარყოფას. სავალდებულო მოტივაცია ვრცელდება ნებართვის უარყოფის მთლიან ერთიანობაზე, მაშინაც როდესაც მოთხოვნილი ნებართვის გაცემა არ წარმოადგენს უფლებას. ეს მოთხოვნა ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, როდესაც ადმინისტრაციისაგან მოთხოვნილი ზომა ოფიციალურად აღიარებულია, როგორც ნებართვა, მაგალითად, საჯარო სფეროს დაკავების ნებართვები, ან საჯარო მოხელის შემთხვევაში შვებულების აღება. ის ფარავს ასევე ნებართვასთან ასიმილირებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც კერძოდ კვალიფიცირდება, როგორც თანხმობა, მიღება, აპრობაცია, უფლება ან უფლებამოსილება თუ დაშვება.

თუმცა, 1986 წლის 17 იანვრის კანონის რეფერირების თანახმად 1978 წლის 17 ივლისის კანონის მე-6 მუხლზე, სახვადასხვა ზომების შესახებ ადმინისტრაციისა და საზოგადოების ურთიერთობის

გაუმჯობესების თაობაზე, ადმინისტრაციას არ მოეთხოვება ნებართვაზე უარის თქმის მოტივირება, როდესაც მოტივების მითითება ზიანს აყენებს :

- ეროვნული თავდაცვის საიდუმლოებას, საგარეო პოლიტიკას ;
- ვალუტას და საჯარო კრედიტს, სახელმწიფო და საჯარო უსაფრთხოებას ;
- იურისდიქციებში (სასამართლოებში) დაწყებული პროცესების განხორციელებას, ან ამ პროცედურების წინასწარ ოპერაციებს, გარდა კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვისა ;
- პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პერსონალურ და სამედიცინო საქმეებს.

### გ) მოტივაციის ვალდებულება და შეჯიბრობითობის პროცედურის დაცვა

1983 წლის 28 ნოემბრის n 83-1025-ე დადგენილება ადმინისტრაციის და მომხმარებლების ურთიერთობის შესახებ ითვალისწინებს კერძოდ, რომ 1979 წლის 11 ივლისის კანონის თანახმად, მოტივირებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინტერესებული პირი წარადგენს წერილობით შენიშვნებს, და გასაჩივრების შემთხვევაში - ზეპირ შენიშვნებს.

თუმცა ამ პოცედურის ვალდებულებას გააჩია რამოდენიმე შეზღუდვა. კერძოდ ის არ ვრცელდება :

- გადაუდებელ შემთხვევებზე და განსაკუთრებულ გარემოებებზე ;
- როდესაც ეს გამართლებულია საზოგადოებრივი წესრიგის საჭიროებით და საერთაშორისო ურთიერთობების მართვით ;
- იუსტიციის მინისტრის დაქვემდებარეში მყოფ სერვისებზე ;
- სერვისის ურთიერთობებზე მის თანამშრომლებზე.

ამასთანავე, ის არ არის გამართლებული, როდესაც საქმე ეხება თვითონ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნას. მაგრამ ის მკაცრად უნდა იყოს დაცული როდესაც სერვისები საკუთარი ინიციატივით იღებენ ზომებს, რომელიც ექვემდებარება მოტივირებას.

## 2. იურისპრუდენციის მიერ მოცემული კანონის ინტერპრეტაცია

იურისპრუდენციამ ძირითადად დაადასტურა წინა ორი 1979 და 1980 წლების ცირკულარების მიერ კანონის ინტერპრეტაცია. მაგრამ მან მაინც გააუქმა რამოდენიმე ინტერპრეტაცია; გადაწყდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფიგურირებენ ცირკულარებზე დართულ ნუსხებში, დადგენილებები, რომელიც ეხება საზოგადოებრივ სარგებლს ან ტერიტორიული კლასიფიცირებას, არ საჭიროებს მოტივირებას (მათ არ აქვთ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების ფორმა) : აგრეთვე საჯარო საქმიანობის სფეროში, მიჩნეულ იქნა, რომ, სტაჟიორის განაკვეთზე აყვანაზე უარი არ საჭიროებს მოტივირებას, თუკი არ არის გამოწვეული დისცუპლინური მიზეზით ; საპირისპიროდ, იურისპრუდენციას მიეცა საშუალება ჩაერთო სავალდებულო მოტივირების ველში გადაწყვეტილებები, რომელიც ცირკულარში არ არის ნახსენები, მაგალითად საგადასახადო საურავები.



არსებულ ინსტრუქციასთან დართული ნუსხები ითვალისწინებს სასამართლო პრაქტიკას. მაგრამ, თუკი სერვისებს აქვთ პრაქტიკა, რომელიც სცდება კანონის მოთხოვნებს, ეს მიდგომა მისასაღებელია, რადგანაც არაფერს არ უშლის გადაწყვეტილების მოტივების მითითება, მაშინაც კი როდესაც ეს სავალდებულო არ არის.

### **III. - მოტივაციის შინაარსი და ფორმა**

#### **1. მოტივაცია უნდა იყოს წერილობითი, მკაფიო და ზუსტი**

მოტივაცია უნდა იყოს წერილობითი და მოიცავდეს ფაქტის და უფლების შეფასებების ფორმულირებას, რომელიც გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს. ის ვერ შემოიფარგლება ზედმიწევნით დაწერილი ტექსტით. ის ასევე ვერ დაეყრდნობა დამატებითი დაზუსტების გარეშე „დროის და ადგილის გარემოებებს“. აკრძალულია ასევე ბუნდოვანი და ზოგადი ფორმულირებები, სურვილის გაცხადებები, პოლემიკები, დაპირებები და სინანულის გამოხატულებები. ძალაში მყოფ კანონებზე და რეგლამენტებზე უბრალო რეფერირება, კერძოდ ისეთი ფორმულირებებით, როგორიცაა „ადგილი ჰქონდა...“ ან „აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო...“ უნდა გამოირიცხოს.

აგრათვე, მოთხოვნის უკუსაგდებად არ არის საკმარისი იმის განცხადება, რომ კანონებში ჩამოყალიბებული პირობები არ არის შესრულებული ; უნდა მითითებული იქნას რა საკითხზე და რაში არ არის ის შესრულებული.

ასევე არ არის საკმარისი მოტივი, რომელშიც აქტის ავტორი შემოიფარგლება შესაბამისი წესის რეპროდუცირებით ან პერიფრაზით, და არ მიუთითებს თუ როგორ და რატომ მივყავართ ამ წესს კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებამდე.

#### **2. რეფერირებადი მოტივაცია პრინციპში აკრძალულია**

მოტივაცია რომელიც ახდენს რეფერირებას მოსაზრებაზე, წინადადებაზე, ანგარიშზე და სხვა, გამორიცხულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავმოყრილია შემდეგი გარემოებები :

- ამ დოკუმენტების დასკვნები (მოსაზრებები, წინადადებები და სხვა) თვითონვე პასუხობს მოტივაციასთან დაკავშირებულ კანონიერ მოთხოვნებს ;
- აქტის ავტორი აცხადებს, რომ აითვისა ეს მოტივები ;
- მოსაზრების, წინადადების და ა.შ. ტექსტი, რომელიც მოიცავს მოტივების ფორმულირებას, ჩართულია თვით გადაწყვეტილების ტექსტში, ან მასზეა მიბმულია.

#### **3. მოტივაცია უნდა იყოს ერთდროულად ლაკონური და სრული**

როდესაც არსებობს ერთი ან რამოდენიმე სერიოზილი მოტივი გადაწყვეტილების მისაღებად, და შესაძლოა სხვა საექვო მოტივები იყოს მოყვანილი, უნდა შევეცადოთ მოვერიდოთ ამ უკანასკნელებზე დაყრდნობას და მათ გავითვალისწინებას. სამაგიეროდ, თუკი რამოდენიმე სერიოზული მოტივი შეადგენს გადაწყვეტილებისათვის აუცილებელ საფუძველს, ყოველი მათგანი უნდა გაცხადდეს. თუკი არსებობს მოტივებს შორის ლოგიკური კავშირი, არ უნდა გამოვტოვოთ არცერთი მსჯელობისათვის აუცილებელი ელემენტი. ყოველთვის, როდესაც გადაწყვეტილება ნაკარნახევია ობიექტური ფაქტორების კომბინაციით (ასაკი, რესურსების დონე გარემოებები და ა. შ.) მოტივაცია სათანადოდ დგინდება ამ ფაქტორების გაცხადებით. როდესაც ადმინისტრაციას აქვს შეზღუდული კომპეტენცია (არა დისკრეციული უფლება), ანუ მას არ შეუძლია კანონიერად მიიღოს

სხვა გადაწყვეტილება, ვიდრე ის რომელიც უნდა დადგეს, უნდა გაცხადდეს კანონიერი მოტივი და მხოლოდ ის.

ლაკონურობა განსაკუთრებით რეკომენდირებულია იმ შედეგების დროს, რომელიც კავშირშია პირის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობასთან, და გარდა დისციპლინარულ საკითხებისა, მის ქცევასა და მორალთან. ამ შემთხვევაში რეფერირებადი მოტივაცია, შეიძლება უპრიანი იყოს.

#### **4. მოტივაცია უნდა ადაპტირებული იყოს საქმის გარემოებებთან**

მოტივაციის საქმის გარემოებებთან ადაპტირების აუცილებლობა ყოველთვის არ გამოირიცხავს სტანდარტულ მოტივაციებს. თუმცა, ისინი უნდა შეესაბამებოდეს საბუთის მონაცემებს.

სტანდარული მოტივაცია, რომელმაც შეიძლება ბროშურის სახე მიღოს, დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში :

- როდესაც გადაწყვეტილების ავტორი შემოიფარგლება ობიექტური გარემოების რეალიზაციის კონსტატაციით, ყოველგვარი შეფასების გარეშე ;
- როდესაც ფაქტის შეფასების შესახებ დეტალური ახსნის გაცხადებამ, რომელსაც ეყრდნობა გადაწყვეტილება, შესაძლოა დააზარალოს დაინტერესებული პირი.

#### **5. შეზღუდულ გარემოებებს დაქვემდებარებული ნებართვები**

რაც შეეხება შეზღუდულ გარემოებებს დაქვემდებარებულ ნებართვებს, როგორც წესი, მათ არ ესაჭიროებათ დამატებითი ოფიციალური მოტივაცია, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი თვითონ განმარტავენ შინაარსს.

ამგვარად, მშენებლობის უფლებას დართული სპეციალური წესების საკმარისად ზუსტი ფორმულირება შეიძლება თავადვე წარმოადგენდეს სწორ მოტივაციას.

ადმინისტრაციული ფორმულარები (ფორმები), რომლებიც როგორც წესი გათვალისწინებულია შეზღუდულ გარემოებების გადაწყვეტილებებისათვის, შესაბამისად უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ტიპის გარემოებებს, და რეფერირებას ახდენდეს არა მარტო იმ კანონის ტექსტზე თუ დადგენილებებზე, რომლისაც დაეყრდნობა შეზღუდვა, არამედ თვით ამ დებულებების ტექსტზე. ტექსტის კომბინაცია, რომელიც უფლებამოსილს ხდის ადმინისტრაციას დაადგინოს ამგვარი გარემოებები თვით ამ გარემოების შინაარსთან, უმეტეს შემთხვევაში საკმარის მოტივაციას წარმოადგენს.

ეს მითითებები დართულ ნუსხებთან ერთად, უნდა დაეხმაროს სერვისებს უკეთ გამოიყენონ სავალდებულო მოტივაციის წესები. გთხოვთ შემატდეთ, მთავრობის გენერალური სამდივნოს მარკით (timbre), თქვენი მოსაზრებები ამ ინსტრუქციის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

#### **დანართი**

სამინისტროს მიერ შექმნილი ადმინისტრაციული აქტების ნუსხა, რომელიც საჭიროებს მოტივაციას

**XXV. სამოტივაციო გადაწყვეტილებები კვლევისა და უმაღლესი განათლების სამინისტროში**

**A. – გადაწყვეტილებები, რომელიც ზღუდავს საზოგადოებრივი თავისუფლებების გამოყენებას ან შეიცავს პოლიციურ ზომას**

---

---

#### **4. გამოხატვის თავისუფლება**

უნივერსიტეტის რექტორის უარი უნივერსიტეტის გარე ტერიტორიაზე შეკრების დაშვებაზე (1971 წლის 22 იანვრის n 71-66-ე დადგენილება და 1985 წლის 31 ივლისის n 85-827-ე დადგენილება)

#### **5. უფლება ინფორმაციის მიღებაზე**

უარი ადმინისტრაციული ინფორმაციის გაცემაზე (1978 წლის 17 ივლისის კანონი).

---

#### **7. განათლების და სტაჟირების განხორციელების და მიღების თავისუფლება**

უარი სწავლების განხორციელებაზე ან კერძო დაწესებულების გახსნაზე (1850 წლის 5 მარტის კანონი და 1850 წლის 5 დეკემბრის დადგენილება, 1875 წლის 12 ივლისის კანონის და 1876 წლის 25 იანვრის დადგენილება) ;

უარი სტუდენტის ჩაწერზე უნივერსიტეტში ( 1984წლის 26 იანვრის კანონის მე-14 მუხლი და 1971 წლის 13 მაისის n 71-376-ე დადგენილება, შეცვლილი 1977 წლის 27 მაისის n 77-568-ე დადგენილებით და 1977 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით, ილ-დე-ფრანსის რეგიონი, 1985 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით) ;

უარი სტუდენტის გადაყვანაზე ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში (1971 წლის 13 მაისის n 71-376-ე დადგენილების მე-13 მუხლი).

#### **8.საჯარო სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობა**

სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის (CNRS) საჯარო მოხელეთა შიდა კონკურსში კანდიდატების უარყოფა (1983 წლის 30 დეკემბრის n 83-1260-ე დადაგენილების 66-ე მუხლი) ;

სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის (CNRS) შიდა კონკურსის კანდიდატების უარყოფა (1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405-ე დადგენილების 28-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკონტრაქტო ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პერსონალის სტატუსს) ;

უარი კონკურსში მიღების მონაწილეობაზე DR 2 ხარისხის მისაღებად, რომელსაც გასცემს EPST (მეცნიერულ-ტექნოლოგიური საჯარო დაწესებულება) [1983 წლის 30 დეკემბრის n83-1260-ე დადგენილების მე-40 (1) მუხლი].

#### **9.ადგილობრივი თვითმმართველობების და სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების თავისუფლება**

ბიუჯეტების დაგეგმარება რექტორი-კანცლერების და მინისტრების მიერ (1984 წლის 26 იანვრის კანონი [მუხლი 42-ე და 48-ე] 1985 წლის 22 იანვრის n 85-79 დადგენილება [მუხლები მე-8 და მე-9]) ;

სამეურვეო და სააპრობაციო ბიუჯეტების მოდიფიკაცია სხვა, არა ტექნიკურ-ფინანსური მიზეზების გამო (1984 წლის 26 იანვრის კანონის 42-ე და 48-ე მუხლები და 1985 წლის 22 იანვრის n 85-79 დადგენილება) ;

რექტორის ან მინისტრის მიერ მიღებული სამეურვეო აქტები შემდეგი მუხლების თანახმად : 1984 წლის 26 იანვრის კანონის 46-ე-48-ე მუხლები და 1985 წლის 22 იანვრის n 85-79 დადგენილება (მუხლი 43). 1953 წლის 10 დეკემბრის n 53-1227 დადგენილება.

## **B.- გადაწყვეტილებები, რომელიც აწესებს სანქციებს**

**1. სანქციები საჯარო მოხელეების, ადმინისტრაციის კონტრაქტორების, ზოგადი ინტერესის საქმიანობით დაკავებული პირების და რეგლამენტირებული პროფესიული საქმიანობის მქონე პირების წინააღმდეგ**

დისციპლინარული საბჭოების გადაწყვეტილებები დაწესებულებებში, რომელიც არ ექვემდებარება უმაღლესი განათლების შესახებ კანონს;

მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) დირექტორის მიერ დადგენილი დისციპლინარული სანქციები (1980 წლის 17 იანვრის n 80-31 დადგენილების 42-ე მუხლი, რომელიც ადგენს ცენტრის (CNRS) კონტრაქტორი მკვლევარების სტატუსს, და 1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების მე-40 მუხლი, რომელიც ადგენს ცენტრის (CNRS) კონტრაქტორ ტექნიკურ-ადმინისტრაციულ პერსონალის სტატუსს.

## **2. ადმინისტრაციული სანქციები საჯარო სერვისების მომხმარებელთა წინააღმდეგ**

დისციპლინარული საბჭოების გადაწყვეტილებები დაწესებულებებში, რომელიც არ ექვემდებარება კანონს უმაღლესი განათლების შესახებ სტუდენტების და მსმენელების წინააღმდეგ.

**C. - გადაწყვეტილებები, რომელიც აკონტროლებს ნებართვის გაცემას შეზღუდული პირობით ან ახორციელებს ზეწოლას**

ინსტიტუტების და საინტერნო სკოლების უარყოფითი შეფასება ინსტიტუტების და საინტერნო სკოლების პერსონალის დამტკიცებაზე (1984 წლის 26 იანვრის კანონის უმაღლესი განათლების შესახებ 33-ე მუხლი)

**D. გადაწყვეტილებები, რომელიც გამოიწვევს ან აუქმებს უფლებების შემოქმედებით გადაწყვეტილებას**

ეროვნული ბაკალავრიატის და მასტერის დიპლომების გაცემის უფლებამოსილების შეჩერების ან ჩამორთმევის გადაწყვეტილება (1976 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების მე-5 მუხლი) ;

უმაღლესი განათლების სტიპენდიის მოხსნა ან შეკვეცა სოციალური კრიტერიუმების მიხედვით ;

უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ტექნიკური ან ადმინისტრაციული კონტრაქტორი თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც არ მოითხოვა აღდგენას სამხედრო სამსახურის მოხდის (შვებულების) შემდეგ (1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 36-ე მუხლი და 1968 წლის 14 ნოემბრის n 68-986 დადგენილება) ;

უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ტექნიკური ან ადმინისტრაციული კონტრაქტორი თანამშრომლის განთავისუფლება, რომელიც უარს აცხადებს სამსახურეობრივ ინტერესებში სხვა თანამდებობაზე გადაყვანაზე იმავე დეპარტამენტში (1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 44-ე მუხლი და 1968 წლის 14 ნოემბრის n 68-986-ე დადგენილება) ;

უმადლეს სასწავლებლებში მომუშავე ტექნიკური ან ადმინისტრაციული კონტრაქტორი თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც სამჯერ თქვა უარი სამსახურებრივ შემოთავაზებებზე 1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 46-ე მუხლის თანახმად 1968 წლის 14 ნოემბრის n 68-986 დადგენილება) ;

უმადლეს სასწავლებლებში მომუშავე ტექნიკური ან ადმინისტრაციული კონტრაქტორი თანამშრომლის განთავისუფლება არასაკმარისი პროფესიონალიზმის მიზეზით (1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 47-ე მუხლი და 1968 წლის 14 ნოემბრის 68-986 დადგენილება) ;

სპეციალურ კლასებში, უნივერსიტეტის პროფესორების დატოვების უფლებაზე უარის თქმა, როდესაც ისინი დარეგისტრირებულნი არიან პროფესიულ გადამხდელებად (1984 წლის 6 ივნისის n 84-431 დადგენილების 57-ე მუხლი) ;

თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც არ მოითხოვა აღდგენა პირადი მიზნით გამოყენებული შვებულების შემდეგ (1980 წლის 17 იანვრის n 80-31 დადგენილების 36-ე მუხლი, რომელიც ადგენს მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) კონტრაქტორი მკვლევარების სტატუსს და 1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 31-ე მუხლი);

თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც არ მოითხოვა აღდგენა სამწლიანი უხელფასო შვებულების შემდეგ, ან ფიზიკური ქმედუნარიობის გამო სამედიცინო ბიულეტენიდან გამოსვლისას ან ბავშვის მოვლის მიზეზის გამო (1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 35-ე მუხლი) ;

თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც არ მოითხოვა აღდგენა სამხედრო სამსახურის მოხდის (შვებულების) შემდეგ (1980 წლის 17 იანვრის n 80-31 დადგენილების 37-ე მუხლი, რომელიც ადგენს მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) კონტრაქტორი მკვლევარების სტატუსს და 1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 36-ე მუხლი) ;

ტექნიკური ან ადმინისტრაციული თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც უარი განაცხადა სამსახურის ინტერესებში იმავე დეპარტამენტში სხვა თანამდებობაზე გადაყვანაზე 1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 46-ე მუხლის თანახმად ;

ტექნიკური ან ადმინისტრაციული თანამშრომლის განთავისუფლება, რომელმაც სამჯერ განაცხადა უარი შემოთავაზებულ თანამდებობებზე 1959 წლის 9 დეკემბრის 59-1405 დადგენილების 46-ე მუხლის თანახმად ;

გათავისუფლება არასაკმარისი პროფესიონალიზმის მიზეზით (1980 წლის 17 იანვრის n 80-31 დადგენილების 48-ე მუხლი და 1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1405 დადგენილების 47-ე მუხლი და 1984 წლის 27 ნოემბრის n 84-1185 დადგენილების მე-5 მუხლი) ;

აკადემიის რექტორის მიერ სტიპენდიანტთან დადებული სამუშაო კონტრაქტის გაწყვეტა (1985 წლის 3 აპრილის n 85-402 დადგენილების მე-3 მუხლი სამეცნიერო სტუპენდიების შესახებ) ;

სამეცნიერო -კვლევითი სამინისტროს მინისტრის გადაწყვეტილება შეწყვიტოს ან შეკვეცოს კვლევების დაფინანსება (1959 წლის 9 დეკემბრის n 59-1397 დადგენილება, მეცნიერული და ტექნიკური კვლევის ფონდის შექმნის შესახებ და შეცვლილი 1975 წლის 29 ოქტომბრის n 75-1002 დადგენილება).

**F. - გადაწყვეტილებები, რომლებიც უარყოფენ პრივილეგიას, რომლის მინიჭება წარმოადგენს იმ პირების უფლებას, ვინც აკმაყოფილებს საკანონმდებლო მოთხოვნებს**

უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებისათვის კრიტერიუმების მიხედვით ფუნქციონირებისათვის მინიჭებული დაფინანსების შეკვეცა ;

უარი საარჩევნო სიებში ჩაწერაზე უნივერსიტეტებს და სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებს (1985 წლის 18 იანვრის n 85–59 დადგენილების მე–7–18 მუხლები) ;

უარი უმაღლესი განათლების სტიპენდიის მინიჭებაზე სოციალური კრიტერიუმების მიხედვით ;

აკრძალვა მასწავლებლისათვის ლიბერალური პროფესიის საქმიანობისა, რომელიც მისი ფუნქციების ხასიათიდან არ გამომდინარეობს ( 1936 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე–3 მუხლი) ;

უარი სამუშაო სტაჟის ბონუსის მინიჭებაზე თანამდებობაზე დანიშვნის დროს (1984 წლის 6 ივნისის n 84–431 დადგენილების 39–ე მუხლი და 1983 წლის 30 დეკემბრის n 83–1260 დადგენილების მე–11 მუხლი) ;

უარი პრივილეგიის მინიჭებაზე, რომელიც წარმოადგენს პრეროგატივას საჯარო მოხელეების კორპუსის წევრთათვის, და ზოგიერთი ფუნქციონირებული პირისათვის (მაგალითად, პროფესორების პრიორიტეტი მაგისტრალური ლექციების წაკითხვისას) ;

უარი სამუშაოს თანაბარ გადანაწილებაზე (1983 წლის 30 დეკემბრის n 83–1260 დადგენილების მე–19 დე 41–ე მუხლები) ;

უარი თანაბარ კვალიფიკაციაზე (1983 წლის 30 დეკემბრის n 83–1260 დადგენილების მუხლები 82 [1], 95[1],107[1], 122[1] ;

უარი სამეცნიერო კვლევის ეროვნული კომიტეტის ჩაწერაზე საარჩევნო სიაში (1986 წლის 17 ნოემბრის n 86–1191 დადგენილების მე–2 მუხლი ეროვნული კომიტეტის სექციების შესახებ) ;

უარი პარტიტული ადმინისტრაციული კომისიების ჩაწერაზე საარჩევნო სიაში (1960 წლის 2 იანვრის ბრძანების მე–19 მუხლი, CNRS ადმინისტრაციული და ტექნიკური კონტრაქტორი პერსონალის პარტიტული კომისიის მოწყობის შესახებ) ;

უარი ავადმყოფობის მიზეზით შვებულების გაცემაზე კონტროლის შემდეგ (1980 წლის 17 იანვრის n 80–31 დადგენილების 32–ე მუხლი) ;

აკადემიის რექტორის უარი სამუშაო კონტრაქტის გაფორმებაზე კანდიდატთან, რომელიც არ აკმაყოფილებს ასაკის, დიპლომის და კვალიფიკაციის მოთხოვნებს სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად (1985 წლის 3 აპრილის ბრძანება, სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად საჭირო მოთხოვნების შესახებ).

#### **G. – გადაწყვეტილებები, რომელიც არღვევს კანონით ან რეგლამენტით დადგენილ ზოგად წესებს**

სტუდენტის რეგისტრაცია მისაღები ვადის გასვლის შემდეგ (1971 წლის 13 მაისის n 71–370 დადგენილება).

#### **H. - გადაწყვეტილებები, რომელიც უარყოფს ნებართვის გაცემას**

უარი ნებართვის გაცემაზე სამედიცინო და სასწავლო პერსონალის წევრისათვის კვლევის და კონსულტაციების განხორციელებაზე (1984 წლის 2 თებერვლის n 84–135 დადგენილების მე–6 მუხლი , 1981 წლის 27 იანვრის n 81–61 დადგენილების 34–ე მუხლი,1965 წლის 22 სექტემბრის n 65–04 დადგენილების მე–9 მუხლი) ;

უარი სასწავლო-კვლევით დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის დაჯამებაზე ფარმაცევტის საპოსპიტალო სრულ განაკვეთთან (1975 წლის 8 აპრილის n 75–226 დადგენილება) ;

უარი (რექტორის მიერ) საუნივერსიტეტო გამოცდებისათვის კერძო გაკვეტილების სახით მომზადებაზე (1936 წლის 25 ოქტობრის დადგენილების მე-2 პუნქტის მე-3 მუხლი და 1964 წლის 31 ივლისის n 64–342 ცირკულარი და 1969 წლის 16 იანვრის III 69–20) ;

უარი უმაღლესი განათლების საჯარო და კერძო დაწესებულებისათვის უფლებამოსილების გაცემაზე სტიპენდიანტების მისაღებად ;

უარი უმაღლესი განათლების საჯარო და კერძო დაწესებულებისათვის სტუდენტური სოციალური დაზღვევის მინიჭებაზე.

### **1988 წლის 8 დეკემბრის პასუხი**

მერიების მიერ კუთვნილების სერტიფიკატების (რწმუნებულებების) გაცემის შესახებ

*შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი ბ–ნ ფილიპ ფრანსუას.*

1292. – 25 აგვისტო 1988 წ. – ბ–ნი ფილიპ ფრანსუა ეკითხება ბ–ნ შინაგან საქმეთა მინისტრს, აუხსნას არის თუ არა მერის მიერ გაცემული კუთვნილების სერტიფიკატი მისი არადისკრედიული უფლება (compétence liée.) და შეუძლება თუ არა მას მოიხსნას ეს ვალდებულება, იმის დაშვებით, რომ მას ხელთ არსებული ინფორმაციები არასაკმარისად მიაჩნია, რათა მიზანშეწონილად ჩათვალოს ამ დოკუმენტის გაცემა.

**პასუხი.** – კუთვნილების დოკუმენტებს (სერტიფიკატებს) ადგენენ ნოტარიუსები, საინსტანციო მოსამართლეები ან სასამართლო მდივნები, ისევე როგორც ზოგიერთი უცხოური ორგანოები. მერებს არ აქვთ მათი შედგენის უფლება. დოკუმენტებს, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებას მემკვიდრის დასადგენად, და რომელიც გაიცემა მუნიციპალური მოსამართლეების მიერ, ეწოდებათ სამკვიდრო მოწმობები. ეს მოწმობები არ გამომდინარეობს საკანონმდებლო ან სარეგლამენტო დებულებიდან, ისინი გამომდინარეობს ადმინისტრაციული პრაქტიკიდან და ხელმძღვანელობს საჯარო ფინანსების დირექციის ცირკულარებით, რომელიც ითვალისწინებს, რომ დღეისათვის დადგენილი 10 000 ფრანკის ოდენობის თანხების ანაზღაურება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მემკვიდრეთათვის შესაძლოა მოხდეს მერის მიერ გაცემული უბრალო სამკვიდრო მოწმობის წარდგენით. გარდა ამისა, სინამდვილეში ეს დოკუმენტები ასევე გამოიყენება საჯარო ფინანსების დირექციის ინსტრუქციებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მაგალითად სამკვიდროში მოხვედრილი მანქანებისათვის სანომრე ნიშნების გაცემისას, ან სათვალავში ჩაწერილი მოძრავი ფასეულობების გადაცემისას მემკვიდრეებისათვის. სამკვიდრო მოწმობები, რომელიც სწრაფად და დანახარჯების გარეშე შედგენილი, ძალიან ხელსაყრელია მომხმარებლებისათვის. მაგრამ მერებს არ მოეთხოვებათ მათი გაცემა, ყოველ შემთხვევაში, მათ ევალებათ სუვერენულად შეამოწმონ ყველა დოკუმენტის შემთხვევებში, გააჩნიათ თუ არა მათ საკმარისი საინფორმაციო ელემენტები, რათა შეადგინონ მოთხოვნილი ატესტაციები, და რომელიც მათ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამის არარსებობის შემთხვევაში, მემკვიდრეებმა უნდა მიმართონ ნოტარიუსს, რომლის კომპეტენციაა გასცეს მემკვიდრის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ ამ გამარტივების ზომის გამო.

### **1993 წლის 22 ივლისის პასუხი**

„წავიკითხე და ვეთანხმები“ – ცნების იურიდიული მნიშვნელობის შესახებ

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ–ნ ფილიპ მარინის .*

1039. – 13 მაისი, 1993. – ბ–ნი ფილიპ მარინი თხოვს ბ–ნ იუსტიციის მინისტრს დაუზუსტოს რა განვითარებას ვარაუდობს საკასაციო სასამართლოს პირველი პალატის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც გააუქმა კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის 9 იანვრის ბრძანება და ჩათვალა, რომ კონტრაქტის ბოლოს მითითებული ცნება „წავიკითხე და ვეთანხმები“ წარმოადგენს ყოველივე შინაარსს მოკლებულ ფორმულირებას.

**პასუხი.** – რადგან იუსტიციის მინისტრი, ძალუფლების სავალდებულო გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ გამოხატავს ვერანაირ აზრს სასამართლო გადაწყვეტილებაზე, არ გვესახება, რომ 1993 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანა საკასაციო სასამართლოს პირველმა სამოქალაქო პალატამ, რომელსაც ახსენებს პატივცემული პარლამენტარი, გვთავაზობდეს ახალ გამოსავალს. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმულირებას „წავიკითხე და ვეთანხმები“ აქვს პრაქტიკული უპირატესობა, მიაპყროს კერძო სახის აქტის ხელმომწერის ყურადღება საკუთარი ქმედების მნიშვნელობაზე, ეს ცნება ყოველთვის განიხილებოდა – მინიმუმ, ორმხრივი (synallagmatiques) კონტრაქტების შემთხვევაში – როგორც არაფორმალური ხასიათის ფორმულირება, რომლის დასმა არ გამოიყენება არც აქტის ნამდვილობისათვის და არც მტკიცებულებისათვის, და მითუმეტეს ვერ ჩაანაცვლებს მხარეების ხელმოწერების არარსებობას. შესაბამისად, კანცელარია არ გეგმავს არანაირ სპეციალურ ინიციატივას ამ მიმართულებით.

### **1995 წლის 26 იანვრის წერილი**

საცხოვრებლის ქირავნობის და გირაოს ხელნაწერი ჩანაწერის (სანოტარო აქტის) შესახებ

*იუსტიციის მინისტრის წერილი ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს თავჯდომრეს.*

თქვენ მიმაქცევინეთ ყურადღება 1989 წლის 6 ივლისის კანონის ახალ 22–1 მუხლზე, ქირავნობის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ, გამომდინარე საცხოვრისის შესახებ 1994 წლის 21 ივლისის კანონიდან.

ამ კანონის მეორე პუნქტი, ითვალისწინებს რომ პირი, რომელიც თავდებად (გირაო) უდგება, ხელმოწერის წინ უნდა გააკეთოს ხელნაწერი ჩანაწერი, სადაც მითითებული იქნება ქირის თანხა და მისი გადახედვის პირობები, და რომელიც მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოხატავს, რომ იცნობს საკუთარი ვალდებულების ხასიათს და მაშტაბს და მოყავს 22–1 მუხლის პირველი პუნქტი, გირაოთი მისი გარანტიის გაუქმების პირობების შესახებ.

თქვენ სვავთ კითხვას, როგორ გამოიყენება ეს დებულებები სანოტარო აქტით გაცემულ საგარანტიო დეპოზიტებზე.

თუ ზედმიწევნით მივყვებით 22–1 მუხლს, ის განსაკუთრებულად არ ათავისუფლებს გირაოს ფორმლობის დაცვისაგან, როდესაც აქტი სანოტარო ფორმით არის შესრულებული, განსხვავებით სამომხმარებლო კოდექსის L .313–7-ე მუხლისა, რომელიც მოითხოვს წერილობით ჩანაწერს უძრავი და მოძრავი ქონების კრედიტის შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც გარანტია გაცემულია კერძო სახით შესრულებული აქტით.

ამასთანავე, 1989 წლის კანონის 22–1 მუხლის მიხედვით წერილობითი ჩანაწერი სავალდებულოა, სხვა შემთხვევაში საგარანტიო დეპოზიტი უქმდება. აქედან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელმა არ მოიაზრა ეს წესი მხოლოდ მტკიცებულების წესად. ასე რომ ყოფილიყო, ეს კანონი ვერ გამოიყენებოდა



სანოტარო აქტისათვის, იმ თვალსაზრისით, რომ „სანოტარო აქტს სრული კანონის ძალა აქვს იმ შეთანხმებაზე, რომელსაც მოიცავს“ (C. civ. art. 1319).

თუმცა, საპარლამენტო დოკუმენტებიდან და დებატებიდან საცხოვრებლის კანონის თაობაზე გამომდინარეობს, რომ სანოტარო აქტის სპეციფიკა არსად არ არის ნახსენები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარლამენტს შეგნებულად არ მოუნდა გაეთანაბრებინა იდენტურ რეჟიმში კერძო სახით გაფორმებული აქტი და ნოტარიუსის მიერ შედგენილი აქტი. მართალია, ქირავნობის სფეროში, საგარანტიო დეპოზიტი უფრო ხშირად გაიცემა კერძო სახით გაფორმებული აქტის სახით, რითიც შეიძლება აიხსნას ის, რომ კანონმდებელი არ ჩაუღრმავდა სანოტარო აქტის განსაკუთრებულ ხასიათს. გარდა ამისა, როგორც თქვენ აღნიშნავთ, ხელნაწერი ჩანაწერი ზოგადად თითქმის არ შეესაბამება 1971 წლის 26 ნოემბრის დადგენილების დებულებებს ნოტარიუსების მიერ შედგენილი აქტების შესახებ, და კეძოდ ამ დადგენილების მე-10 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს, რომ აქტის კორპუსში არ არის არცერთი დამატება.

და ბოლოს ნიშანდობლივია, რომ საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლი, რომელიც მიახლოებული უნდა იყოს 1989 წლის 6 ივლისის კანონის ახალ 22-1 მუხლთან, არ ვრცელდება ავთენტურ აქტზე (Cass. com. 20 mars 1990 : Bull. civ. IV, n83. – Cass. 1ère civ. 2 juillet 1991: Bull. civ. I, n225).

პირველ ნახსენებ დოკუმენტში საჩივრდებოდა ბრძანება, რომელიც აღიარებდა დეპოზიტის ნამდვილობას, ერთადერთი მოტივით, რომ სავალდებულო ხელნაწერი ჩანაწერი მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ კერძო სახით შედგენილი აქტების საგარანტიო დეპოზიტებზე. საკასაციო სასამართლომ არ მიიღო საჩივარი, ჩათვალა რა, რომ ავთენტურ აქტში დათქმული საგარანტიო დეპოზიტი არ პასუხობდა სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის მოთხოვნებს. ბრძანება არ განმარტავს (explicite) მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ არ ასკვნის ამ გარემოებიდან, რომ 1326-ე მუხლი მოთავსებულია პარაგრაფში სათაურით „კერძო სახით შესრულებული აქტის შესახებ“. გარდა ამისა ცნობილია, რომ საკასაციო სასამართლოსათვის სამოქალაქო კოდექსის 1326-ე და 2015-ე მუხლების კომბინაციაში გაწერილი წესები არის მტკიცებულების წესები, რომლის საბოლოო მიზანია გირაოს დაცვა (Cass. 1ère civ. 15 nov. 1989 : Bull. civ. I, n 348. – Cass. com. 26 juin 1990 : Bull. civ. IV, n189). ამიტომ დასაშვებია ვიფიქროთ, რომ სასამართლომ ჩათვალა, რომ ავთენტური აქტები არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლში არა იმიტომ, რომ ეს კანონი ეხება მხოლოდ კერძო სახით შედგენილ აქტს, ან რომ ის ადგენს მტკიცებულების წესს, არამედ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ავთენტურ აქტს არ ესაჭიროება ხელნაწერი ჩანაწერი, რადგან ის შესრულებულია ნოტარიუსის პასუხისმგებლობით, რომელსაც გააჩნია კონსულტაციის ვალდებულება.

ამ მიზეზების გამო, იურიდიულად მისაღებად მიმაჩნია, ცხადია, სასამართლოების შეფასებით, ჩაითვალოს, რომ ხელნაწერი ჩანაწერი გათვალისწინებული 1989 წლის 6 ივლისის კანონით 22-1 მუხლით, არ უნდა ფიგურირებდეს სავალდებულოდ ავთენტური აქტების საგარანტიო დეპოზიტებში.

## **1996 წლის 13 მაისის პასუხი**

საოჯახო ტიპის საწარმოების გადაცემა. ჩუქება. სანოტარო ფორმა.

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ ჟან ურბანიაკს.*

33840. – 8 იანვარი 1996. – ბ-ნი ჟან ურბანიაკი მიაბყრობს იუსტიციის მინისტრის ყურადღებას დებულებებზე, რომელიც ამარტივებს საოჯახო ტიპის საწარმოების გადაცემას. საწარმოს ჩუქება, რა ზომისაც არ უნდა იყოს ის, ერთდროულად ითვალისწინებს აუცლებლობას დაცული იყოს

დასაქმებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ფისკალური ინტერესები და დაცული იყოს მჩუქებელი, ისევე როგორც მემკვიდრეები და კრედიტორები. თუმცა აღმოჩნდა, რომ არამატერიალური ქონების ჩუქება და კერძოდ საწარმოების წარმომადგენლობითი სოციალური უფლებები, როდესაც ისინი შედგენილია სანოტარო ფორმის გარეშე, ხშირად ხდება დავის საგანი. ამგვარად, ის კითხულობს რა ზომები აქვს მას გათვალისწინებული, რათა საოჯახო ტიპის საწარმოების გადაცემის გასამარტივებელი დებულებები ითვალისწინებდეს იურიდიული უსაფრთხოების გარანტიებს, რომელიც გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლში.

**პასუხი.** – იუსტიციის მინისტრს აქვს პატივი აცნობოს პატივცემულ პარლამენტარს, რომ სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის თანახმად, ყველა ჩუქების აქტი ცოცხლებს შორის, უნდა გაფორმდეს ნოტარიუსთან, სხვა შემთხვევაში ის ბათილია. ეს დებულება ძალაშია, ნებისმიერი სახის ქონების და უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას. ეს მოთხოვნა იურისპრუდენციის თვალსაზრისით ზომოვანაა მხოლოდ ხელიდან ხელში ჩუქებისას, ირიბი და ფარული ჩუქებისას, იმ პირობით, რომ ეს აქტები პასუხობდეს ამ მექანიზმების სხვადასხვა სპეციფიურ წესებს, და ამავდროულად იცავდნენ ჩუქების ძირითად წესებს. ამ დებულების მთლიანობა გამოიყენება საწარმოს გადაცემისას, ამ სფეროში ახალი სპეციალური წესების შემოყვანის გათვალისწინების გარეშე, და კერძოდ, სოციალური უფლებების გადაცემისას, ძალაში მყოფი დებულებები ქმედუნარიანია საკმარისი ბალანსის შესაქმნელად არსებულ ინტერესებს შორის.

### **1999 წლის 8 ნოემბრის პასუხი.**

(ნოტარიუსების) სანოტარო მოქმედების შესრულების კომპეტენციის შესახებ

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ პიერ კარდოს.*

32213. – 5 ივლისი 1999. – ბ-ნი პიერ კარდო მიაბყრობს ქ-ნ იუსტიციის მინისტრის ყურადღებას დავებზე ნოტარიუსის არჩევისას, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს საფრანგეთის ძირითად ტერიტორიაზე (France métropolitaine) უძრავი ქონების ნასყიდობისას. მას მოყავს ერთერთი მყიდველის შემთხვევა, რომელმაც ნასყიდობის პროცედურის დაწყებისას, მიიღო გამყიდველის თანხმობა მყიდველის მიერ შემოთავაზებულ ნოტარიუსზე. მაგრამ მოგვიანებით გამყიდველმა ისურვა, რომ მას დახმარებოდა მისი საკუთარი ნოტარიუსი, კერძოდ ნასყიდობის დაპირების შესადგენად. ნასყიდობის აქტის შედგენის მომენტში, მყიდველი შეიტყობს, რომ აქტი უნდა შეადგინოს გამყიდველის ნოტარიუსმა, იმ მოტივით რომ ეს უკანასკნელი ცხოვრობს ნოტარიუსთა პალატის კომპეტენციაში მყოფ იმ სექტორში, სადაც მდებარეობს ქონება, რაც არ აძლევს მყიდველს საკუთარი ნოტარიუსის არჩევანის საშუალებას. ის მოითხოვს დაუკონკრეტონ კანონიერი მიზეზები და მოტივები, რომელიც ადგენს ამ წესს და აუხსნან, რომ ეს უპირატესობა, რომელიც მიეცა ნოტარიუსს ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, საპირისპიროდ ნოტარიუსისა, რომელიც არ ცხოვრობს ნოტარიუსთა პალატის კომპეტენციაში მყოფ ქონების ადგილმდებარეობის სექტორში, არ ეწინააღმდეგება 1986 წლის 29 აპრილის n 86-728 დადგენილების მე-8 მუხლს, რომელიც აზუსტებს, რომ „ნოტარიუსები ახორციელებენ სანოტარო საქმიანობას ეროვნული ტერიტორიის მთლიანობაზე“.

**პასუხი.** – იუსტიციის მინისტრი ატყობინებს პატივცემულ პარლამენტარს, რომ თუკი 1986 წლის 29 აპრილის n 86-728-ე დადგენილებით შეცვლილი 1971 წლის 26 ნოემბრის კერძოდ ნოტარიუსების სანოტარო საქმიანობის კომპეტენციების შესახებ n 71-942 დადგენილების მე-8 მუხლიდან გამომდინარე, ნოტარიუსებს შეუძლიათ მიიღონ უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებული აქტი ეროვნული ტერიტორიის მთელი მასშტაბით, ამ პრინციპს გააჩნია ორი გამონაკლისი. პირველი ეხება მეტროპოლიის გარეთ ტერიტორიებს და მაიოტის და სენ-პიერ-ე-მიკლონის ტერიტორიულ

თვითმმართველობებს, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. მეორე ითვალისწინებს უძრავი ქონების პირველი ფასიანი გადაცემის აქტებს, რომლებიც ვერ გაფორმდება სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს გარეშე, ან იმ მაღალი ინსტანციის სასამართლოების გარეშე, რომელიც ემიჯნება სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით (მაღალი ინსტანციის) სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსებს გააჩნიათ ეროვნული ტერიტორიული კომპეტენცია, ზემოთ მოყვანილი გამონაკლისების გარდა, საჭიროა ასევე წესები, რათა დადგინდეს ნოტარიუსი, რომელიც შეინახავს აქტის დედანს, ანუ ორიგინალს, რომელსაც ნოტარიუსი თავისთან ინახავს ასლების გასაცემად. ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს შიდა რეგლამენტის 74-ე მუხლი, დამოწმებული იუსტიციის მინისტრის 1979 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით, რომელიც მოქმედებს პალატის რეგლამენტებსა და პალატებს შორის რეგლამენტების უთანხმოების დროს, ითვალისწინებს, რომ ნასყიდობის დედანი პრინციპში ეკუთვნის მყიდველის ნოტარიუსს. თუმცა ეს დედანი უნდა მიეკუთვნოს გამყიდველის ნოტარიუსს, როდესაც გაყიდული ქონება მდებარეობს სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში, ან სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით მომიჯნავე მაღალი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციაში. დედნების შენახვის ეს წესები, ცხადია არ უშლის ხელს მყიდველს, თუ ნასყიდობა გამყიდველის ნოტარიუსის მიერ არის განხორციელებული, დაიხმაროს მისი არჩეული ნოტარიუსი ნასყიდობის გარიგების გაფორმების სხვადასხვა ეტაპზე. „დახმარების“ და „მონაწილეობის“ პროცედურები გაწერილი ზემოხსენებულ რეგლამენტის 58-ე-65-ე მუხლებში, კიდევაც აძლევს უფლებას მყიდველის ნოტარიუსს ჩაერთოს აქტის მიღებაში, გარკვეული პირობებით, ისე რომ არ გაიზარდოს კლიენტის გადასახადი ხარჯები. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ დაარღვიონ ეს წესები და თუ ვერ თანხმდებიან შემდგენელ ნოტარიუსის არჩევანზე, კონფლიქტს გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს.

### **2000 წლის 13 მარტის n 2000-230 კანონი**

მტკიცებულების უფლების ადაფტირება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან ელექტრონული ხელმოწერასთან მიმართებაში

იხ. : C. civ. Art. 1316 à 1316-4, 1317, p. 3

მუხლი 6. - არსებული კანონი მოქმედებს ახალ-კალედონიაში, ფრანგულ პოლინეზიაში, ვალის-ე-ფუტუნაში და მაიოტის ტერიტორიულ თვითმმართველობაში.

### **2005 წლის 10 აგვისტოს n 2005-973 დადგენილება**

ცვლის 1971 წლის 26 ნოემბრის n 71-941 დადგენილებას ნოტარიუსების მიერ შედგენილ აქტების შესახებ

იხ. : Décret n 71-941 du 26 nov. 1971, p.10

### **2005 წლის 20 სექტემბრის პასუხი**

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ პასკალ ტერასს.*

67600. – 21 ივნისი 2005. - ბ-ნ პასკალ ტერასს სურს დაუსვას იუსტიციის მინისტრს სამართლებრივი კითხვა. მართლაც გასაკვირია, რომ არიან ნოტარიუსები, რომლებიც თვლიან, რომ გააჩნიათ საჯარო უფლებამოსილება, რათა ავთენტურობა და სააღსრულებო ძალა შესძინონ მათ მიერ შედგენილ აქტებს (რის გამოც ისინი, მგალითად, იღებენ იპოთეკებს საკუთარი კლიენტების ქონებაზე, სამოქალაქო კოდექსის 2127-ე მუხლის თანახმად), მაშინ როდესაც არანაირ იურიდიულ საფუძველს არ გადაუცია

საჯარო უფლებამოსილება ნოტარიუსებისათვის. ამგვარად, თეორიულად, თუ ნოტარიუსები კანონით არ არიან უფლებამოსილნი საჯარო ძალაუფლებით, შესაბამისად, სესხები ბათილია, თუ არ მოიცავს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლით გათვალისწინებულ სავალდებულო ხელნაწერ ჩანაწერს „საჯარო ხასიათის“, რომ იპოთეკები, გამომდინარე სანოტარო აქტიდან, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1318-ე მუხლის თანახმად ფასდება, როგორც მხოლოდ „კერძო ტექსტი“, ბათილია, სამოქალაქო კოდექსის 2127-ე მუხლის თანახმად, და ბოლოს, რომ სააღსრულებო აქტის გაცემა „ფრანგი ხალხის სახელით“ კანონდარღვევით არის შესრულებული. შესაბამისად, ის კითხულობს, რა ზომები იქნება გათვალისწინებული ამ იურიდიული უსაფრთხოების არმქონე სიტუაციის გამოსასწორებლად ; თუ ნოტარიუსები რეალურად არიან საჯარო ოფიცრები საჯარო სერვისის მიერ დაკისრებული ავთენტიკაციის უფლებით, და თუ სანოტარო აქტები რეალურად ავთენტური აქტებია, რომლებიც აძლევს მათ მხარეებს უზარმაზარ უპირატესობებს, ეს უნდა ექსპლიციტურად იყოს განმარტებული კანონში, რომელსაც ერთადერთს გააჩნია კანონიერი უფლება მოახდინოს საჯარო უფლებამოსილების დელეგირება სახელმწიფოზე.

**პასუხი.** - იუსტიციის მინისტრი აცნობებს პატივცემულ პარლამენტარს, რომ 1945 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულების პირველი მუხლი [n 45-2590] ნოტარიუსის სტატუსის შესახებ, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ნოტარიუსები არიან საჯარო ოფიცრები, რომელთა პირველი ფიუნქციაა ავთენტურობის მინიჭება მათ მიერ მიღებულ აქტებზე. გარდა ამისა, 1991 წლის 9 ივლისის [n 91-650] კანონის მე-3 მუხლი სააღსრულებო სამაქალაქო პროცედურების რეფორმის შესახებ, ასახელებს სააღსრულებო ფორმის სანოტარო აქტებს, როგორც სააღსრულებო დოკუმენტებს. სანოტარო აქტების დადასტურება (ავთენტურობის მინიჭება) და აღსრულება გამომდინარეობს ამგვარად არაორაზროვან საკანონმდებლო ტექსტებიდან, რომლებიც ამგვარად აღარ მოითხოვს დამატებებს.

## **2007 წლის 12 დეკემბრის 2007-7 ცირკულარი**

სამსახურეობრივი ბეჭდების შესაბამისობა

*ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს ცირკულარი.*

უმაღლესი საბჭოს ყურადღება ცოტა ხნის წინ მიიბყრო ზოგიერთი ნოტარიუსის სამსახურეობრივი ბეჭდების შეუსაბამობამ.

სამსახურეობრივი ბეჭედი არის სანოტარო საქმიანობის ერთერთი ძირითადი ატრიბუტი. ის არც გაუფასურებული არ უნდა იყოს და არც უგულველყოფილი.

ნოტარიუსის ბეჭედი ინდივიდუალურია და უნიკალური ; ეს ასახულია სანოტარო რეგლამენტის მე-20 მუხლში.

ბეჭდის გამოსახულება შეტანილია მაღალი ინსტანციის სასამართლოს სამდივნოში, სადაც ნოტარიუსი დებს ფიცს.

აუცილებელია შესაბამისი კანონების შეხსენება :

- 1870 წლის 25 სექტემბრის დადგენილება სახელმწიფო ბეჭდის, სასამართლოების, მშვიდობის სასამართლოსა და ნოტარიუსების ბეჭდების, მარკების, და შტამპების შესახებ : „მუხლი 1, სამომავლოდ სახელმწიფო ბეჭედზე აისახება ერთი მხრიდან თავისუფლების ფიგურა წარწერით : *Au nom du peuple français*(*ფრანგი ხალხის სახელით*) ; მეორე მხარეს მუხის და ზეთისხილის გვირგვინი, გადაჭერილი ხორბლის კონით ; გვირგვინის ცენტრში *République française, démocratique, unie et*

*indivisible* (საფრანგეთის რესპუბლიკა, დემოკრატიული, ერთიანი და განუყოფელი), წარწერით *Liberté, Egalité, Fraternité* (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა).

მუხლი 2. - სასამართლოების და ნოტარიუსების ბეჭდებზე, მარკებზე და შტამპებზე აისახება თავისუფლების გამოსახულება, როგორც სახელმწიფო ბეჭედზე, წარწერით *République française* (საფრანგეთის რესპუბლიკა), თანამდებობის პირების ან საჯარო ოფიცრების ფუნქციების მითითებით.

- n 71-941 დადგენილების მე-20 მუხლი : „ყველა ნოტარიუსს უნდა გააჩნდეს სპეციალური სამსახურებრივი ბეჭედი, მისი გვარის, ხარისხის და დაწესებულების მითითებით, და ერთიანი მოდელის მიხედვით, საფრანგეთის რესპუბლიკის (*République française*) გამოსახულება...“

- 1971 წლის 2 დეკემბრის კანცელარიის წერილი ზღუდავს ნოტარიუსს ერთი სამსახურებრივი ბეჭდით, ან მშრალი ან სველი ბეჭდით ;

- 1974 წლის 28 მაისის CSN (ნოტარიატის უმაღლესი საბჭო) n 1012 ცირკულარმა 1974 წლის 3 აპრილის კანცელარიის ნებართვის წერილის გავრცელებისას, სცნო ბეჭდის დასმა რწმუნებულებებზე , რომლებიც უცხოეთში უნდა შევიდნენ ძალაში.

- 1967 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების მე-2 პუნქტის 45-ე მუხლი აზუსტებს, რომ სანოტარო კაბინეტის ყველა ასოცირებული ნოტარიუსის ბეჭედს უნდა გააჩნდეს მისი მფლობელის გვარი და ასოცირებულის ხარისხი ;

### 1) ბეჭდის დასმა

ბეჭედი უნდა დაისვას მხოლოდ ავთენტურ აქტებზე. უბრალო რწმუნებულებები და ხელმოწერების დამოწმებები გამოირიცხება, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც უცხოეთში უნდა შევიდეს ძალაში.

ამასთანავე, სტატუსის და ეთიკის კომისიამ მხარი დაუჭირა ბეჭდის დატოვებაზე ელექტრონული ფორმის საიპოთეკო ფურცლებზე ;

### 2) ასოცირებული ნოტარიუსის ბეჭედი :

სანოტარო კაბინეტის ასოცირებული ნოტარიუსის ბეჭედი (SCP) უნდა მოიცავდეს გარდა 1971 წლის 26 ნოემბრის დადგენილების მე-20 მუხლით გათვალისწინებული ჩანაწერებისა, ასოცირებულის ხარისხს ;

თუმცა, ეს ჩანაწერი არ მოეთხოვება კანონით SFL-ს ასოცირებულ ნოტარიუსს. უპრიანია მაინც მისი მითითება.

### 3) სახელფასო ნოტარიუსის ბეჭედი

2006 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებამ შეცვალა 1993 წლის 15 იანვრის დადგენილების მე-3 მუხლი და გააუქმა სახელფასო ნოტარიუსის ხარისხის მითითების ვალდებულება ყველა დოკუმენტში.

ამიერიდან ნებადართულია წარდგინება მხოლოდ „ნოტარიუსის ხარისხით“. მაგრამ მან მაინც უნდა მიუთითოს „ ფიზიკური ან იურიდიული პირის კაბინეტის გვარი ან დასახელება, სადაც საქმიანობს და მისი მისამართი“.

როგორც ადრე, კანონი ითვალისწინებს, რომ „ ბეჭედზე აღნიშნულია იგივე ინფორმაცია“, და აღარ არის საჭირო მასზე სახელფასო თანამშრომლის ხარისხის მითითება.

პრაქტიკაში ბეჭედზე უნდა იყოს ასახული „ბ-ნი A , ნოტაიუსი კაბინეტი BC, მდებარე მისამართზე D“.

#### 4) ბეჭდის გრაფიკა

ნოტარიატის უმაღლესი საბჭოს ( CSN) მიერ 2004 წლის ოქტომბერში შექმნილი გრაფიკული ქარტია, რომელშიც “მარიანას” (*Marianne*) გამოსახულების გამოყენების პირობებია გაწერილი არ ვრცელდება ნოტარიუსის ბეჭედზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ზემოხსენებულ კანონებს.

#### 5) სანოტარო საქმიანობის შეწყვეტა :

საკუთარი საქმიანობის შეწყვეტისას, ნოტარიუსმა უნდა გადასცეს საკუთარი ბეჭედი ნოტაიუსთა პალატას, რომელიც გაანადგურებს მას, რათა თავიდან აცილებულ იქნას არანამდვილი საჯარო წერილობითი დოკუმენტების შედგენა.

ბოლოს, მინდა თქვენი ყურედება მივაბყრო ამ წესების დაცვის აუცილებლობას და მათ გაზიარებას იმ გამომცემელთა შორის, ვინც აწარმოებს ბეჭედებს ნოტარიუსებისათვის.

#### თავი III. - აქტების დარეგისტრირება

---

#### გენერალური საგადასახადო კოდექსი

მუხლი 850. - ყველა აქტში ან დეკლარაციაში, რომლის საგანია უძრავი ქონების ნასყიდობა, წილის თუ გირაოს უფლების დათმობა, მთლიანი შენობის ან მისი ნაწილის ქირავნობის დაპირების პრივილეგიის გადაცემა, ან ბიზნესის ან უძრავი ქონების გაცვლა ან გაზიარება - გამყიდველები, მყიდველები, გამცვლელები თანამოზიარეები, მათი მეურვეები თუ კანონიერი ადმინისტრატორები ვალდებული არიან დაასრულონ აქტი ან განცხადება ამგვარად დადგენილი ტექსტით : „მხარეები ამტკიცებენ, გენერალური საგადასახადო კოდექსის 1837-ე მუხლის თანახმად, რომ წინამდებარე აქტი წარმოადგენს ფასის ან კომპენსაციის მთლიანობას.“

---

ნოტარიუსების, სასამართლო აღმასრულებლების და სასამართლო მდივნების, აუქციონერების, კომერციული და სადაზღვევო ბროკერების და სხვა შუამავლების ჟურნალები

საჯარო და მინისტერიალური ოფიცრების ვალდებულებები

#### 1.რეგისტრაციის ფორმალობის განსაკუთრებული ვალდებულებები

##### საჯარო აქტები

##### ნამდვილობის დადასტურება

მუხლი 853. - ნოტარიუსები, სასამართლო აღმასრულებლები და მდივნები, ადმინისტრაციული თანამდებობის პირები, ყოველ ჯერზე, როდესაც სარეგისტრაციოთ წარადგენენ აქტებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს თუ ბრძანებებს, ვალდებული არიან მიაწოდონ საგადასახადო სამსახურებს ამ

აქტების, გადაწყვეტილებების ან ბრძანებების ამსახველი ჩანაწერი, ორ ეგზემპლიარად, ადმინისტრაციის მიერ უფასოდ მიწოდებულ დაბეჭდილ ბლანკებზე.

ამის გარეშე რეგისტრაცია არ ტარდება.

მუხლი 854. - ყველა ნოტარიუსს და სასამართლო მდივანს ეკრძალება ნებისმიერი აქტის მიღება დეპოზიტში, დეპონირების აქტის შედგენის გარეშე.

გამონაკლისს წარმოადგენს ნოტარიუსებთან მეანდემების მიერ შეტანილი ანდერძები.

მუხლი 855. - ყველა საჯარო, სამოქალაქო თუ სასამართლო აქტების გზავნილებში, რომელიც დარეგისტრირებული უნდა იყოს 658-ე მუხლის I-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დედნებზე და გზავნილებზე, მითითებულია გადასახადის მიღების ქვითარი (quittance), მისი სრული სიტყვიერი ტრანსკრიფციით.

ამგვარი ჩანაწერი შესრულებულია საჯარო, სამოქალაქო, სასამართლო ან არასასამართლო აქტების დედნებში, რომელიც ფორმდება კერძო აქტების სახით ან უცხო ქვეყნებშია შედგენილი და ექვემდებარება დარეგისტრირებას.

### **წინა ფორმალობების გაცხადება**

მუხლი 856. - ნებისმიერი აქტში, რომლის საგანია ქვექირავნობა, ან გირაოს ჩანაცვლება (subrogation), გადაცემა ან რეტრო გადაცემა (retrocession), უნდა შეიცავდეს ნაწილობრივ ან მთლიანობაში გადაცემული ქირავნობის სარეგისტრაციო ჩანაწერის წერილობით ასლს, როდესაც ეს ფორმალობა სავალდებულოა.

მუხლი 857. - ყოველთვის, როდესაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი დარეგისტრირებულ აქტზე, განაჩენში ან საარბიტრაჟო სასჯელში კეთდება ჩანაწერი ამის შესახებ და მითითებულია გადახდილი გადასახადის თანხა, გადახდის თარიღი და საგადასახადო სამსახურის დასახელება, რომელმაც ის ჩაიბარა ; არშესრულების შემთხვევაში და თუ საქმე ეხება ფორმალობას დაქვემდებარებულ აქტს დადგენილ ვადებში, საგადასახადო სამსახურის კომპეტენტური ფინანსური მენეჯერი მოითხოვს გადასახადს, თუ აქტი არ იყო დარეგისტრირებული მის სერვისში, გარდა დადგენილ ვადებში ანაზღაურების (restitution) შემთხვევისა, თუკი შემდგომ დადგენილია იმ აქტის რეგისტრაცია, რომელზეც გამოტანილი იყო განაჩენი.

მუხლი 589. – (Abr. )

### **ოფისები (გადაცემა, შექმნა, გაუქმება)**

მუხლი 859. - ყველა შეთანხმება (traité) ან კონვენცია, რომლის საგანია ოფისის, კლიენტურის, დედნების, სარეგისტრაციო ჟურნალების, ამოღების ან სხვა მასთან დაკავშირებული ნივთების ფასიანი ან უსასყიდლო გადაცემა, უნდა წარმოდგენილი იყოს წერილობით და დარეგისტრირებული, ვიდრე გამოიყენებულ იქნება დამატებით საბუთად დასახელებული მემკვიდრის დანიშვნის მოთხოვნისას.

გარდაცვალების შემთხვევაში, ოფისის გადაცემისას მემკვიდრისათვის ან ერთადერთ დასაჩუქრებულისათვის, ამ უკანასკნელმა მისი დანიშვნის მოთხოვნის გასამყარებლად უნდა წარადგინოს საგადასახადო სამსახურის კომპეტენტური ფინანსური მენეჯერის მიერ უფასოდ გაცემული რწმუნებულება (სერტიფიკატი), რომლითაც დასტურდება გარდაცვალების შედეგად გადაცემის გადასახადის (მოსაკრებლის) გადახდა.

## 2.სხვა ვალდებულებანი

### ამონაწერები აქტიდან

მუხლი 860. – სასამართლო გადაწყვეტილებების და აქტების შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ქონების გასაჯაროვებელ დებულებებს და ატესტაციებს გარდაცვალების შემდეგ, ნოტარიუსებმა, სასამართლო აღმასრულებლებმა და მდივნებმა, სასამართლოზე მხარეების წარმომადგენლებმა, ადვოკატებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა შეადგინონ ამონაწერი ორ ეგზემპლიარად, ე.წ. აქტის ამონაწერის ფორმა 1 და ფორმა 2, საგადასახადო ორგანოების გენერალური დირექტორის მიერ დადგენილი გარემოებების მიხედვით.

ამონაწერი შეიძლება ჩანაცვლებული იქნას აქტების, სასამართლო გადაწყვეტილებების და ატესტაციების ნაწილობრივი რეპროდუცირების მეშვეობით, რომელიც შედგენილი იქნება საგადასახადო ორგანოების გენერალური დირექტორის მიერ დადგენილი გარემოებების მიხედვით.

647-ე მუხლის I პირველ პუნქტით გათვალისწინებულ აქტებისათვის ამონაწერის ორი ასლი გადაეცემა, (სხვა შემთხვევაში დეპოზიტი უარყოფილია), საიპოთეკო საცავს, როდესაც გასაჯაროვების გადასახადი გადახდილია. დეპოზიტი ასევე უარყოფილია იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ამონაწერისა და გამოსაქვეყნებელ დოკუმენტს შორის არსებობს შეუსაბამობა, რომელიც აფერხებს საგადასახადო გამონათვალის დადგენას და კონტროლს.

იგივე მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული აქტებისათვის, აქტის ამონაწერის ერთი ეგზემპლიარი ინახება საგადასახადო ორგანოში, რომლის კომპეტენტენციაში შედის სარეგისტრაციო ფორმალობის შესრულება.

მუხლი 861. – (Abr. Ord. n 2004-281, 25 mars 2004)

### შედეგობრივი აქტები

ნოტარიუსებს, სასამართლო აღმასრულებლებს და მდივნებს, სასამართლოზე მხარის წარმომადგენლებს და სხვა საჯარო ოფიცრებს, ადვოკატებს და ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ შეადგინონ აქტი, ისეთ შედეგობრივ აქტზე, რომელიც სავალდებულო რეგისტრაციას ან კრებით ფორმალობას ექვემდებარება, არ შეუძლიათ მისი დართვა საკუთარ დედნებთან, დეპოზიტში მიღება, არც მისი ამონაწერის, ასლის, გზავნილის ან ორიგინალ დოკუმენტად გაცემა, ვიდრე ერთი ან მეორე ფორმალობა არ იქნება შესრულებული, მიუხედავად იმისა თუ შესრულების ვადა ჯერ არ არის ამოწურული. (Al. mod. L. n 2004-439, 26 mai 2004). გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ბუნების აქტები, რომელიც ეტყობინება მხარეს ან აფიშების და პროკლამაციების მეშვეობით, განქორწინების სასამართლო გადაწყვეტილებების სააღსრულებო ასლები, სამოქალაქო კოდექსის 232-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

**წინა რედაქცია.** გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ბუნების აქტები, რომელიც ეტყობინება მხარეს ან აფიშების და პროკლამაციებს მეშვეობით.

(Al. mod. L. n 2004-1485, 30 dec. 2004). მაგრამ ნოტარიუსებს შეუძლიათ შეადგინონ აქტები იმ აქტებისათვის შედეგად, რომლის სარეგისტრაციო ან კრებითი ფორმალობის აღსრულების ვადა არ ამოწურულა, იმ პირობით, რომ ისინი პერსონალურად პასუხისმგებელნი იქნებიან არა მხოლოდ სარეგისტრაციო გადასახადზე და უძრავი ქონების გასაჯაროვების მოსაკრებელზე, არამედ იმ საურავებზე, რომელიც შესაძლოა ამ აქტს დაეკისროს.



**წინა რედაქცია.** მაგრამ ნოტარიუსებს შეუძლიათ შეადგინონ აქტები (en vertu et en consequence) იმ აქტებისათვის ან მათ შედეგად, რომლის სარეგისტრაციო ან გასაჯაროების გადასახადის აღსრულების ვადა არ ამოწურულა, იმ პირობით, რომ ისინი პერსონალურად პასუხისმგებელი იქნებიან არა მხოლოდ სარეგისტრაციო გადასახადზე და გასაჯაროების და გერბის მოსაკრებელზე, არამედ იმ საურავებზე, რომელსაც ეს აქტს შესაძლოა დაეკისროს.

პირველი პუნქტის დებულებები არ აფერხებს ამონაწერების, ასლების და გზავნილების შედგენას, რომელიც გათვალისწინებულია ქონების გასაჯაროების ფორმლობისათვის ან კრებითი ფორმლობისათვის. თუმცა ამ უკანასკნელი ფორმალურობისაგან გათავისუფლებული აქტების შემთხვევაში, საჯარო და მინისტერიალურ ოფიცრებს, ადვოკატებს და ადმინისტრაციულ თანამდებობის პირს არ შეუძლიათ გადასცენ მხარეებს ეს დოკუმენტები, ვიდრე არ გაფორმდება სარეგისტრაციო გადასახადის (მოსაკრებლის) მიღების ქვითარი, ან მისი შემცველი ჩანაწერი.

კომერციული კომპანიების ჩამოყალიბების აქტების შემთხვევაში, რომლებიც დეპოზიტში დებულობენ კომერციულ რეესტრში დასარეგისტრირებლად, კომერციული ან მაღალი ინსტანციის სასამართლოების (statuant commercialement) მდივნები და ინდუსტრიული საკუთრების ეროვნული ინსტიტუტი არ ექვემდებარებიან პირველი და მეოთხე პუნქტების დებულებებს.

### **მხარეების ინფორმირება სანქციების არსებობაზე**

ნამდვილობის დადასტურება (affirmation)

მუხლი 863. – ნოტარიუსი, რომელიც ადასტურებს აქტს, რომლის საგანია ნასყოლობა, გაცვლა ან გაზიარება, ვალდებულია აცნობოს მხარეებს 850–ე და 1837–ე მუხლში გაწერილი სანქციების არსებობა.

ამ ინფორმაციის სპეციალური ჩანაწერი ფიგურირებს აქტში.

მუხლი 864. – ნოტარიუსი, რომელიც ადასტურებს კონტრაქტს, რომლის საგანია მინისტერიალური ოფისის გადაცემა, ან ნასყოლობის, გაცვლის ან გაზიარების აქტი ან ქირავნობის უფლების ან ქირავნობის დაპირების პრივილეგიის გადაცემის აქტი მთლიან ან ნაწილობრივ ქონებზე, ვალდებულია აცნობოს მხარეებს სანქციების არსებობის შესახებ, რომელიც გაწერილია 1754–ე მუხლის V პუნქტში, არსებული კოდექსის 172–ე და 1840–ე მუხლების B და სამოქალაქო კოდექსის 1321–1 მუხლში, გააკეთოს ჩანაწერი ამ ინფორმაციის შესახებ აქტში და დაადასტუროს, რომ მისი ინფორმაციით, ეს აქტი არ შეცვლილა და არ ეწინააღმდეგება სხვა ფარულ გარიგებას, რომელიც ზრდის ფასს ან კომპენსაციას.

ეს დებულება არ ვრცელდება საჯარო გადაწყვეტილებებზე.

---

მუხლი 867. - ნოტარიუსებს, სასამართლო აღმასრულებლებს და მდივნებს, ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების მდივნებს გააჩნიათ სვეტებიანი ჟურნალები, სადაც ყოველდღიურად თანმიმდერულად ინიშნავენ :

1. ნოტარიუსები - ყველა მიღებულ აქტს ;
2. სასამართლო აღმასრულებლები - მათი სერვისის ყველა აქტს ;

3. (Mod. Ord. N 2005-1512, 7 déc. 2005) სასამართლო მდივნები - ყვალა აქტს და გადაწყვეტილებას (განაჩენს), რომელიც არსებული კოდექსის თანახმად უნდა დარეგისტრირდეს დედნებში და ასევე 635-ე მუხლის მეორეს 6 გაწერილ ოქმებს, რომელიც არ ექვემდებარება პროპორციულ ან პროგრესულ გადასახადს ;

4. (Mod. Ord. N 2005-1512, 7 déc. 2005). მდივნები - ადმინისტრაციულ აქტებს, რომელიც მითითებულია 635 მუხლის მეორეს 5,6 და პირველის 3 და 4, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ ექვემდებარებიან პროპორციულ ან პროგრესულ გადასახადს.

ჟურნალის ყოველ მუხლში მითითებულია :

1. მისი ნომერი ;

2. აქტის თარიღი ;

3. მისი ბუნება ;

4. მხარეების სახელები და გვარები და საცხოვრებელი ადგილი ;

5. ქონება, მისი მდებარეობა და ფასი, როდესაც აქტების საგანია უძრავი ქონების საკუთრება, უზუფრუქტი ან სარგებლობაში გადაცემა ;

6. რეგისტრაციის ან კრებითი ფორმალობის დამოკიდებულება ;

7. აქტისათვის მიღებული თანხები, როდესაც ის ექვემდებარება გადასახადს, რომელიც გაწერილია 302-ე *bis* Y მუხლში.

ნოტარიუსების ჟურნალები შესაძლოა მოძრავი ფურცლებისაგან შედგებოდეს ; სხვა ჟურნალები შედგენილია ცარიელი ადგილების და სტრიქონებს შორის ჩანაწერების გარეშე.

II. -(Abr. Ord. N 2005-1512, 7 déc. 2005).

III. - ნოტარიუსის ჟურნალების გვერდები დანომრილია. მას ვიზირებას და პარაფირებას უკეთებს ნოტარიუსთა პალატის თავჯდომარე ან მის მიერ დელეგირებული პირი. თუმცა პარაფირება შესაძლოა შეიცვალოს ისეთი პროცედურით, რომელიც გამორიცხავს ფურცლების ჩანაცვლებას ან დამატებას.

(Al. rempl.Ord. 2004-281, 15 mars 2004). სასამართლოების მდივნების ჟურნალები დანომრილია და პარაფირებული იურისდიქციის სასამართლოს პირველი მდივნის მიერ და სასამართლო აღმასრულებლების ჟურნალები კი დეპარტამენტის აღმსრულებელთა პალატის თავჯდომარის ან მის დელეგირებული პირის მიერ.

**წინა რედაქცია.** სხვა ჟურნალები, კერძოდ საინსტანციო სასამართლოების მდივნებისა და აღმასრულებლების ჟურნალები დანომრილი და პარაფირებულია საინსტანციო სასამართლოს მოსამართლის მიერ მათი ადგილმდებარეობით ; არასაინსტანციო სასამართლოების მდივნების ჟურნალები - ამისათვის დანიშნული თავჯდომარის ან მოსამართლის მიერ, და ადმინისტრაციული ორგანოების მდივნების ჟურნალები - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.

IV. დებულებები ჟურნალების ჩანაწერების ფორმის თაობაზე ვრცელდება აუქციონერებზე და კომერციულ ბროკერებზე, მაგრამ მხოლოდ ავეჯისა და საქონლის აუქციონების (გაყიდვების) ოქმებისათვის, და ამ აუქციონების შემდგომ გაფორმებული აქტებისათვის.

V (Mod. Ord. N 2005-1512, 7 déc. 2005).

ერთადერთი აქტები, რომლისთვისაც საჭიროა ჟურნალები პრეფექტურებში და ქვე-პრეფექტურებში, არის ადმინისტრაციული ორგანოების და საჯარო დაწესებულებების აქტები, რომელიც გაწერილია 635-ე მუხლის პირველის 3 და 4 და მეორეს 5 და 6 , მათ შორის აქტები, რომელიც არ ექვემდებარება პროპორციულ ან პროგრესულ გადასახადს.

**წინა რედაქცია.** V. - ერთადერთი აქტები, რომლისთვისაც საჭიროა ჟურნალები პრეფექტურებში და ქვე-პრეფექტურებში, არის ადმინისტრაციული ორგანოების და საჯარო დაწესებულებების აქტები, რომელიც მითითებულია 635-ე მუხლის მეორეს მე-5 დე მე-6-ში და პირველის მე-3 და მე-4-ში.

---

## რეგისტრაცია და უძრავი ქონების გასაჯაროება

### 1. ფისკალური სანქციები

მუხლი 1826 (Abr.Ord. 2004-281, 25 mars 2004 retabl. Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005). – დასჯადია დადგენილი გადასახადის 50 %-ი ნამატის ჯარიმით 806-ე და 807-ე მუხლების მესამეს დებულებების ნებისმიერი დარღვევა ; გარდა ამისა, დეპოზიტორებს, მფლობელებს და დებიტორებს, რომლებმაც დაარღვიეს 806-ე და 807-ე მუხლები, პირადად ეკისრებათ დადგენილი გადასახადის გადახდა, გარდა მოვალის წინააღმდეგ გასაჩივრების შემთხვევისა.

მუხლი 1827.– (Rempl. Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005). 803-ე მუხლს დამრღვევს, პირადად ეკისრება დადგენილი გადასახადის და საურავის გადახდა, გარდა მოვალის წინააღმდეგ გასაჩივრების შემთხვევისა.

ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო ფასის გადახდის შემცველი აქტი, სოლიდარულად პასუხისმგებელია პირველ პუნქტში გათვალისწინებულ გადასახადზე და საურავზე.

მუხლი 1827. – კონტრაქტში გაცხადებული თანხის ნაწილობრივ დამალვის შემთხვევაში, და 1840-ე მუხლის დებულებების გავრცელების მიუხედავად, ყველა კონტრაქტორს სოლიდარულად ეკისრება, სარეგისტრაციო გადასახადის, ქონების გასაჯაროების მოსაკრებლის და ფასის დამალული ნაწილის ასიმილირებული მოსაკრებლისა გარდა ეკისრებათ საგადასახადო (ფისკალური) ჯარიმა ამ გადასახადების და მოსაკრებლების 50% ოდენობით.

1828 (Rempl. Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005). – 1723-ე მუხლის II-ს გათვალისწინებით, IV (ოთხჯერ) ნებართვის გარეშე მშენებლობის ან ნებართვის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მშენებელი ვალდებულია, გარდა ადგილობრივი სამშენებლო მოსაკრებლისა და დადგენილი გადასახადის დანამატისა, გადაიხადოს იგივე თანხის ოდენობის ჯარიმა.

მუხლი 1828. – 1827-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნებისმიერ პირს, რომელიც გახდა ნებისმიერი ქმედებების თანამზრახველი გადასახადის თავიდან არიდების მიზნით,

პირადად ეკისრება, გარდა დისციპლინარული სანქციებისა, საჯარო ან მინისტერიალურ ოფიცრების შემთხვევაში, ხაზინას მოკლებული თანხის 50% ოდენობის ჯარიმა.

მუხლი 1829 (Abr. L. n 87-502, 8 juill. 1987 : rétabli Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005). – 852-ე მუხლის 2 დებულებების ნებისმიერი დარღვევა საგანგებოდ დასჯადია :

1. იმ ქონების ღირებულების ან ფასის თანხის 1%-ის ოდენობის ჯარიმით, რომელიც იყო ჟურნალში გამოტოვებული ტრანზაქციის საგანი, მაგრამ რეგულარულად ტარდებოდა ბუღალტერიაში ;

2.150 ევროს ოდენობის ჯარიმით, თუ ზემოხსენებულ ჟურნალში გამოტოვებულია მანდატები, ნასყიდობის დაპირებები და ნებისმიერი სხვა აქტების, რომელიც არ შეიცავს საკუთრების გადაცემას და უკავშირდება ქონების გამყიდველის საქმიანობას ;

3.15 ევროს ოდენობის ჯარიმით, ფორმალური ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევისათვის.

მუხლი 1830 (Abr. Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005 codifiés, D. n 2006-356, 24 mars 2006).

მუხლი 1831 (Abr. Ord. n 2004-281, 25 mars 2004).

მუხლი 1832 და 1833 (Abr. Ord. n 2005-1512, 7 déc. 2005 ; codifiés, D. n 2006-356, 24 mars 2006).

## **VII წლის 22 ფრიმერის (საფრანგეთის რესპუნლიკური კალენდრის მესამე თვე) კანონი**

### **რეგისტრაციის შესახებ**

კარი VII. - ნოტარიუსების, სასამართლო აღმასრულებლების და მდივნების, მოსამართლეების, არბიტრების, ადმინისტრატორების და სხვა საჯარო მოხელეების და ოფიცრების ვალდებულებები, მხარეების და მიმღებები ინსპექტორების ვალდებულებები, დამოუკიდებლად ზემოხსენებული თანამდებობებისაგან.

მუხლი 58. - რეგისტრაციის მიმღებ ინსპექტორებს შეუძლიათ გასცენ ამონაწერები ჟურნალებიდან მხოლოდ მშვიდობის მოსამართლის ბრძანებულებით, როდესაც ეს ამონაწერები არ იქნება გამოთხოვილი რომელიმე კონტრაქტორი მხარის ან მისი უფლებამოსილი პირების მიერ. ისინი მიიღებენ 1 ფრანკის საზღაურს ყოველი მითითებული წლის მოძიებაში და 50 სანტიმს ყოველ ამონაწერზე, გარდა მარკიანი ბლანკის გადასახადისა ; ამის გარდა სხვა არანაირი გადასახადი ვერ იქნება მოთხოვნილი.

### **1993 წლის 16 სექტემბრის პასუხი**

ჩუქების აქტების სარეგისტრაციო ფორმალობების შესახებ

*საბიუჯეტო საქმეთა მონიტორის პასუხი ბ-ნ ანდრე ფოსეს.*

1475. – 10 ივნისი 1993. - ბ-ნი ანდრე ფოსე მოახსენებს საბიუჯეტო საქმეთა მინისტრს, რომ სპეციალური ვიზირებისას კერძო აქტების სახით ჩუქების აქტების სარეგისტრაციო ფორმალობების შესრულებისთვის, 1993 წლის 21 იანვრის ინსტრუქციამ (BOI 7 A-1-93) შესაძლოა გამოიწვიოს ჩუქების შემთხვევებში სრულიად კეთილი განზრახვით ასეთი აქტების გამოყენება, მაშინ როდესაც 931-ე მუხლი აუქმებს ცოცხალ ადამიანთა შორის ჩუქების აქტებს, რომელსაც არ გააჩნია ავთენტური ფორმა ანუ არ არის შესრულებული „ნოტარიუსის წინაშე“ და არ გააჩნია დედანი. ამის შედეგად ის კითხულობს, ხომ არ თვლის ის მიზანშეწონილად ამ უზუსტობის

თავიდან ასაცილებლად, ინსტრუქციიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ კერძო სახის ჩუქება“ და შემოვიფარგლოთ მხოლოდ ხელიდან ხელში ჩუქებით, რომელიც იბეგრება ზოგადი საგადასახადო კოდექსის 635-ე A მუხლის დებულებების თანახმად.

**პასუხი.** - როგორც ბრძანებს პატივცემული პარლამენტარი, სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მიხედვით „ცოცხალ ადამიანთა შორის ჩუქების ყვალა აქტი გაფორმდება ნოტარიუსთან, გარიგების ჩვეული ფორმით და იქნება დედანი. სხვა შემთხვევაში ის ბათილია“. თუმცა, საგადასახადო ორგანოების ფინანსურ მენეჯერებს, რომლებსაც ვერ განსჯიან იმისთვის, რომ შეამოწმონ აქტების ნამდვილობა, ვალდებულნი არიან დაარეგისტრირონ მათთან წარმოდგენილი აქტები, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ის გაურკვევლობები, რომელიც გაჩნდა სარეგისტრაციო ფორმლობების ბიუროში, სადაც ძირითადი საგადასახადო თანხები და თანხა-კონსერვაციები ერთ ადგილას არის თავმოყრილი, 1993 წლის 21 იანვრის (BOI 7 A-1-93) ინსტრუქცია გახდა პრაქტიკული გამოსავალი ამ რთულ სიტუაციაში. მისი ერთადერთი მიზანია დაიცვას საჯარო სერვისის ეფაექტურობა. ამ ინსტრუქციის ბოლო პუნქტი გვახსენებს ამასთანავე, რომ უძრავი ქონების კერძო სახით ჩუქების აქტის დეპოზიტი შესაძლოა არ იქნეს მიღებული დასარეგისტრირებლად, ზოგადი საგადასახადო კოდექსის 600-ე მუხლის თანახმად.

### **თავი III. - აქტების შენახვა (კონსერვაცია) და ასლები**

#### **სამოქალაქო კოდექსი**

პარაგრაფი 5. – დოკუმენტების ასლები

(Ancien paragraphe IV. Dénuméroté, L. n 2000-230, 13 mars 2000)

მუხლი 1334. - ასლები, ორიგინალი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, ნამდვილია მხოლოდ ამ დოკუმენტში მოცემულ შინაარსზე, რომლის წარდგენის მოთხოვნა ყოველთვის შესაძლებელია.

მუხლი 1335. - როდესაც ორიგინალი დოკუმენტი აღარ არსებობს, ასლები უფლებამოსილია შემდეგი განსხვავებით :

1. სააღსრულებო ასლებს და პირველად გზავნილებს ისეთივე ძალა აქვთ, რაც ორიგინალს ; ეს წესი იგივეა იმ ასლებისათვის, რომელსაც გასცემს მოსამართლე, მხარეების თანდასწრებით ან მოწვევით ან ასლებისათვის, რომელიც შედგენილია მხარეების თანდასწრებით და მათი თანხმობით.

2. ასლები, რომელიც გაცემულია მოსამართლის მიერ მხარეების თანხმობის გარეშე, სააღსრულებო ასლები გაიცემა აქტის დედნიდან მიმღები ნოტარიუსის ან მისი ერთერთი შემცვლელის მიერ, ან საჯარო ოფიცრების მიერ, რომელთაც თანამდებობიდან გამომდინარე დეპოზიტში აქვთ დედნები, - ორიგინალის დაკარგვის შემთხვევაში, იძენს ძალას ხანდაზმულობის შემთხვევაში.

ეს ასლები ხსანდაზმულად ითვლება, როდესაც 30-ზე მეტი წლისაა.

თუ ეს ასლები 30-ზე ნაკლები წლისაა, ისინი მხოლოდ წერილობითი მტკიცებულების საწყისად შეიძლება გამოდგეს.

3. თუკი აქტის დედანზე გაცემული ასლები არ გასცა მისმა შემდგენელმა ნოტარიუსმა ან ერთერთმა მისმა შემცვლელმა, ან საჯარო ოფიცრებმა, რომელთაც თანამდებობიდან გამომდინარე

დეპოზიტში აქვთ დედნები, მიუხედავად მათი ხანდაზმულობისა, ისინი მხოლოდ წერილობითი მტკიცებულების საწყისად შეიძლება გამოდგეს.

4. ასლების ასლები, გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უბრალო ინფორმაცია (1).

მუხლი 1336. - აქტის ჩანაწერი საჯარო რეესტრებში მხოლოდ წერილობითი მტკიცებულების საწყისად შეიძლება გამოდგეს ; ამისათვის საჭიროა ასევე :

1. რომ დადასტურებული იყოს, რომ ნოტარიუსის ყველა დედანი, რომელიც აქტის სავარაუდო შედგენის წელს არის შესრულებული, დაკარგულია, ან დამტკიცდეს, რომ ამ აქტის დედნის დაკარგვა განსაკუთრებულ გარემოებებში მოხდა.

2. რომ არსებობდეს ნოტარიუსის წესრიგში მყოფი ჟურნალი, რომელიც დაადასტურებს, რომ აქტი იმავე თარიღით არის შესრულებული.

როდესაც ამ ორი გარემოების თავმოყრით დაშვებული იქნება მოწმეთა მტკიცებულება, აუცილებელია რომ ის პირები, ვინც აქტის მოწმეები იყვნენ, თუ კი ისინი კიდევ არსებობენ, გამოიკითხულ იქნან.

### **სამოქალაქო საპროცესო კოდექსი**

აქტების და რეესტრების ასლების გაცემა

მუხლი 1435 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - მინისტერიალური და საჯარო ოფიცრებს, თუ აქტების სხვადეპოზიტარ პირებს ევალებათ გასცენ უფლებამოსილების მიხედვით, გზავნილი ან აქტების ასლი თვით მხარეებზე, მათ მემკვედრეებზე ან მათ უფლებამოსილებზე.

მუხლი. - 1436 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - დეპოზიტარის უარის ან დუმილის შემთხვევაში, მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარე, როლემთანაც შევიდა საჩივარი, იწყებს განხილვას, მომჩივანის და დეპოზიტარის მოწვევის და დაკითხვის შემდეგ.

მუხლი 1437 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - გადაწყვეტილება ატარებს დროებით ხასიათს.

სააპელაციო სარჩლის გაფორმება, წარმოება და განსჯა ხდება უსასყიდლოდ.

მუხლი 1438 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - მხარეს შეუძლია მიიღოს დაურეგისტრირებული ან არასრული აქტის ასლი ; ამის უფლება უნდა მოთხოვნილ იქნას მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარესთან. თხოვნა წარდგენილია საჩივრის სახით.

აქტის დეპოზიტარის უარის ან დუმილის შემთხვევაში, ხდება მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარეზე რეფერირება.

მუხლი 1439 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - მხარე, რომელსაც სურს მიიღოს ავთენტური აქტის მეორე სააღსრულებო ასლი, უნდა თხოვნით მიმართოს მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარეს. თხოვნა წარდგენილია საჩივრის სახით.

აქტის დეპოზიტარის უარის ან დუმილის შემთხვევაში, ხდება მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარეზე რეფერირება.

მუხლი 1440 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - სასამართლოს მდივნებს და საჯარო ჟურნალების და რეესტრების დეპოზიტარებს ევალუბათ გასცენ ასლი და ამონაწერი ყველა მოხოვნელზე, მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 1441 (D. n 81-500, 12 მაისი 1981). - უარის ან დუმილის შემთხვევაში, მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარე ან სასამართლო მდივანის დუმილის შემთხვევაში, იმ ინსტანციის თავჯდომარე, სადაც ის მუშაობს, რომელთანაც შესულია საჩივარი, იწყებს განხილვას, მომჩივანის და სასამართლო მდივანს თუ დეპოზიტარის მოწვევის ან დაკითხვის შემდეგ.

სააპელაციო სარჩლის გაფორმება, წარმოება და განსჯა ხდება უსასყიდლოდ.

### **1791 წლის 29 სექტემბრის დადგენილება**

ნოტარიატის ახლებური ორგანიზაციის და ნოტარიუსების ოფისების ანაზღაურების შესახებ

(Abr. À l'exception de l'art. 16. L. 25 ventôse an XI)

### **კარი III. - სანოტარო აქტების დედნების კონსერვაციის და დეპონირების შესახებ**

მუხლი 16. - 1793 წლის 1 იანვრიდან, საჯარო ნოტარიუსები ვალდებული იქნებიან ყოველი წლის პირველი ორი თვის განმავლობაში შეიტანონ, სასამართლოს სამდივნოში, მათი რეესტრაციის მიხედვით წინა წლის მიღებული აქტების ჟურნალის მათ მიერ დამოწმებული დუბლიკატი, ასი ლივრის ჯარიმის გათვალისწინებით ყოველ დაგვიანებულ თვეზე.

### **IV წლის 16 ფლორეალის (საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის მერვე თვე) კანონი**

ადგენს ადგილს, სადაც განთავსებული უნდა იქნას ყოველწლიურად ნოტარიუსების მიერ მიღებული აქტების ჟურნალის დუბლიკატი (6 მაისი 1796)

მუხლი 1. - საჯარო ნოტარიუსებს დაევალებათ ყოველწლიურად, დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლოს სამდივნოში, ადგილმდებარეობის მიხედვით, შეიტანონ წინა წლის მათ მიერ მიღებული აქტების ჟურნალის მათივე დამოწმებული დუბლიკატი, 1791 წლის 29 სექტემბრის კანონის მე- III კარის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ სავალდებულო ვადებში.

მუხლი 2. - ყოველი დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლოებთან არსებულ აღმასრულებელ დირექტორიის კომისარს ეკისრება პასუხისმგებლობა დაგვიანებული ნოტარიუსების დევნა ; ის მათ დააკისრებს ზემოხსენებული კანონით [1791 წლის 29 სექტემბერი] გათვალისწინებული ჯარიმას, და ეს ჯარიმა ამოღებული იქნება იმ საჯარო მიმღები ინსპექტორის მიერ, რომელსაც ევალება იმ უბნის მომსახურება, სადაც ეწევა სანოტარო საქმიანობას დამრღვევი ნოტარიუსი.

### **1791 წლის 26 ნოემბრის n 71-941 დადგენილება**

ნოტარიუსების მიერ შედგენილი აქტების შესახებ

იხ : Décret n 71-941 du 26 nov. 1971. Art. 1<sup>er</sup>, p.10.

### **კარი I. - სანოტარო მოქმედების არაქმედუნარიანობა**

იხ : Décret n 71-941 du 26 nov. 1971. Art. 2 et 3, p. 624.

### **კარი II. - აქტის დამხმარე პირები**

იხ : Décret n 71-941 du 26 nov. 1971. Art. 4 à 22, p.10.

## **კარი V. - ჟურნალი**

მუხლი 23 მუხლი (Dénuméroté, D. n 2005-973, 10 août 2005. – V. art. 41).

მუხლი 23 (Dénuméroté, D. n2005-973, 10 août 2005). - ნოტარიუსებს გააჩნიათ ყველა შემოსული აქტის ქალაქის ან ელექტრონული ჟურნალი.

ჟურნალი იწარმოება ყოველდღიურად. მასში მითითებულია აქტის თარიღი, ბუნება, ფორმა, მხარეების გვარები, რა სახით (ქალაქში თუ ელექტრონულად) არის შედგენილი, და ყველა ის ჩანაწერი, რომელიც გაწერილია კანონებში და რეგლამენტებში.

მუხლი 24 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - როდესაც ის შედგენილია ქალაქში, ჟურნალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მობილური ფურცლების სახით. ეს ფურცლები დანომრილია. მათ ვიზირებას და პარაფირებას ახდენს ნოტარიუსთა პალატის თავჯდომარე ან მის მიერ დელეგირებული პირი. მაგრამ პარაფირება შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას ისეთი პროცედურის გამოყენებით, რომელიც გამორიცხავს ფურცლების ნებისმიერ ჩანაცვლებას ან დამატებას.

მუხლი 24 (V. D. n 52-1292, 2 déc. 1952).

მუხლი 25 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). - როდესაც ის შედგენილია ელექტრონულად, ჟურნალს ხელს აწერს ნოტარიუსთა პალატის თავჯდომარე ან მის მიერ დელეგირებული პირი, უსაფრთხო ელექტრონული ხელმოწერით, ზემოხსენებული 2001 წლის 30 მარტის დადგენილების [n 2001-272] თანახმად.

## **კარი VI. - კონსერვაცია**

მუხლი 26 (Rempl. D. n 2005-973, 10 août 2005). – ნოტარიუსები ვალდებული არიან შეინახონ ყველა შემოსული აქტის დედანი, გარდა იმ საბუთებისა, რომელიც კანონით ორიგინალში გაიცემა, კერძოდ ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება, მინდობილობები, დამადასტურებელი აქტები, მიწის სარგებლობის, ქირის, ხელფასების გადახდის ქვითრები, პენსიის და რენტის დაგვიენება.

მუხლი 27 ( D. n 2005-973, 10 août 2005). – ნოტარიუსები ვერ გასცემენ ვერცერთ დედანს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებისა.

მის გაცემისას, ისინი ადგენენ და ხელს აწერენ ქალაქის ასლს, სადაც მითითებულია მისი სისწორე ორიგინალთან, რომელსაც ადასტურებს მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარე, მათი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით, ან მის მიერ ამ მიზნით დელეგირებული პირი.

ეს ასლი ჩანაცვლებს დედანს. ის ძალაშია მის რეინტეგრაციამდე.

მუხლი 28 ( D. n 2005-973, 10 août 2005). – ელექტრონულად შენახული აქტი უნდა ინახებოდეს ისეთ პირობებში, სადაც დაცული იქნება მისი მთლიანობა და წაკითხვალობა.

აქტის შედგენისთანავე, მასთან დაკავშირებული ინფორმაციების ერთობლივობა, როგორცაა მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, თვისებების ჩამოყალიბება, მოსაძიებელი კვალი, ასევე უნდა იქნას დაცული.



ნოტარიუსის მიერ ელექტრონულად შედგენილი სანოტარო აქტი მისი შედგენისთანავე შესანახად რეგისტრირდება დედნების ცენტრალურ საცავში. ამ უკანასკნელს ან იმ ნოტარიუსს ვისთანაც ის ინახება აქვთ მასზე წვდომის ექსკლუზიური უფლება.

დედნების ცენტრალურ საცავს ზედამხედველობას უწევს ნოტარიატის უმაღლესი საბჭო და არ არღვევს 1979 წლის 3 დეკემბრის 79–1037-ე დადგენილების მე-2 მუხლს, რომელიც ეხება საჯარო არქივების კომპეტენციას და ადმინისტრაციათა შორის თანამშრომლობას საჯარო არქივების შეგროვებას, კონსერვაციას, გაცემას.

მისი კონსერვაციით გამართლებული თანმიმდევრული ოპერაციები, კერძოდ მიგრაციები (მოძრაობა), რომლის საგანი ის შესაძლოა გახდეს, არ ჩამოართმევს აქტს მის ორიგინალის ბუნებას.

კონსერვაციის პროცედურამ საშუალებას უნდა მისცეს ნოტარიუსს გააკეთოს აქტის შედგენის შემდგომი ჩანაწერები, ისე რომ წინა მონაცემები არ შეიცვლებას.

## **კარი VII. – ჩანაწერები მინდორზე**

იხ : Décret n 71-1971 du 26 nov. art. 29 à 43, p. 12

### **1972 წლიას 1 ივნისის ინსტრუქცია**

საგადასახადო ორგანოების გენერალური დირექცია სანოტარო აქტების და ჟურნალების წარმოების შესახებ

I.- მინისტრიალური საჯარო ოფიცრებისა და სხვა გადამხდელების ვალდებულებები

#### **ზოგიერთ აქტში შესატანი ჩანაწერი**

a) *სანოტარო აქტების სპაციალური ვალდებულებები : ტექსტების წაკითხვა*

საგადასახადო კოდექსის 863-ე და 864-ე მუხლები ავალდებულებს ნოტარიუსებს, აქტების ზოგიერთი კატეგორიებისათვის, სრულად წაუკითხონ მხარეებს სხვადასხვა საკანონმდებლო დებულებები, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს ფასის დაფარვის შემთხვევაში. ჩანაწერი ამ ფორმალობის აღსრულების თაობაზე ჩართული უნდა იყოს აქტში.

III პარაგრაფში 1971 წლის 29 დეკემბრის კანონის ზემოხსენებული 43-ე მუხლი ცვლის ამ ვალდებულების ფორმას ; ამიერიდან ნოტარიუსს აღარ დაევალება თვით ტექსტების წაკითხვა, არამედ მხოლოდ მხარეების ინფორმირება მათში აღნიშნულ სანქციების თაობაზე. ამ ინფორმაციის ფორმა და მოცულობა, რომელიც შესაძლოა ზეპირი ან წერილობითი იყოს, სრულადაა ნოტარიუსის დისკრეციულ უფლებაზე დამოკიდებული.

როგორც ადრე, ამ ფორმალობის აღსრულება ჩართული უნდა იყოს აქტში.

b) *ნამდვილობის დადასტურება*

ეხლანდელ რედაქციაში, გენერალური საგადასახადო კოდექსის 850-ე მუხლი ავალდებულებს გამყიდველებს, მყიდველებს, გაცვლის ხელშეკრულების მონაწილეებს, გამზიარებლებს, მათ მეუღლეებს, კანონიერ მეურვეებს თუ ადმინისტრატორებს, დაასრულონ აქტი, რომელშიც მხარეებად არიან წარმოდგენილი, ჩანაწერით, რიმელიც ადასტურებს ფასის ან კომპენსაციის ნამდვილობას. კერძო ფორმით შედგენილი აქტების შემთხვევაში, ეს ჩანაწერი ხელით უნდა იყოს გაკეთებული აქტის ყოველი მხარის მიერ.

1971 წლის 29 დეკემბრის ზემოხსენებული კანონის IV პარაგრაფის 43-ე მუხლი აუქმებს რა ნახსენები 678-ე მუხლის მეორე პუნქტს, ის არ აჩერებს ამ ვალდებულებას : მისი ერთადერთი მიზანია, რომ კერძო ფორმით შედგენილ აქტებში მხარეების მიერ ფასის ნამდვილობის დადასტურება აღარ მოხდეს მხარეების ხელმოწერით ; ამიერიდან ეს ჩანაწერი ყოველთვის გაკეთდება აქტის ბოლოს, მიუხედავად მისი ფორმისა.

ამ შეზღუდვით ეხლანდელი რეგლამენტირება ძალაში რჩება, და კერძოდ, ნამდვილობის დადასტურების არარსებობა დღეს პრინციპში კვლავ რჩება, ფორმალობაზე უარის თქმის მიზეზი. (Annoter ; Instr. 20 août 1970 BODGI 7 A-11-70, p. 72, n 7).

სანოტარო აქტებში ჩანაწერი, რომელიც ეხება ვალდებულებების შესრულებას, გამომდინარე გენერალური საგადასახადო კოდექსის 850-ე, 863-ე და 864-ე, მუხლებიდან, შესაძლოა გაკვეთდეს შემდეგი ფორმით :

„მხარეები ადასტურებენ, გენერალური საგადასახადო კოდექსის 1837-ე მუხლის სანქციების გათვალისწინებით, რომ არსებული აქტი წარმოადგენს ფასის (თუ კომპენსაციის) მთლიანობას ; ისინი ადასტურებენ, რომ ინფორმირებულები იყვნენ ხელმოწერი ნოტარიუსის მიერ ამ განცხადების უზუსტობის შემთხვევაში სანქციების შესახებ.“

## II. – ჟურნალები

1971 წლის 26 ნოემბრის დადგენილებამ დაარღვია ეხლანდელი წესები მხოლოდ *ნოტარიუსების* შემთხვევაში, და მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში :

### a) *ჟურნალის ფორმა*

ზემოხსენებული დადგენილების 22-ე მუხლის პირველ პუნქტი ერთაზროვნად დასაშვებად მიიჩნევს მობილური ფურცლების გამოყენებას სანოტარო ჟურნალის წარმოებისას.

იმავე მუხლის მეორე პუნქტი ცვლის იმ პირობებს, რომელშიც სანოტარო ჟურნალი დღეისათვის არის დანომრილი და პარაფირებული. ამიერიდან ფურცლის გვერდები (ჟურნალის ფურცლები თუ მობილური ფურცლები) დანომრილია წინასწარ. მის ვიზირებას და პარაფირებას ახორციელებს ნოტარიუსთა პალატის თავჯდომარე ან მის მიერ დელეგირებული პირი, და არა საინსტანციო მოსამართლე. ამასთანავე გათვალისწინებულია, რომ პარაფირების ფორმალობა შესაძლოა შეიცვალოს პროცედურით, რომელიც გამორიცხავს ფურცლების ნებისმიერ ჩანაცვლებას ან დამატებას.

### b) *ჟურნალის წარმოება.*

რადგან დღეისათვის ჟურნალის წარმოება უნდა ხდებოდეს ყოველთლიურად, ეს დებულება გულისხმობს, რომ აქტები უნდა დარეგისტრირდეს შედგენისთანავე. ტოლერანტობის მიზნით არაგეგმიური შემოწმებისას, არანაირი ფისკალური საურავი არ იქნება დაკისრებული ჟურნალის წარმოებაში ორდლიანი დაგვიანებისათვის და თუ არ არსებობს არანაირი ექვის მიზეზი დოკუმენტის ნამდვილობაში : ეს ტოლერანტული მიდგომა გავრცელდება ყველა მინისტერიალურ ოფიცერზე .

მეორეს მხრივ, 1971 წლის 26 ნოემბრის დადგენილება არ იყენებს განერეული საგადასახადო კოდექსის 826-ე მუხლის დებულებებს, რომელიც კრძალავდა ცარიელ ადგილებს და სტრიკონებს შორის ჩანაწერებს ; აქედან გამომდინარე, ამიერიდან ცარიელი ადგილები და სტრიკონებს შორის

ჩანაწერები, კერძოდ სარეპროდუქციო ან მექანიკურ-გრაფიკული პროცესების შედეგად გამოწვეული, აღარ წარმოადგენენ დარღვევას და მხოლოდ ჩანართები უნდა იყოს სანქციონირებული.

შეხსენებულია ასევე, რომ გადახაზვა და ზემოდან გადაწერა თავისთავად არ წარმოადგენს გადაცდომას, და შეიძლება, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, წარმოადგენდნენ მართლაც გამოტოვების მტკიცებულებას.

### c) ჟურნალის შიგთავსი

ნოტარიუსის მიერ მიღებული ყველა აქტი უნდა გაფორმდეს ჟურნალში (D. 26 nov. 1971, art. 21).

ფისკალური კანონებისა და ზემოხსენებული დადგენილების ბოლო პუნქტის 22-ე მუხლის კომბინაციიდან გამომდინარე, სანოტარო ჟურნალში ამიერიდან უნდა მითითებული იყოს ყოველ აქტიში :

1. ბრძანების ორდერი ;
2. აქტის თარიღი ;
3. მის ხასიათი (ორიგინალად გასაცემი აქტი ან აქტი დედანი) ;
4. მისი ბუნება (ნასყიდობა, გაცვლა ...);
5. მხარეთა გვარი და სახელი და საცხოვრებელი ადგილი ;
6. ქონების მითითება, მისი ადგილმდებარეობა და ფასი, როდესაც საქმე ეხება აქტებს, რომლის საგანია უძრავი ქონების საკუთრება, უზუფრუქტი ან მოხმარებაში გადაცემა ;
7. ფორმლობის კავშირი, როგორც ჩამოყალიბებულია BODGI 7 L-1-70, paragraphe A, a ;
8. ზოგ შემთხვევაში ჩანაწერები, რომელიც კავშირშია მოცულობითი მარკის გადასახადთან (BOED : 1968-10237).

ყოველ შემთხვევაში, იმ აქტებში, რომელიც ითვალისწინებს ამონაწერის შედგენას, ნოტარიუსების მიერ, მათ შეუძლიათ ჩაანაცვლონ მე-5 და მე-6 ში გათვალისწინებული მონაცემები უბრალოდ მხარეების გვარის მონაცემებით, რომელსაც ერთვის ჩანაწერი ამონაწერის ასლში და რომელიც ინახება სპეციალურ შეკვრაში.

### 1972 წლის 12 ივლისის ინსტრუქცია

გენერალური საგადასახადო დირექცია კლინიკებში, საავადმყოფოებში და საზოგადოებრივ ადგილებში გარდაცვლილი პირების ანდერძების დეპონირების აქტების შესახებ

რა გარემოებებშიც არ უნდა მოხდეს დეპონირება, ხელნაწერი ანდერძები, განთავსებული ნოტარიუსის დედნების რანგში, პრინციპში ექვემდებარება მოცულობითი მარკის გადასახადს და სარეგისტრაციო ფიქსირებულ გადასახადს 50 ფრანკის ოდენობით, გარდაცველებიდან სამი თვის ვადაში.

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის დებულებების თანახმად, მის წინა რედაქციაში, რომელიც წინ უძღვოდა 1966 წლის 28 დეკემბრის კანონს, პარიზის კლინიკებში, საავადმყოფოებში და საზოგადოებრივ ადგილებში გარდაცვლილი ადამიანების ხელნაწერი ანდერძები, რომლის

ნოტარიუსი უცნობია გარდაცვალების მომენტში, განთავსდებოდა დედნების რანგში პარიზის დეპარტამენტთაშორისო ნოტარიუსთა პალატის მდივან ნოტარიუსთან, რომელიც უფლებამოსილია ამ მიზნით მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარის მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ნოტარიუსის მიერ გაწეული დეკონირების ხარჯების გადაუხდელობის რისკი, დაშვებულ იქნა, რომ ამგვარი ანდერძები დარეგისტრირდეს და მარკა დაერთოს დებეტის მეშვეობით, პარიზის ნოტარიუსებმა ერთობლივად ითავეს მოხსნან სამკვიდროს პირველი ხელმისაწვდომი ფონდებიდან გადასახადის თანხები, რომლის გადახდა გადავადებულ იქნა.

სამოქალაქო კოდექსის ახალი 1007-ე მუხლის დებულებების ძალაში შესვლის შემდეგ, ნოტარიუსი მაღალი ინსტანციის სასამართლოს თავჯდომარის მიერ აღარ არის ვალდებული ამ ანდერძების შენახვაზე. მაგრამ ეს ანდერძები იგივე მიზნით გადმოეცემა რესპუბლიკის პროკურორის მიერ. ანუ, შენახვა პრაქტიკულად წარმოადგენს იგივე ვალდებულების ხასიათს. შემდგომ გადაწყდა ადრე მიღებული დებულების ზომის დაბრუნება, რომლითაც ამიერიდან ისარგებლებენ, იგივე პირობებით ყველა პროკურატურის მიერ დანიშნული ნოტარიუსები, რათა მიიღონ კლინიკებში თუ საავადმყოფოებში და საზოგადოებრივ ადგილებში გარდაცვლილი პირების ანდერძები.

## **1972 წლის 29 ნოემბრის პასუხი**

### **აქტების რეპროდუცირების პროცესის შესახებ**

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ ვუალკენს.*

**26189.** - ბ-ნი ვუალკენი წარუდგენს იუსტიციის მინისტრს :

1. 1952 წლის 2 დეკემბრის დადგენილების თანახმად, 1954 წლის 22 მაისის სასამართლოს გადაწყვეტილების მე-9 მუხლის მიხედვით, 1952 წლის 2 დეკემბრის დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული თანხმობა, რომელიც მოიცავს საჯარო ადმინისტრაციის რეგლამენტს, საჯარო და მინისტერიალური ოფიცრების მიერ აქტების რეპროდუცირების პროცედურების გამოიყენებაზე, რომელიც მიენიჭა აპარატების და მათი ფურნიტურის გარკვეულ რიცხვს, რომლის შეზღუდული ნუსხა გამოქვეყნებულ იქნა ;

2. რომ ეს სავარაუდოდ აძლევს ნოტარიუსებს საშუალებას შეადგინონ ამ პროცედურების მეშვეობით, ერთი ოპერაციით და უშეცდომოთ იდენტური დედანი, გზავნილები და მიწის გასაჯაროების ფურცელი (ფორმულირება 3265). ნოტარიუსი კვლავ ვალდებულია შეადგინოს ამონაწერი აქტიდან და საკადასტრო ამონაწერი პირდაპირი ბეჭდვით.

შედეგად, ის კითხულობს, რატომ არის, რომ ზოგიერთი საცავები (conservations) უარს ამბობენ 3265 ფორმულირებით რეპროდუცირების პროცესის გამოყენებაზე, მაშინ როდესაც მათი უმრავლესობისათვის ეს მისაღებია, და თუ შეიძლება დაუზუსტდეს, ეს გამოყენება ნებადართულია თუ აკრძალულია მინისტერიალური ოფიცრებისათვის (Quest. 30 sept. 1972).

**პასუხი.** - 1952 წლის 2 დეკემბრის n 52-1292 დადგენილების 1 და მე-4 მუხლების თანახმად, რომელიც მოიცავს საჯარო ადმინისტრაციის რეგლამენტს, რომლითაც საჯარო და მინისტერიალური ოფიცრები გამოიყენებენ აქტების რეპროდუცირების პროცედურებს, „ნოტარიუსების, სასამართლო მდივნების და აუქციონერების მიერ გაცემული ასლები და გზავნილები, ისევე როგორც სასამართლო აღმასრულებლების ასლები, შესაძლოა ასევე შესრულდეს სხვა პროცედურების მეშვეობით, როგორცაა მიღებული ასლები, რომელიც

შეესაბამება იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებაში დადგენილ ტექნიკურ პირობებს“. „გამოყენებული აპარატები იმ ტიპის უნდა იყოს, რომელიც მწარმოებლების მოთხოვნით, დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით“. 1971 წლის 26 ნოემბრის n 71-941 დადგენილების მე-7 და მე-15 მუხლების თანახმად, ეს ნორმები აღარ ვრცელდება ნოტარიუსებზე. მაგრამ, საიპოთეკო ოფისებში დასაცავი ეგზემპლარები კვლავ ექვემდებარება დადგენილ წესებს, რომელსაც ითვალისწინებს 1955 წლის 14 ოქტომბრის n 55-1350 დადგენილების მუხლები 76-1 და 76-2, მიწების გასაჯაროების შესახებ, რომელიც შეიცვალა 1970 წლის 22 ივნისის n 70-548 და 1967 წლის 22 დეკემბრის n 67-1252 დადგენილებებით. ამგვარად როდესაც დოკუმენტები, რომელიც უნდა დაცულ იქნას საიპოთეკო საცავებში, არ არის შედგენილი ადმინისტრაციის გაყიდვაში მყოფი ფორმულირების მეშვეობით, შედგენილი უნდა იყოს საგადასახადოს გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით დაშვებულ ქალაქის ფურცელზე. ზემოხსენებული 1955 წლის 14 ოქტომბრის დადგენილების დებულებების და 1971 წლის 26 ნოემბრის დადგენილების დებულებების ჰარმონიზაცია დღესდღეობით იუსტიციის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროების კვლევის საგანია.

### **1975 წლის 14 მაისის პასუხი**

სანოტარო აქტების ქსეროასლების შესახებ

*იუსტიციის მინისტრის პასუხი ბ-ნ ნოალს.*

17535. – 8 მარტი 1975. - ბ-ნი ნოალი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ 1952 წლის 2 დეკემბრის დადგენილება, რომელსაც ავსებს 1971 წლის 29 ნოემბრის დადგენილებას, აძლევს ნოტარიუსს არჩევანის საშუალებას გზავნილების შედგენაში : 1. ხელით ; 2. საბეჭდი მანქანის მეშვეობით ; 3. შეადგინოს ისინი სხვა პროცედურის მშვეობით, როგორცაა მიღებული ასლები, რომელიც პასუხობს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებაში დადგენილ ტექნიკურ პირობებს. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „ნებისმიერმა ხელნაწერმა ანდერძმა, აღსრულებამდე უნდა გაიაროს ნოტარიუსი ხელში ; დეპოზიტის ოქმის თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში ნოტარიუსმა უნდა მიაწოდოს მისი გზავნილი, და ანდერძის ზუსტი ასლი მაღალი ინსტანციის სასამართლოს მდივანს, სამკვიდროს გასნის ადგილმდებარეობის მიხედვით“. ეროვნულ ასამბლეაზე დებატებისას ახალი 1007-ე მუხლის კენჭისყრის დროს, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა (JOAN 14 déc. 1966, p. 5461) „გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ჩვენს გაგვაჩნია თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, ანდერძის ზუსტ ასლად შეიძლება ჩაითვალოს ქსეროასლი“. აქვს თუ არა უფლება ნოტარიუსს, რომელსაც აქვს გზავნილების შედგენის ზემოხსენებული სამი საშუალება და რომელსაც მემკვიდრე სთხოვს გარდაცვლილის ანდერძის ქსეროასლი მიაწოდოს, აური თქვას ამაზე, რადგან მას, ნოტარიუსს აქვს უფლება აირჩიოს სამიდან ერთი გზავნილის შედგენის საშუალება და აირჩიოს საბეჭდი მანქანაზე შესრულებული ასლი. მემკვიდრეს კი, რომელიც ცხადია ქსეროასლის გაცემის ხარჯების კისრულობს, აქვს თუ არა უფლება თავს მოახვიოს ნოტარიუსს საკუთარი არჩევანი და მოითხოვოს გზავნილის გაცემა ქსეროასლის სახით.

**პასუხი.** – 1971 წლის 26 ნოემბრის n 71-941 დადგენილების 24-ე მუხლმა ამოიღო ნოტარიუსები ნუსხიდან, რომლისა 1952 წლის 2 დეკემბრის დადგენილების 1-ი მუხლში საჯარო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესახებ, რომლითაც საჯარო და მინისტერიალური ოფიცრები იყენებენ აქტების რეპროდუცირების პროცედურებს. ამიერიდან 1971 წლის 26 ნოემბრის ზემოხსენებული დადგენილების 25- მუხლის თანახმად, „ სააღსრულებო ასლები და გზავნილები უნდა იყოს მარტივად წასაკითხი და უცვლელი, შესრულებული ქალაქის ფურცელზე, რომელიც

უზრუნველყოფს კონსერვაციას“. შეუძლებელია ამ პირობებში ნოტარიუსს მოეთხოვოს გზავნილის შესასრულებლად ერთი კონკრეტული პროცედურის გამოყენება. მაგრამ, რადგან ასლის გაცემაზე პასუხისმგებელი ნოტარიუსია, თვით ნოტარიუსის ინტერესებშია გასცეს ქსეროასლი, როდესაც პატივცემულ პარლამენტარის მიერ მოყვნილ შემთხვევაში, მემკვიდრე დაჯინებით ითხოვს ანდერძის ტექსტის შესწავლას.

### 1979 წლის 3 იანვრის n 79-18 კანონი

#### არქივების შესახებ

(შეცვლ. და კოდიფიცირებული გარდა იმ დებულებებისა, რომელიც ეხება კომპეტენტური ადმინისტრაციული თანამდებობის პირის დანიშვნას, და რომლის გაუქმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მემკვიდრეობის კოდექსის სარეგლამენტო დებულებების გამოქვეყნების შემდეგ, Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. – V. C. part.)

მუხლი 11. – (შეცვლ. და კოდიფიცირებული გარდა იმ დებულებებისა, რომელიც ეხება კომპეტენტური ადმინისტრაციული თანამდებობის პირის დანიშვნას [კულტურის მინისტრი], რომლის გაუქმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მემკვიდრეობის კოდექსის სარეგლამენტო დებულებების გამოქვეყნების შემდეგ, Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. – V. C. part.art. L. 212-15). კერძო არქივები, რომელიც ისტორიული თვალსაზრისით წარმოადგენენ საჯარო ინტერესს, შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას, როგორც ისტორიული არქივები, არქივების ადმინისტრაციის წინადადებით და კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით.

(Al. abr. et codifiés. Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. V.C. part. art. L. 212-17 et L. 212-26)

-----  
მუხლი 20. - (Al. abr. et codifiés. Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. V.C. part. art. L. 212-32 et L. 212-33).

(შეცვლ. და კოდიფიცირებული, გარდა იმ დებულებებისა, რომელიც ეხება კომპეტენტური ადმინისტრაციული თანამდებობის პირის დანიშვნას [კულტურის მინისტრი], რომლის გაუქმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მემკვიდრეობის კოდექსის სარეგლამენტო დებულებების გამოქვეყნების შემდეგ, Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. – V.C. part.art. L. 212-33). კონკურენტული მოთხოვნების შემთხვევაში, კულტურის მინისტრის გადაწყვეტილება ადგენს ბენეფიციარს.

მუხლი 25. - (შეცვლ. და კოდიფიცირებული გარდა ორი ბოლო პუნქტისა, რომელიც ეხება კომპეტენტური ადმინისტრაციული თანამდებობის პირის დანიშვნას, რომლის გაუქმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მემკვიდრეობის კოდექსის სარეგლამენტო დებულებების გამოქვეყნების შემდეგ, Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. – V.C. part.art. L. 213-7). - სახელმწიფო საბჭოს დადგენილება, გათვალისწინებული არსებული კანონის 32-ე მუხლში, აყალიბებს გარემოებებს, რომელშიც გაიცემა საარქივო დოკუმენტების ავთენტური ამონაწერები და გზავნილები.

დაინტერესებული მინისტრის და საბიუჯეტო (სამინისტროს) მინისტრის ანგარიშზე დაყრდნობით დგინდება ტარიფები :

-კომუნების, დეპარტამენტების, სახელმწიფო არქივების საცავებში დაცული დოკუმენტების ავთენტური ამონაწერების და გზავნილების სავიზო გადასახადი ;

---

- იმავე საცავებში დაცული, დაინტერესებული პირების მოთხოვნით ორიგინალის მასშტაბში შესრულებული გეგმების ასლების ავთენტური დადასტურების (სერტიფიკაციის) სავიზო გადასახადი ;

- იმავე საცავებში დაცული დოკუმენტების ნებისმიერი ფოტომასალის ქსეროასლების ავთენტური დადასტურების (სერტიფიცირების) სავიზო გადასახადი.

---

მუხლი 27. - (Abr. et codifiés. Ord. n 2004-178, 20 fevr. 2004. V.C. part. art. L. 213-5. თუმცა არსებული მუხლის გაუქმება, რადგან ის ვრცელდება სახელმწიფო სამსახურებზე, ძალაში შევა მხოლოდ მემკვიდრეობის კოდექსის სარეგლამენტო დებულებების გამოქვეყნების შემდეგ). - არსებული კანონის მე-6- 8, მე-10 და 25-ე მუხლების დებულებები თვალსაჩინო ადგილას გამოიფინება არქივების ადმინისტრაციის და საჯარო არქივების მქონე სერვისების საზოგადოებრივ ადგილებში, არსებული კანონის ბოლო პუნქტის მე-3 მუხლის თანახმად.

### **1979 წლის 3 დეკემბრის n 791037 დადგენილება**

საჯარო არქივების სერვისების კომპეტენციის შესახებ და ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის შესახებ საჯარო არქივების შეგროვების, კონსერვაციის და გაცემის მიზნით

მუხლი 1. – (Mod., D. n 2009-1124, 17 sept. 2009). - *საფრანგეთის არქივების* დირექცია ახორციელებს ყველა გაცემას, რომელიც ევალება “მემკვიდრეობის კოდექსის II წიგნის“ თანახმად არქივების ადმინისტრაციას, გარდა საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების და მათ დამოკიდებულებაში მყოფ ან მათზე მიმაგრებულ სამსახურების და დაწესებულებების არქივების ადმინისტრაციებისა.

მუხლი 2. - (Mod., D. n 2009-1124, 17 sept. 2009). – I.- ის ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ ზედამხედველობას სახელმწიფოს საჯარო სამსახურების და დაწესებულებების არქივებზე, ისევე როგორც საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირებზე, კერძო სამართლის ორგანიზაციებზე, რომელთაც გააჩნიათ საჯარო სერვისის მისია ან საჯარო სერვისების მართვა, საჯარო და მინისტრიალი ოფიცრების დედნებზე და ჟურნალებზე.

ის ასევე ახორციელებს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ზედამხედველობას არქივებზე, რმელიც მიეკუთვნება ტერიტორიულ თვითმმართველობებს, მათ საჯარო დაწესებულებებს და დაჯგუფებებს, ისევე როგორც არქივებზე, რომელიც მათ ექვემდებარება მემკვიდრეობის კოდექსის L.212-6 - L.212-14 მუხლების თანახმად.

II. - სამეცნიერო-ტექნიკური ზედამხედველობა ვრცელდება არქივების მართვის პირობებზე, შეგროვებაზე, „სელექციაზე“ და გაუქმებაზე, ისევე როგორც დამუშავებაზე, კლასიფიცირებაზე, კონსერვაციაზე და გადაცემაზე. მისი მიზანია უზრუნველყოს დოკუმენტების უსაფრთხოება, დაიცვას ფონდების მთლიანობა და მათი ორგანული სტრუქტურა, კვლევითი ინსტრუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური ხარისხი, დამუშავების სისტემების შესაბამისობა და საარქივო მემკვიდრეობის წარმოჩენა.

III.- ის ხორციელდება კამერალური ან გასვლითი შემოწმების მეშვეობით შემდეგი სამსახურების მიერ :

1. *საფრანგეთის არქივების* დირექციის სერვისების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში ;

2. საფრანგეთის არქივების გენერალური ინსპექტორების მიერ, სევისების და ორგანიზაციების ერთიანობისათვის ;

3. საარქივო მისიების ხელმძღვანელების და სხვა მეცნიერულ-დოკუმენტური პერსონალის მიერ, რომლებიც სახელმწიფოს ცენტრალური სერვისებში და ეროვნულ საჯარო დაწესებულებებში არიან მიმაგრებულნი, მათი უფლებამოსილების ფარგლებში ;

4. არქივების სადეპარტამენტო სერვისების დირექტორები და სახელმწიფო მოხელეები, მივლინებული ტერიტორიულ თვითმმართველობებში, გეოგრაფიული ოლქების საზღვრებში, გარდა იმ საარქივო სერვისებისა, რომლის დირექტორებიც არიან. სადეპარტამენტო არქივის სერვისის დირექტორის (ფუნქციების) დროებითი შვებულების შემთხვევაში, მისი გეოგრაფიული ოლქის მეცნიერულ-ტექნიკური ზედამხედველობა შესაძლოა განხორციელდეს სხვა დეპარტამენტში მივლინებულ სახელმწიფო მოხელის მიერ, რომელსაც ნიშნავს კულტურის მინისტრი.

---

მუხლი 9. - დოკუმენტები, რომელიც იპოთეკურ საცავებში ინახება 50 წელზე მეტ და 100 წელზე ნაკლებ ხანს, იგზავნება სპეციალურ საარქივო ცენტრებში, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ასლები და ამონაწერები, იუსტიციის და საბიუჯეტო მინისტრების გადაწყვეტილებით დადგენილი მოდალობების მიხედვით.

საცავებში 100 წელზე მეტ ხანს დაცული დოკუმენტები სავალდებულოდ იგზავნება პარიზში, ეროვნულ არქივებში და ყოველი დეპარტამენტის დედაქალაქში არსებულ სადაპარტამენტო არქივებში.

-----მუხლი 17 (Mod., D. n 2009-1124, 17 sept. 2009). - ვადა, რომლის განმავლობაში საჯარო თუ მინისტერიალი ოფიცრები ინახავენ საკუთარ დედნებს და ჟურნალებს, ვიდრე გადასცემენ მათ საფრანგეთის არქივების დირექციის დაქვემდებარებაში მყოფ საარქივო საცავში, ან არქივების სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური მაკონტროლებლის დაქვემდებარებაში მყოფ არქივებში, წარმოადგენს 75 წელს ნოტარიუსებისათვის და ოცდახუთ წელს სხვა საჯარო და მინისტერიალურ ოფიცრებისათვის.

თუმცა, დაინტერესებულ საჯარო თუ მინისტერიალურ ოფიცრებს და საფრანგეთის არქივების დირექციას შეუძლიათ შეამცირონ ან გაზარდონ ეს ვადა ერთობლივი შთანხმებით მაქსიმუმ 10 წლით, რომელიც განახლებადია ორმხრივი არაფორმალური თანხმობით იგივე ვადით.

მუხლი 18 (Mod., D. n 2009-1124, 17 sept. 2009). – დოკუმენტების გადატანისას საპრეარქივაციო საცავში ან საფრანგეთის არქივების დირექციის დაქვემდებარებაში მყოფ საარქივო საცავში, გაიცემა აღწერილობითი ფურცელი, რომელიც გაიცემა ან დოკუმენტების წარმომავლობის სერვისების მიერ ან პრეარქივაციის სერვისის მიერ, რომელიც ახორციელებს ტრანსფერს.

ელექტრონული ფორმით შესრულებული დოკუმენტის ტრანსფერს თან ახლავს სათანადო ინფორმაციების ერთიანობა, მისი შედგენიდან მოყოლებული და აუცილებელია ექსპლუატაციისათვის, მაგალითად ისეთი, რომელიც ახდენს მის იდენტიფიკაციას, ადგენს მის თვისებებს და მობილურობის კვალს.



მუხლი 19 (Rempl. D. n 2009-1124, 17 sept. 2009). - საჯარო არქივების სერვისები ატყობინებენ დოკუმენტების გადმომგზავნ სერვისებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შესაბამისი კვლევითი ინსტრუმენტების შესახებ.

მუხლი 20 (Mod., D. n 2009-1124, 17 sept. 2009). – *საფრანგეთის არქივების* დირექციის დაქვემდებარებაში მყოფ საცავებში დაცული დოკუმენტები რჩება გადმომგზავნი სერვისის, დაწესებულების თუ ორგანიზაციის ექსკლუზიურ განკარგულებაში, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არ გაიცემა „1978 წლის 17 ივლისის ზემოხსენებული კანონის [n 78–753] და მემკვიდრეობის კოდექსის II წიგნის თანახმად“.

### **1979 წლის 3 დეკემბრის დადგენილება n 79–1039**

საჯარო არქივების საცავებში დაცული დოკუმენტების ასლების, ფოტორეპროდუქციების და ამონაწერების შესაბამისობის ვიზუალური გაცემის შესახებ

მუხლი 1. – საჯარო არქივების საცავებში დაცული დოკუმენტების ასლების, ფოტორეპროდუქციების და ამონაწერების შესაბამისობის ვიზუალური ექსკლუზიურად გაიცემა ადმინისტრაციული, სასამართლო მოტივით ან უფლების დასამტკიცებლად. მომთხოვნს ევალება საკუთარი მოთხოვნის არგუმენტირება.

მუხლი 2. (Mod., D. n 2009-1124, 17 sept. 2009). – ფორმულირება, რომელიც შესაბამისობის ხასიათს შესძენს არის : „ვნახე და დავამოწმე ორიგინალთან შესაბამისობა (სისწორე). ამ დოკუმენტს არ გააჩნია ავთენტური ძალა სამოქალაქო კოდექსის 1317-ე მუხლის თანახმად“, და შემდეგ ვიზუალური გაცემის თარიღი, მარკა, შტამპი ან ბეჭდი და ქვემოთმოცემული მე-5 მუხლის მიხედვით კვალიფიციური პირის ან მისი დელეგირებული პირის ხელმოწერა.

მუხლი 3. – ზუსტი ასლები უნდა მოიცავდეს სიტყვასიტყვით ორიგინალის ტექსტს, აბრევიატურების განმარტების გარეშე და ორთოგრაფიის დაცვით.

ისინი არ უნდა მოიცავდეს არც ცარიელ ადგილებს, არც ზემოდან გადაწერილ სიტყვებს და არც დამატებებს ტექსტის კორპუსში.

მინდორზე გასწორებები და გადახაზული გაუქმებული სიტყვები ისევე უნდა იყოს დამოწმებული და პარაფირებული, როგორც ტექსტის კორპუსი.

მუხლი 4. – გეგმების ზუსტი ასლები უნდა იქნას შესრულებული ორიგინალის მასშტაბში.

მათი შესრულების უფლება გააჩნიათ მხოლოდ ხელოვნების მუშაკებს.

მუხლი 5 (Rempl. D. n 2009-1125, 17 sept. 2009). – ასლების, რეპროდუქციების და ამონაწერების შესაბამისობის ვიზუალური გაცემა :

a) ეროვნულ საარქივო სერვისებში დაცულ დოკუმენტებისათვის, შესაბამისი სერვისის დირექტორის მიერ ;

b) საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ საარქივო სერვისებში დაცულ დოკუმენტებისათვის, ამ სამინისტროების საარქივო სერვისების უფროსების მიერ ;

c) რეგიონალურ საარქივო სერვისებში დაცულ დოკუმენტებისათვის, რეგიონალური საბჭოს თავჯდომარის მიერ ;

d) სადეპარტამენტო საარქივო სერვისებში დაცულ დოკუმენტებისათვის, სადეპარტამენტო არქივების სერვისის დირექტორის მიერ ;

e) ტერიტორიული თვითმმართველობების დაჯგუფებების საარქივო სერვისებში დაცულ დოკუმენტებისათვის, დაჯგუფების თავჯდომარის მიერ ;

f) კომუნების საარქივო სერვისებში დაცული დოკუმენტებისათვის, მერის მიერ ;

გ) დოკუმენტებისათვის, რომელიც დაცულია როგორც შუალედური არქივები, სერვისის, დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ, რომელმაც ისინი შეადგინა, ან ორგანოს მიერ, რომელსაც ექვემდებარებიან ; იგივე წესი ვრცელდება სერვისებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში დაცულ დოკუმენტებზე, რომელთაც გააჩნია ნებართვა თვითონ მართონ საკუთარი არქივები მემკვიდრეობის კოდექსის L. 212-4 მუხლის I-ის თანახმად და იმავე მუხლის II-ით გათვალისწინებული გარემოებების თანახმად დაცულ არქივებზე.

მუხლი 6 (Mod., D. n 2009-1125, 17 sept. 2009). – თუ გამოგზავნი ++++დაწესებულების ვინაობა არ არის ცნობილი, მე-5 მუხლის დებულებები ვრცელდება სანოტარო აქტების გზავნილებზე, ასლებზე და ამონაწერებზე სამოცდათხუთმეტი წელზე ნაკლები ხანდაზმულობით და რომლის დედნები ინახება ეროვნულ ან სადეპარტამენტო არქივებში.

მუხლი 7 (Mod., D. n 2009-1125, 17 sept. 2009). – იპოთეკის მცველების მიერ დაცული დოკუმენტების ამონარიდების, სერტიფიკატების (რწმუნებულებების), ასლების თუ ამონაწერების გაცემის პირობები ექვემდებარება 1955 წლის 4 იანვრის n 55-22 დადგენილების დებულებებს, რომელიც მოიცავს მიწის გასაჯაროების რეფორმას.

მუხლი 8 (Rempl. D. n 2009-1125, 17 sept. 2009). - მემკვიდრეობის კოდექსის L. 213-8 მუხლით გათვალისწინებული გადასახადებს ირიცხავს :

a) სახელმწიფო, დოკუმენტებზე, რომელიც დაცულია ეროვნული საარქივო სერვისებში ან საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ საარქივო სერვისებში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციებში დაცულ დოკუმენტებზე ;

b) საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან კერძო სამართლის ორგანიზაციები მათი შუალედური არქივებისათვის, იმ არქივებისათვის, რომლის შენახვა თვითონ შეუძლიათ მემკვიდრეობის კოდექსის L. 212-4 მუხლის თანახმად და არქივებისათვის, რომელსაც გადსცემენ დეპოზიტში იმავე მუხლის II-ს თანახმად ;

c) რეგიონები, დეპარტამენტები, თვითმმართველობების დაჯგუფებები და კომუნები, მათ მიერ დაცული დოკუმენტებისათვის.

მუხლი 8-1 (D. n 97-1254, 29 déc. 1997 ; mod., D. n 2009-1125, 17 sept. 2009). – არსებული დადგენილება ვრცელდება საფრანგეთის ავსტრალიის და ანტარქტიკის მიწებზე. მაიოტში ის ვრცელდება: მე-7 მუხლში სიტყვები : „1955 წლის 4 იანვრის n 55-22 დადგენილების დებულებებს, რომელიც მოიცავს მიწის გასაჯაროების რეფორმას“ შეიცვალა სიტყვებით: „პრეფექტის ბრძანებით სხვადასხვა გადასახადების დადგენა ავთენტურ გზავნილებზე და ამონაწერებზე

დოკუმენტებიდან, რომელიც დაცულია საჯარო არქივებში და იპოთეკების საცავებში დაცული დოკუმენტების ასლების და ამონაწერების გაცემაზე...

### **1992 წლის 17 ნოემბრის n 92-1224 დადგენილება**

საჯარო არქივების საცავებში დაცული დოკუმენტების ავთენტურ ამონაწერებზე და გზავნილებზე სხვადასხვა გადასახადის დადგენის შესახებ

მუხლი 1. - დადგენილია 3 ევროს ოდენობის გადასახადი ოპერაციის ერთეულზე, გარდა მარკის და ქსეროასლის გადასახადისა:

- გზავნილის და ავთენტურ ამონაწერის გადასახადი დოკუმენტებზე, რომელიც დაცულია კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო არქივების საცავებში და კომპიუტერული და დეპარტამენტების არქივების საცავებში ;

- სავიზო გადასახადი გეგმების ავთენტურ ასლების სერტიფიცირებაზე, რომელიც გაწერილია ზემოხსენებულ პუნქტში, შესრულებული ორიგინალის მასშტაბში და ინტერესებული პირების მოთხოვნით;

- სავიზო გადასახადი იმ ასლების, ფოტორეპროდუქციების და დოკუმენტების ამონაწერების სერტიფიცირებაზე, რომელიც არქივების საცავებშია დაცული ;

მუხლი 2. - 1976 წლის 10 აგვისტოს n 76-773 დადგენილება, არქივის საცავებში დაცული დოკუმენტების გზავნილის და ავთენტური ამონაწერების სხვადასხვა გადასახადების (მოსაკრებლების) და ბეჭდების ტარიფების გაზრდის შესახებ გაუქმებულია.

### **1998 წლის 16 აპრილის პასუხი**

აქტების და არქივების კონსერვაციის ვალდებულების შესახებ. ქალაქის (მატერიალური) არქივები. სანოტარო აქტები.

*კულტურის და კომუნიკაციის მინისტრის პასუხი ბ-ნ ჟორჟ გრიოს.*

3259. - 19 თებერვალი 1998. - ბ-ნი ჟორჟ გრიო მიუთითებს ქ-ნ კულტურის და კომუნიკაციის მინისტრის პრობლემებზე, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის არქივების კონსერვაციასთან. გამომდინარე ასიდოფიკაციის (ქალაქზე ქიმიური ზემოქმედება) ფენომენიდან, ეს დოკუმენტები ზიანდება და განადგურების მუქარის წინაშე დგას. ის მაღლიერი იქნება ასევე მოისმინოს მისგან, რა ზომები აქვს გათვალისწინებული, რათა ხელი შეეწყოს "პერმანენტული ქალაქის" გამოყენებას უკეთესი კონსერვაციისათვის და მეტი ხანდაზმულობისათვის.

**პასუხი.** - კულტურის და კომუნიკაციის სამინისტრო უკვე წლებია ხელს უწყობს პერმანენტული ქალაქის გამოყენებას სახელმწიფო ადმინისტრაციებში და ტერიტორიულ თვითმმართველობებში. მას გააჩნია უკვე საფრანგეთში მიღებული საერთაშორისო ნორმა, რომელიც ადგენს ამ ქალაქის რეალიზაციის ტექნიკურ კრიტერიუმებს. რამოდენიმე სამინისტროსთან უკვე შედგა კონტაქტი, რათა გამოიკვეთოს დოკუმენტები, რომელიც სავალდებულოდ უნდა შესრულდეს პერმანენტულ ქალაქზე. ეს კერძოდ შეიძლება შეეხოს სამოქალაქო სფეროს, სასამართლოების გადაწყვეტილებების და განაჩენების დედნებს, ნოტარიუსების დედნებს და ტერიტორიული თვითმმართველობების გადაწყვეტილებებს. მაგრამ ქალაქის არქივების კონსერვაციის პრობლემები არ არის დაკავშირებული მხოლოდ ასიდოფიკაციის (ქალაქზე ქიმიური ზემოქმედება) პროცესთან : კომპიუტერის პრინტერზე შესრულებული დოკუმენტების ხანდაზმულობას ასევე უმნიშვნელოვანეს

პრობლემას წარმოადგენს. მართლაც, შემჩნეულია ხშირად, რომ რამოდენიმე წლის წინ დაბეჭდილი დოკუმენტები დღეს პრაქტიკულად ვერ იკითხება ნაბეჭდის სიმკრთალის გამო, მიუხედავად გამოყენებული ქაღალდის ხარისხისა. ამგვარად პერმანენტული ქაღალდის გამოყენების გავრცელებას თან სავალდებულოდ უნდა ახლდეს სანდო ბეჭდვითი პროცედურები. ამ მიზნით *საფრანგეთის არქივების* დირექცია დღეს თვალყურს ადევნებს კვლევას, სხვადასხვა პრინტერების მეშვეობით დაბეჭდილი დოკუმენტების სიძველის რეზისტენტულობაზე. ამ კვლევის შედეგები მოგვცემენ საშუალებას დაშვებულ იქნას ისეთი ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს ხანგრძლივ სიცოცხლისუნარან ბეჭდვას. პერმანენტური ქაღალდის გამოყენება მდგრადი ბეჭდვის პროცედურებთან ერთად ახლო მომავალში მოგვცემს ქაღალდის არქივების გადარჩენის გარანტიას. მაშინ საჭირო იქნება შესაბამისი სარეგლამენტო დებულებების მიღება, რათა კულტურის და კომუნიკაციის სამინისტროს რეკომენდაციები ძალაში შევიდეს.